ბის გარდა, ნდობის მნიშვნელოვან თვისებას მისი ინტერ-
პერსონალური ხასიათი წარმოადგენს. ჩვენ ვენდობით ან არ
ვენდობით პიროვნებებს ან ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც
წარმოადგენენ გარკვეულ ინსტიტუციას, მაგრამ არ ვფიქ-
რობთ ნდობაზე მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს საგნებთან ან
ბუნებრივ მოვლენებთან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით,
ნდობა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, როგორც „ფსონი სხვე-

ბის შესაძლო მომავალ მოქმედებაზე“ (Sztompka ,1999. p.25). ასე განსაზღვრული ნდობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარკვეული რისკების შემცველი (Kollock, 1994).

ტრადიციამ შეიძლება ჩაანაცვლოს ნდობა, ჩამოყალიბებულ რუტინას შეუძლია მომავლის გაურკვეველობის შემცირება. ტრადიციულ საზოგადოებებში ადამიანებმა ხშირად იციან, თუ რას უნდა ელოდნენ სხვებისგან.

ნდობის სხვადასხვა სახეს ანსხვავებენ, ჩვეულებრივ ეს ხდება ნდობის სამიზნის მიხედვით. უფრო ხშირად საუბარია ინტერპერსონალურ, გენერალიზებულ და პოლიტიკურ ნდობაზე.

- **ინტერპერსონალური ნდობა ან ურთიერთობების ნდობა** ეხება რწმენას განსაზღვრული პიროვნებების ან ჯგუფების მიმართ. განიხილავენ პარტიკულიზებულ ანუ ცოდნაზე დაფუძნებულ ნდობას.
- **გენერალიზებული ან სოციალური ნდობა** ეხება ნდობას მათ მიმართ, ვიზუც პიროვნებას არ აქვს სპეციფიური ინფორმაცია (Jones, Couch, & Scott, 1997; Sztompka, 1999). გენერალიზებული ნდობა ესმით, როგორც „ნდობა სხვებისადმი ან ზოგადად ადამიანებისადმი მათი სპეციფიური ქცევისაგან (მაგ.სანდლობა) ან პიროვნული მახასიათებლებისგან დამოუკიდებლად. სოციალური ნდობა წარმოადგენს „გენერალიზებულ მოლოდინს იმის თაობაზე, რომ სხვა ადამიანები ზოგადად სანდო და პატიოსნები არიან“ (Jones, Couch, & Scott, 1997. p.469). გენერალიზებული ნდობის დონე საკუთარ სანდობაზე არის დამოკიდებული (Rotter, 1971). სოციალური ნდობა საკმაოდ მდგრადია დროში, როგორც ინდივიდუალურ, ასევე აგრეგირებულ, ქვეყნის დონეზე.

Uslaner-ი (2008) ასევე განასხვავებს „სტრატეგიულ“ ნდობას, რომელიც სპეციფიური სხვის ან სხვების ცოდნას ემყარება, „მორალისტური“ ნდობისაგან, რაც მორალურ ცნებას წარმოადგენს და გულისხმობს იმას, რომ მოეპყრო სხვებს ისე, თითქოს ისინი იყვნენ სანდო (Uslaner, 2008. გვ.102) . მორალისტური ნდობა ემყარება მრწამს იმის თაობაზე, რომ უმრავლესობას ერთნაირი მორალური თვისებები აქვს. ის წარმოადგენს „მრწამს, რომ სხვები იზიარებენ შენს ძირეულ მორალურ ღირებულებებს და ამდენად მათ ისე უნდა მოექცე, როგორც შენ გსურს რომ გექცეოდნენ (Uslaner , 2008.გვ.103). სტრატეგიულ ნდობას შეუძლია ახსნას თანამშრომლობა იმ ადამიანებს შორის, ვინც ერთმანეთს იცნობს, მაშინ როდესაც მორალისტური ნდობა სამოქალაქო ჩართულობის ახსნის შესაძლებლობას იძლევა. მორალისტური ნდობა სტრატეგიულ ნდობაზე ბევრად უფრო მდგრადია, რადგან სამყაროსა და უცხო ადამიანების შესახებ დადებით წარმოდგენას ემყარება. იგი მოქმედებს, როგორც ფსიქოლოგიური დაცვა რისკთან დაკავშირებული შიშების წინააღმდეგ. ადამიანები, რომლებიც სხვების მიმართ დიდ ნდობას ამჟღავნებენ, ახდენენ რისკების შეუფასებლობას.

პოლიტიკური ნდობა პოლიტიკური ლიდერებისადმი ნდობასა და ინსტიტუტებისადმი რწმენას წარმოადგენს. Uslaner -ი (2008) მიიჩნევს, რომ ინსტიტუტებისადმი ნდობა უფრო სტრატეგიული, ვიდრე მორალისტური ხასიათის ნდობაა, რადგან იგი განხორციელებული ქცევის შესახებ ცოდნას ემყარება.

Newton-ის (2008) მიხედვით განსხვავება სოციალურ და პოლიტიკურ ნდობას შორის იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური ნდობა ჰორიზონტულია, რადგან ის სხვა მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულებას წარმოადგენს, ხოლო პოლიტიკური

ნდობა ვერტიკალურია, რადგან მოქალაქეებსა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის ურთიერთობას ეხება. Newton-ი აღწერს ნდობას პოლიტიკური სისტემის სამ დონეზე:

1. ხელისუფლება-პოლიტიკური ლიდერების შეფასება (პოლიტიკოსების მიმართ ნდობა, პარტიებთან იდენტიფიკაცია);
2. რეჟიმები-განხორციელებული ქცევა და სამთავრობო ინსტიტუტები (პარლამენტის, პოლიციის, სასამართლოს რწმენა);
3. საზოგადოება და ერი (ეროვნული სიამაყე, იდენტურობა).

Fukuyama –ს (1995) მიხედვით განსხვავება ურთიერთობითი ანუ პიროვნული ნდობისა და სოციალურ ნდობას შორის არ არის ძირეული, არამედ იცვლება თანდათანობით. ნდობის ეს ორი ტიპი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კონცენტრირებული წრეები, კონკრეტული ინტერპერსონალური ურთიერთობების ნდობის რადიუსით ცენტრში, რომელიც შემდეგ ვრცელდება უფრო აბსტრაქტულ ორიენტაციებზე სოციალური ობიექტების მიმართ. სოციალური კატეგორიები (მაგ.გენდერი, ასაკი, ეთნიკურობა, რელიგია), სოციალური როლები (მაგ. ექიმი, მასწავლებელი, მოსამართლე), სოციალური ჯგუფები (მაგ.ფეხბურთის გუნდი, სამუშაო ბრიგადა), ინსტიტუტები და ორგანიზაციები (მაგ.სკოლები, ეკლესია, პოლიცია)- ეს წრეებია, რომლებიც ამ თანმიმდევრობით ინტერპერსონალური წრის შემდეგ არიან განლაგებული.

ნდობა, განსაკუთრებით ინტერპერსონალური, გულისხმობს ინდივიდს, რომელიც ვილაცას ენდობა – მიმნდობს და პიროვნებას, რომელსაც ენდობიან. ნდობა უფრო შედარებით

თი, ვიდრე აბსოლუტური ხასიათისაა, რადგან ერთი ადამიანი მეორეს ენდობა გარკვეულ სფეროში, მაგ. მეგობარს, რომ იგი დახმარებას გაუწევს, პილოტს, რომ იგი კომპეტენტურია. მსგავსი შედარებითი ხასიათი აქვს ასევე ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მიმართ ნდობას. ამ შემთხვევაშიც ნდობა ეყრდნობა გარკვეული ქცევის განხორციელების მოლოდინს ან მოლოდინს ქცევის გარკვეულ სფეროში განხორციელების თაობაზე. ასე მაგალითად ეკლესიას ენდობიან, თუ ის დახმარებას უწევს გაჭირვებულებს, სასამართლოს, თუ ის სამართლიანია.

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა, რომ ადამიანს ენდო სამი ტიპის ფაქტორებს ეყრდნობა: ინდივიდს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, პიროვნებას ვისაც უნდა ენდოს და კონტექსტს. ფაქტორთა ეს ჯგუფები ურთიერთდაკავშირებულია. ინდივიდის სანდოობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება შემფასებლის თვისებებითა და ურთიერთობის კონტექსტით. ფაქტორთა სამივე ჯგუფი მნიშვნელოვანია, მაგრამ შემფასებლის პიროვნული თვისებების წონა მაინც უფრო დიდია, რადგანაც სწორედ მის, როგორც პიროვნების ასევე ურთიერთობის კონტექსტის აღქმაზე არის დამოკიდებული შეფასება.

მიმნდობლობა. ადამიანები განსხვავდებიან მიმნდობლობის მიხედვით ანუ ოდენობით, რა ოდენობაზეც ისინი სხვებს ჩვეულებრივ ენდობიან. მთელი რიგი ფსიქოანალიტიკური თეორიები (Erikson, 1950 ; Bowlby, 1969) აღწერენ სიცოცხლის ადრეულ პერიოდში მშობლებთან ნდობით გაჯერებული ურთიერთობების ჩამოყალიბების მნიშვნელობასა და მის ზეგავლენაზე ზრდასრულობაში. Erikson-ი, (1959) აღწერს ადამიანის განვითარების რვა სტადიას. ყოველი მათგანი მოიცავს

ერთ ძირითად კონფლიქტს, რომელიც სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის საჭიროების გამო აღმოცენდება. კონფლიქტის გადაჭრის შედეგად ჩნდება კომპეტენციის შეგრძნება. Erikson-ი განიხილავს ნდობას, როგორც ჯანმრთელი პიროვნების ძირითად კომპონენტს და განვითარების პირველ სტადიას, რომელიც დაბადებიდან 18 თვემდე გრძელდება. კონფლიქტის გადაჭრა ნდობასა და უნდობლობას შორის ბავშვის დედასთან ურთიერთობაზე დამოკიდებული. პირველი კრიზისის წარმატებით გადაჭრა ზეგავლენას ახდენს პიროვნების მთელ განვითარებაზე, ქმნის რა ბავშვში შეგრძნებას, რომ სამყარო პროგნოზირებადი და უსაფრთხოა. კრიზისის წარუმატებელი გადაჭრის შედეგად პიროვნებას უნდობლობა და შფოთვა ეუფლება.

Bowlby-ს (1969) მიჯაჭვის თეორიის მიხედვით, 6-დან 30 თვის ასაკის ბავშვის მშობელთან ჩამოყალიბებული ურთიერთობის რაგვარობა (უსაფრთხო წინააღმდეგ საფრთხის შემცველისა) ზეგავლენას ახდენს მოზრდილობაში პიროვნების ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მათ ხარისხზე. თუმცა შემდგომ ზრდასთან ერთად იხვეწება პიროვნების მიმდობლობა მისი მეგობრებთან, კლასელებთან, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვებთან ურთიერთობის საფუძველზე.

ინდივიდუალური გამოცდილება ზემოქმედებს მიმდობლობაზე, თუმცა მის ფორმირებას ასევე ახდენს ჯგუფის კოლექტიური ან ისტორიული გამოცდილება. მიმდობლობა დადებით ღირებულებებთან არის დაკავშირებული. კვლევებმა ცხადყვეს, რომ მიმდობლი ადამიანები საკუთარ თავს აღიქვავენ და ასევე სხვების მიერ აღქმული არიან, როგორც უფრო ბედნიერი, ეთიკური და მიმზიდველი ადამიანები. რესურსე-

ბი, რომლებიც პიროვნების ხელთაა, როგორცაა ფული, განათლება, ჯანმრთელობა, სასიამოვნო გარეგნობა, ოჯახის მხარდაჭერა, ძალაუფლება, მეგობრები, პრესტიჟი, რელიგიური მრწამსები და სხვა ზრდიან პიროვნების მიმდობლობას, საკუთარ თავში დარწმუნების ზრდის მეშვეობით. ისინი, ვინც უფრო მეტ რესურს ფლობენ, მეტად მიმდობები არიან და უფრო მეტად არიან მზად წავიდნენ რისკზე. სოციალური ბადეების წევრობა ზრდის მიმდობლობას, ბადეები მოქმედებენ, როგორც „ნდობის სკოლა“: ნდობა ხშირად არის ორმხრივი, რაც ზრდის უსაფრთხოებისა და სოლიდარობის შეგრძნებას.

სანდობა. Sztompka-ს (1999) მიხედვით, პიროვნების სანდობა დამოკიდებულია რეპუტაციაზე, მის მიერ განხორციელებულ ქცევასა და თვალსაჩინო თვისებებზე.

რეპუტაცია წარსული ქცევების ნუსხას წარმოადგენს და ასახულია CV-ებში, დიპლომებში, ასოციაციების წევრობაში და სხვა. რეპუტაცია შეიძლება იყოს სპეციფიური და აქტიობის ერთ გარკვეულ სფეროს ეხებოდეს, მაგ. კარგი ექიმის ან სპორტსმენის რეპუტაცია. ის შეიძლება იყოს ზოგადი და ემყარებოდეს პიროვნების უნარს სხვადასხვა სფეროში. ის ასევე შეიძლება ერთი სფეროდან მეორეზეც გავრცელდეს, მაგ. კარგი სპორტსმენი დაინიშნოს მთავრობაში მაღალ თანამდებობაზე. როგორც ამაზე Dasgupta (1988) მიუთითებს, „რეპუტაცია მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს“ იგი გარკვეულწილად ინვესტიციაა, რესურსი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სხვებისგან მივიღოთ ღირებული რესურსები, მათ შორის ნდობა და ყველაფერი რაც მას თან ახლავს. რეპუტაციის მოპოვებას დრო და ძალისხმევა სჭირდება. რეპუტაციის შენარჩუნებაც განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს და

გარკვეულწილად ზღუდავს ქცევის თავისუფლებას. როგორც ამაზე Chong-ი (1992) მიუთითებს, „ჩვენი ბიოგრაფიები ამგვარად ზღუდავენ ქმედებებს, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ“. რეპუტაციის მოპოვებისთვის საჭირო ძალისხმევისა და დროის საპირისპიროდ, მისი დაკარგვა შეიძლება წამიერად მოხდეს, ერთმა სერიოზულმა შეცდომამ ადვილად შეიძლება ის გაანადგუროს.

განხორციელებული ქცევა წარმოადგენს მეორე კატეგორიას, რასაც სანდოობა ეყრდნობა. ეს გულისხმობს პიროვნების მიერ ამჟამად განხორციელებულ ქცევებს და რეპუტაციისგან განსხვავებით არ ეყრდნობა წარსულში განხორციელებულ ქცევებს. იგი აწყობოზეა ორიენტირებული. ტესტები, კონკურსები, გამოსაცდელი პერიოდები, ეს ყველაფერი ქცევის ინდიკატორებია და სწორედ მათ ეყრდნობა სანდოობის განსაზღვრა.

თვალსაჩინო თვისებები წარმოადგენს მესამე კატეგორიას, რასაც სანდოობა ეყრდნობა. ეს პიროვნების გარეგანი, ხილვადი თვისებებია ან მისი ქონებაა, მაგ.ჩაცმულობა, სხეულის დისციპლინა, მანერები, სხეულის ენა, სახლი, ტანსაცმელი, სამკაულები.

ფორმები (მაგ. ექიმის, პოლიციელის) წარმოადგენენ ნდობის მანიშნებლებს. სხეულის დისციპლინა, რაც სისუფთავეს და ჯანსაღ სხეულს გულისხმობს, ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად სანდოდ აღიქმება პიროვნება. ის, ვინც მეტ კონტროლს ფლობს საკუთარ სხეულზე და კარგი მანერებით ხასიათდება, უგრო მეტად სარგებლობს ნდობით. სანდოობაზე ასევე ზეგავლენას ახდენს სახლი ან მანქანა, რომელსაც პიროვნება ფლობს.

პიროვნების სანდოდ აღქმაში მიღწეული სტატუსის ინდიკატორების გარდა, მიწერილი სტატუსის ინდიკატორებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ. შეფასებები და ღირებულებები დაკავშირებულია ისეთ ხილვად თვისებებთან, როგორცაა რასა, ეთნიკურობა, გენდერი და ასაკი მნიშვნელოვანწილად კულტურით არის გაპირობებული და არსებული სტერეოტიპების სახით ოპერირებენ.


მიმდობის პიროვნული თვისებები და კონტექსტი ასევე ზეგავლენას ახდენენ შესაფასებლის მიღწეული თუ მიწერილი თვისებების გამოკვეთილობაზე, თუმცა ასევე მოქმედებს უფრო ზოგადი წესი, რომელიც ინტერპერსონალურ მოწონებას განაპირობებს (Newcomb, 1961; Byrne 1971). მრავალი ავტორის მიხედვით (e.g. Earle and Cvetvovich, 1995; Jones, Cousch & Scott, 1997) იგივე წესი მოქმედებს ნდობასთან დაკავშირებით. ეს წესი ეხება „მსგავსებას“. ჩვენ მოგვწონს და ვენდობით ადამიანებს, რომლებიც ჩვენი მსგავსნი არიან. თუ ნდობა ფსონის დადების მსგავსია, ჩვენ უნდა დავეთანხმეთ Hardin – ის (1993) მიერ გამოთქმულ განმარტებას, რომ უფრო ადვილია მსგავსი სხვების ქცევის პროგნოზირება.

კონტექსტი. ურთიერთობის უშუალო კონტექსტს, ისევე როგორც უფრო ფართე კულტურულ კონტექსტს ზეგავლენა აქვს იმაზე, ვენდობით თუ არა სხვას. ამდენად ნორმები, ღირებულებები და სოციალური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გადაწყვეტილების მიღებაში. თვით კულტურებიც კი შეიძლება დიფერენცირებულ იქნენ ნდობის ხარისხის მიხედვით. Sztompka (1999) საუბრობს მიმდობ კულტურაზე, როგორც ნორმებისა და ღირებულებების სისტემაზე, რომელიც განაპირობებს ნდობას და მისი ორმხრიობის რეგულირებას. ეს წესები შეიძლება იყოს ზოგადი და ეხებოდეს ცხოვრების სხვა-

დასხვა ასპექტებს, ან სპეციფიური და ეხებოდეს გარკვეულ სფეროებთან დაკავშირებულ მოლოდინებს.

ცხრილი 1

ნდობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დეტარმინანტები



ნდობის ღირებულება

Jones, Couch & Scott-ი (1997) მიუთითებენ, რომ ადამიანების გადარჩენა ძლიერ იყო დამოკიდებული მათი ერთად ყოფნის უნარზე. ერთად ყოფნა კი მხოლოდ ნდობის საფუძველზე იყო შესაძლებელი. ამდენად „ნდობა ადამიანის არსებობის კრიტიკულ მახასიათებლად არის მიჩნეული და აუცილებელია ადამიანური სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისათვის ყველა დონეზე: ინდივიდუალურზე, დიადურზე, ჯგუფურზე, ორგანიზაციულზე და სახელმწიფოებრივზე“ (Jones, Couch & Scott, 1997. გვ. 462).

მაგრამ ნდობის ღირებულება არ არის მხოლოდ დადებითი. მას შეიძლება უარყოფითი შედეგებიც მოყვეს. იგი დისფუნქციურია მაშინ, როდესაც არის ბრმა და არ უშვებს კრიტიკისა და ეჭვის შესაძლებლობას. ის უარყოფითია, როდესაც მისი მოქმედებაში მოყვანა არასწორი მიზნების მისაღწევად

ხდება. კრიმინალურ დაჯგუფებებს და მაფიას ხშირად ახასიათებთ დიდი ნდობა საკუთარი ჯგუფის წევრების მიმართ. დიდი ნდობის მსგავს უარყოფით შედეგებს აღწერს Banfield-ი (1967) ტერმინით „ამორალური ფამილიზმი-აქტიობების საკუთარი ოჯახის გარეთ ჰარმონიზაციის შეუძლებლობა.“ ამ შემთხვევებში სოციალური ნდობა მიმართულია საკუთარი ჯგუფის წევრებზე, გარე ჯგუფის წევრების გასარიყად. ამავე დროს უნდობლობას შეიძლება ქონდეს დადებითი შედეგები, რადგან „შეზღუდული ოდენობით, უნდობლობის კულტურას მოაქვს სოციალური ცვლილება“ (Sztompka, 1999. p.113).

ნდობის ფუნქცია და შედეგები

ნდობასა და უნდობლობას შორის სწორი არჩევანის გაკეთება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ფუნქციონალურია ენდო სანდო პიროვნებას და არ ენდო არასანდოს.

ზოგიერთი ავტორი ნდობას სოლიდარობის საფუძვლად მიიჩნევს. „ნდობა წარმოადგენს გამაერთიანებელ მექანიზმს, რომელიც ქმნის და ასაზრდოებს სოლიდარობას სოციალურ ურთიერთობებსა და სისტემებში“ (Barber, 1983. გვ.102). ნდობა აკმაყოფილებს მომავლის პროგნოზირების მოთხოვნილებას. ნდობის არ არსებობის შემთხვევაში მას სხვა მექანიზმები ცვლიან (Sztompka, 1999):

- პროვიდენციალიზმი – ბედზე დაყრდნობა, გარე ძალებზე ფოკუსირება;
- კორუფცია – პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა სხვების მანიპულირების მეშვეობით;
- გაზვიადებული სიფხიზლე – სხვების კონტროლის მცდელობა;

- გადაჭარბებული სამართლებრივი განხილვები ან კონტრაქტების ზედმეტად დეტალიზირება;
- გეტოიზაცია – გარე სამყაროსგან იზოლაციის მიზნით შეუღწევადი საზღვრების აგება;
- პატერნალიზაცია – არეულობისა და შფოთვის სიტუაციაში ქარიზმატული ლიდერის გამოჩენა, რომელიც ასოცირდება წესრიგის დამყარებასთან და რომელიც ექცევა ბრმა ნდობის ფოკუსში.
- ექსტერნალიზაცია – ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისადმი დიდი უნდობლობის შემთხვევაში უცხო ქვეყნებისა ან საერთაშორისო ორგანოზაციების ბრმა იდეალიზირება.

უნდობლობა ქცევის სხვადასხვა ასპექტში ვლინდება: მაგ. გადაწყვეტილებაში ემიგრაციაში წასვლის თაობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრებისგან იზოლაციაში, გარკვეულწილად „შინაგან გადასახლებაში“. უნდობლობა ასევე აისახება ნებაყოფლობითი ორგანოზაციების საქმიანობებში მცირე მონაწილეობასა და არჩევნებზე მონაწილეობის არ მიღებაში, ასევე კოლექტიურ საპროტესტო აქციებსა და მიტინგებში.

ნდობის პრედიქტორები და ნდობის გაზრდის გზები

ნდობის საფუძვლების განხილვისას უნდა გაკეთდეს განსხვავება მიკრო და მაკრო დონის პრედიქტორებს შორის (Uslaner, 2008). მიკრო დონეზე ეს მოიცავს ოპტიმიზმისა და კონტროლის შეგრძნების მნიშვნელობას, განათლებას, ჯგუფურ იდენტურობას, წარმომავლობას და ადრეულ გამოცდილებას, ასევე საზოგადოებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. მაკრო დონეზე ავტორი განიხილავს საზოგადოებაში არსებულ ეკო-

ნომიურ უთანასწორობას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან დეტერმინანტს, ასევე კულტურულ მემკვიდრეობას, ომისა და მშვიდობის ისტორიას, და მრავალფეროვნების დონეს.

მიკრო დონე:

- განათლება წარმოადგენს პიროვნულ რესურსს, რომელსაც განსაკუთრებული ზეგავლენა აქვს გენერალიზებულ ნდობაზე. კრიტიკული მიდგომა, რომელსაც განათლება ინდივიდში აპირობებს, მას საშუალებას აძლევს თავი დააღწიოს ბრმა ნდობას ან უკიდევანო უნდობლობას, რაც პოლიტიკურად პოლარიზებულ საზოგადოებებს ახასიათებს. ნდობის დასწავლა უპირველეს ყოვლისა იმპლიციტურად ოჯახში ხდება. მისი სწავლება სკოლის სასწავლო კურიკულუმში უნდა იყოს ჩართული. მისი დასწავლა ასევე ხდება მასწავლებლებსა და მოწაფეებს, და მოწაფეებს შორის ურთიერთობებში. უფრო ზოგადად ნდობის გამართლება უნდა მხარდაჭერილი და დაჯილდოებული, ხოლო მისი არ გამართლება დასჯილ უნდა იყოს საზოგადოების მიერ (Sztompka, 1999);
- ღირებულებები, რომლებიც ხაზს უსვავენ ნდობას, როგორცაა ღირსება და ერთგულება მხარდაჭერილ უნდა იქნენ, რათა შენარჩუნდეს განგრძობადობის შეგრძნება (Sztompka, 1999). ნდობასთან ასევე კავშირშია რელიგიური ღირებულებები, რომლებიც პატიოსნებისაკენ და ურთიერთსიყვარულისაკენ მოუწოდებენ (Gambetta, 1988b);
- ადრეულ ბავშვობაში ოჯახში მიღებული გამოცდილება ზეგავლენას ახდენს ნდობაზე. აშშ-ში ჩატარებული

ლონგიტუდური გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ის სტუდენტები, რომელთა მშობლებიც მიმდობები იყვნენ თვითონაც უფრო მეტად ენდობოდნენ სხვებს;

- ოპტიმიზმი;
- კონტროლის შეგრძნება;
- საზოგადოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები;
- სოციალურად წარმატებულ პიროვნებად ყოფნა. Newton-ი (2008) მიუთითებს ნდობის კავშირზე წარმატებასთან. უფრო მიმდობები არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ფული, განათლება, პრესტიჟი, რომლებიც უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს და მეტად არიან კმაყოფილი ცხოვრებით.

მაკრო დონე:

- ეკონომიკური თანასწორობა გენერალიზებული ნდობის ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული. გენერალიზებული ნდობა მართალია არ არის დაკავშირებული ინდივიდუალურ შემოსავალთან, მაგრამ იგი მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში რესურსების თანასწორ განაწილებასთან. გაზიარებული ოპტიმიზმი და თანასწორი განაწილება სხვადასხვა ჯგუფებს შორის ძლიერი კავშირების დამყარებას უწყობს ხელს;
- პოლიტიკური ნდობა. სამთავრობო დაწესებულებებს შორის სასამართლოს და პოლიციას შესწევს ძალა შექმნას სოციალური ნდობა, მაშინ როდესაც კორუმპირებული მთავრობა ანგრევს მას. იმ ადამიანთა წილი, ვინც მიიჩნ-

ნევს, რომ სხვები ნდობას იმსახურებენ ცვალებადობს 10 პროცენტიდან (ბრაზილია, მაკედონია, თურქეთი) 60 პროცენტამდე (ნიდერლანდები) (Rothstein and Stolle, 2008). ნდობა მაღალია იქ, სადაც ადმინისტრირება ეფექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელია;

გენერალიზებული ნდობისაგან განსხვავებით პოლიტიკური ნდობა დაკავშირებული არ არის პიროვნულ წარმატებებთან, თუმცა დაკავშირებულია პოლიტიკაში გამარჯვებასთან. ადგილი აქვს იმას, რასაც „სახლში თამაშის ეფექტს“ უწოდებენ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ გამარჯვებული პარტიის მომხრეები მეტად ენდობიან ახალ ლიდერებს და ასევე მეტ ნდობას გამოხატავენ სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ (Newton, 2008);

შეიძლება ველოდოთ გენერალიზებული ნდობის გაზრდას საჯარო ინსტიტუტებისადმი რწმენის გაზრდის კვალდაკვალ. ძლიერი კავშირი სოციალურ ნდობასა და საჯარო ინსტიტუტებისადმი ნდობას შორის გამოჩნდა კვლევაში: *მოქალაქეობა, ჩართულობა და დემოკრატია* (Zmerli, Newton & Montero, 2007);


- ნორმატული შეჭიდულობა – ნორმების არსებობა და გააქტიურება (Sztompka, 1999);
- სოციალური წესრიგის სტაბილობა გულისხმობს იმას, რომ ჯგუფები და ასოციაციები აგრძელებენ ფუნქციონირებას. სოციალური ცვლილება წინააღმდეგობაში არ მოდის ნდობასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილებები არ არის უეცარი, სწრაფი და არაპროგნოზირებადი. რადიკალური სოციალური ცვლილების შემთხვევაში კი, როდესაც ხდება ჯგუფე-

ბის ხელახალი ფორმირება და აქტივობების შეწყვეტა, როდესაც ჩვეული ქცევები და ჩვევები არ ფუნქციონირებენ, ადამიანში გაუცხოების და საფრთხის განცდა ისადაგურებს (Sztompka, 1999);

- სოციალური ორგანიზაციების გამჭვირვალება ეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ჯგუფების, ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების მოქმედებებზე (Sztompka , 1999);
- გარემოს ნაცნობობა ეხება იმას, თუ რამდენად ინარჩუნებს გარემო სტაბილობას და რამდენად ნაცნობი რჩება ის. ნაცნობობის გრძნობა ადამიანს უსაფრთხოების და პროგნოზირებადობის განცდას უქმნის (Sztompka , 1999);
- სხვა ადამიანების და ინსტიტუტების პასუხისგება (Sztompka , 1999).

და ბოლოს, Maloney (2008) სოციალურ და პოლიტიკურ ნდობას ეთნიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების ერთიანი, რთული სინდრომის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ეს პირობები ერთმანეთისგან განუყოფელია და ამავდროულად ისინი ერთმანეთს უჭერენ მხარს. მისი თვალთახედვიდან რელიგია, შემოსავალი და შემოსავლის თანასწორობა, სოციალური ნდობა, სტაბილური დემოკრატია, ეკონომიკური განვითარება, კორუფციის სიმცირე და პოლიტიკური მხარდაჭერა ურთიერთგადაჯაჭვული და ურთიერთდამოკიდებულია.

ცხრილი 2 ნდობის გაზრდის საშუალებები



2.3. სოციალური კაპიტალის შედეგები

სოციალური კაპიტალი ძირითადად დადებით შედეგებთან არის დაკავშირებული. იგი გაგებულა, როგორც სოციალურ ბადეებში არსებული რესურსები. არსებობს იმის მოლოდინი, რომ რაც მეტი სოციალური კაპიტალია საზოგადოებაში და დიდია ორმხრიობის შესაძლებლობა, მით უფრო დიდია მისი პროდუქტულობა (Lin, 2008; Bothwell, 1997). სოციალური კაპიტალის დადებითი შედეგი იმით არის გაპირობებული, რომ მჭიდრო ბადეებში ინფორმაციის გაცვლა უფრო გაადვილებულია. ამგ-

ვარად სოციალური კაპიტალი აადვილებს ინდივიდებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას (V.Dethe, 2008).

გენერალიზებული ნდობა ხელს უწყობს ჩვენს დაახლოებას განსხვავებულ ადამიანებთან, რადგან მიმნდობი ადამიანები უფრო შემწყნარებლები არიან ემიგრანტებისა და უმცირესობების მიმართ, ისინი უფრო მეტად უჭერენ მხარს თანასწორობას, ვიდრე ისინი, ვინც ნაკლებ ნდობას ამჟღავნებენ სხვების მიმართ. ემპირიულად დადასტურებულია, რომ გენერალიზებული ნდობა ასოცირებულია სამოქალაქო კონტრაქტების ამოქმედებებთან, ნაკლებ კორუფციასა და გადასახადებისგან ნაკლებად თავის არიდებასთან.

2. 4 სამოქალაქო ჩართულობა და სოციალური კაპიტალი

მოქალაქეთა მონაწილეობა დემოკრატიის საფუძვლად არის მიჩნეული. Verba, Schlozman and Brady-ი (1995) მიუთითებენ, რომ მონაწილეობა მოითხოვს, რომ მოქალაქეთა ხმები იყოს მკაფიო, ხმამაღალი და თანასწორი. ამის მიღწევა მოქალაქეთა ჯგუფებში გაერთიანების მეშვეობით არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მოწყვლადი ჯგუფები ნაკლებად არიან წარმოდგენილი, თანასწორობა არ არის მიღწეული და სოციო-ეკონომიური მონაწილეობა არ არის თანაბარი, მაინც სჯობს, რომ ჯგუფები არსებობდნენ, ვიდრე არ არსებობდნენ (Maloney, 2008).

ასოციაციები წარმოადგენენ მონაწილეობის ჩარჩოს. ასოციაციების სამყარო შეიძლება დახასიათებულ იქნეს სიმჭიდროვის, ეფექტურობისა და მრავალფეროვნების მიხედვით (Maloney & Rothteutsche, 2007). სიმჭიდროვეს, ანუ ასოციაციათა რაოდენობას მოცემულ სივრცით ერთეულში, შეუძლია გაზარდოს მონაწილეობა, რადგან უფრო ადვილია სახლის

სიახლოვეს მყოფ ასოციაციებში გაწევრიანება. სიმჭიდროვე ასევე ქმნის უფრო მეტ კონკურენციას. ეფექტურობა, ანუ ადამიანთა მობილიზების შესაძლებლობა შეიძლება მონაწილეობის საზომად იქნეს გამოყენებული. მრავალფეროვნება ასოციაციის აქტიობის სფეროებს ეხება; ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური, თავისუფალი დროის, პროფესიული, რელიგიური, განსაკუთრებული ინტერესის ან სხვა.

ჯგუფებს სოციალური კაპიტალის გენერატორებად მიიჩნევენ და მართლაც ჯგუფების წვლილი დემოკრატიაში მნიშვნელოვანია. რაც უფრო „აქტიური, მჭიდრო და მრავალფეროვანია ასოციაციათა სამყარო, მით უფრო დიდია მათი სარგებელი დემოკრატიისათვის“ (Maloney, 2008. p.304). Dahl-ის (1996) მიხედვით „ჯგუფები კანონიერი და აუცილებელია დემოკრატიის სწორედ ფუნქციონირებისათვის. ჯგუფები დემოკრატიის სკოლად, მონაწილეობის გამწევე ძალად, მოქალაქეობრივი და დემოკრატიული ღირებულებების გენერატორებად არიან მიჩნეული“. Putnam-ი (1993) განიხილავს ასოციაციათა ორმხრივ ზეგავლენას – შინაგანს და გარეგანს. შინაგანი შედეგი ეხება წევრებში თანამშრომლობისა და სოლიდარობის განვითარებას, გარეგანი კი მის შედეგს საზოგადოებაზე. Warren-ი (2001) ეფექტის სამ ტიპზე საუბრობს, რომლებიც Putnam-ის მიერ განხილულ შინაგან და გარეგან ეფექტებსაც მოიცავს. ესენია განვითარების, საჯარო სფეროში და ინსტიტუციონალური.

განვითარების ეფექტები ხელს უწყობენ ინდივიდებში დემოკრატიული უნარების განვითარებას იმით, რომ აძლიერებენ ეფექტურობას ინფორმაციული ნაკადისა და ასევე პოლიტიკური და კრიტიკული ჩვევების გაზრდის მეშვეობით. საჯარო სფეროს ეფექტები ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ინსტიტუციური ეფექტე-

ბი ძირითდად ეხება რეპრეზენტაციას და რეზისტენტობას.

რომ შევაჯამოთ, ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მონაწილეობა დემოკრატიასთან არის დაკავშირებული, რადგან ის ზრდის ინდივიდის სოციალურ კაპიტალს, მის რესურსებსა და უნარებს და მას სტიმულს აძლევს პოლიტიკური მონაწილეობისათვის. სამქალაქო ჩართულობის ბადეები ეფექტურია ორმხრიობის ნორმების გასაძლიერებლად, კომუნიკაციის გასაადვილებლად და ინდივიდთა სანდოობის შესახებ ინფორმაციის ნაკადის გასაუმჯობესებლად.

Almond and Verba-ს (1965) მიხედვით, გენერალიზებული ნდობა პირდაპირ კავშირშია პიროვნების მიდრეკილებასთან ჩაერთოს პოლიტიკურ აქტიობებში. უფრო ზოგადი ტერმინებით, ნდობა სხვადასხვა სახის ასოციაციებში მონაწილეობას უწყობს ხელს, ზრდის ინტერპერსონალურ კავშირებს და სოციალურ კაპიტალს. შესაბამისად, უნდობლობა ამცირებს სოციალურ კაპიტალს და მას ადამიანი იზოლაციისკენ მიყავს. მონაცემები მიუთითებენ, რომ რაც მეტია დემოკრატია ქვეყანაში, მით უფრო მეტია სოციალური და პოლიტიკური ნდობა.

ღირებულებათა მსოფლიო გამოკითხვის (World Value Surveys) მრავალი წლის შედეგები მიუთითებენ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში არსებულ კავშირზე გენერალიზებულ ნდობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის. ამ მოვლენის ასახსნელად ორი ძირითადი მიდგომა განიხილება – გაწევრიანების და სოციალიზაციის. პირველი მიდგომის მიხედვით ნდობა გაწევრიანების წინა პირობას და საფუძველს წარმოადგენს (Almond & Verba, 1963; Newton, 1999) და ასოციაციებში წევრიანდებიან მხოლოდ ისინი, ვისაც დიდი ნდობა აქვს სხვების მიმართ. მეორე მიდგომის მიხედვით ნდობა იზრდება ასოციაციაში გაწევრიანების შედეგად (Putnam, 2000). ამ

ორი მიდგომის გარდა, კიდევ ერთი ახდენს მათ გაერთიანებას და მიუთითებს, რომ ორივე დაშვება შეიძლება ერთდროულად მოქმედებდეს. კიდევ ერთი შეხედულების თანახმად არ არსებობს კავშირი გენერალიზებულ ნდობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის.

Stolle-ეს (2001) გამოკვლევა მხარს უჭერს ნდობის თვითშერჩევის ჰიპოთეზას, უჩვენებს რა, რომ ასოციაციის ახალი წევრები არა-წევრებთან შედარებით უფრო მაღალ ნდობას ამჟღავნებენ, მაღალი ნდობის ადამიანები ბევრად უფრო მეტად ხდებიან ნებაყოფლობითი ასოციაციების წევრები. ა.შ.შ.-ში და დასავლეთის ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვების იმ შედეგებში, რომლებიც გენერალიზებულ ნდობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის კავშირზე მიუთითებენ, მიზეზობრიობა ნდობიდან ჩართულობისკენ არის მიმართული. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევებში სოციალური ბადეები „ნდობას არც მოიხმარენ და არც გენერირებენ“.

კავშირი ნდობასა და პოლიტიკურ აქტიობას შორის ძალზე სუსტია. ხშირ შემთხვევაში ნებაყოფლობითობა ეყრდნობა „ნდობას მსგავსი სხვების მიმართ“ – ჩვენ ნებაყოფლობით საქმიანობას ვახორციელებთ იმ ორგანიზაციებში, რომლის წევრებიც ჩვენი დამოკიდებულებების მსგავს დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ, მაგ. არიან იგივე რელიგიის მიმდევარნი და არ ვაქტიურობთ ასოციაციებში, რომლის წევრებსაც ჩვენ განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. ამდენად ასოციაციის წევრობა განსაზღვრული ადამიანებისადმი ნდობასთან და არა გენერალიზებულ ნდობასთან არის კავშირში (Uslaner, 2008).

ნებაყოფლობით აქტიობასა და სოციალურ ნდობას შორის კავშირის განხილვისას Newton-ი (2008) მიუთითებს, რომ

ეს კავშირი არ არის არც ძლიერი და არც კონსისტენტური. Uslander-ის (2002) მიხედვით „ნდობა არ წარმოადგენს დემოკრატიის არც წინა პირობას და არც მის შედეგს. დემოკრატიები არ ქმნიან ნდობას, მაგრამ არა-დემოკრატიებს შეუძლიათ მისი დანგრევა“:

Rothstein and Stolle (2008) მიუთითებენ სუსტი კავშირის არსებობაზე პოლიტიკურ ნდობას, ადამინების რწმენას პოლიტიკურ ინსტიტუტებში და სოციალურ ნდობას შორის. ამ თვალსაზრისის მიხედვით სოციალური კაპიტალი კარგად არის განვითარებული იქ, სადაც ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ინსტიტუტები მოქმედებენ მიკერძოების გარეშე, ახდენენ კანონის წინაშე თანასწორობის დემონსტრირებას, არიან ეფექტური და არ ახდენენ დისკრიმინაციას.

სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს ზეგავლენა, ჩანს განსაზღვრავს კავშირს გენერალიზებულ ნდობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის. ღირებულებათა მსოფლიო გამოკითხვის შედეგები მიუთითებენ დასავლეთის ქვეყნებში დადებითი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უარყოფითი კავშირის არსებობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპაში ნებაყოფლობით ასოციაციებში უფრო მეტად დაბალი გენერალიზებული ნდობის მქონე ადამიანები ერთიანდებიან.

სამოქალაქო ჩართულობის კავშირი დემოკრატიასთან არ არის საყოველთაო. ზოგი ავტორი, მაგ. Hirschman-ი (1970) ამის მიზეზად ასახელებს ცვლილებებს პოლიტიკის ფორმულირების პროცესში. დღესდღეობით შედეგის მისაღწევად არ არის საჭირო მხარდამჭერთა მასები, რადგან წარმატება სულ უფრო ხშირად ერთეულთა მაღალ კვალიფიკაციაზე არის დამოკიდებული. ინტერესთა ბევრი ჯგუფი სულაც არ არის დე-

მოკრავიული – ლიდერები თვითონ ირჩევენ თავს და იქ ერთ-გულები ან დატოვების და არა, ხმის წესი ბატონობს. ასევე შესაძლოა ყველა პროცედურა იყოს დემოკრავიული, მაგრამ ჯგუფი წარმოადგენდეს საზოგადოების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს და ასევე ჯგუფის მიზნები შეიძლება იყოს არადემოკრავიული.

ორგანიზაციებში მონაწილეობამ შეიძლება სულაც არ გაზარდოს „პრო-სოციალური ლირებულებები“; მან შეიძლება კიდევ „არასოციალური“ კაპიტალი (Levi, 1966) შექმნას. მაგრამ იმდენად, რამდენადაც დასავლეთის ლიბერალური დემოკრავიების ქვეყნებში ბევრად მეტია ასოციაციები, რომლებიც ქმნიან სოციალურ და არა არასოციალურ კაპიტალს, სოციალური ლირებულებების გამავრცელებლად გვევლინებიან.

2.5 მონაწილეობის მოტივები

დემოკრავია წარმოუდგენელია მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე. იმის გამო, რომ ბევრი მონაწილეობის არ მიღებას ამჯობინებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რატომ ხდება ეს (Rosstetscher, 2008). Verba, Schlozman & Brady (1995) არ-მონაწილეობის სამ ძირითად მიზეზზე მიუთითებენ: მოტივაციის ნაკლებობა (მათ არ სურთ), რესურსების ნაკლებობა (მათ არ შეუძლიათ) და ჩართვის ნაკლებობა (არა-ვინ არ სთხოვთ).

ტერმინი მოტივაცია, იხმარება იმ მიზეზების აღსაწერად, რომელთა საფუძველზეც ინდივიდი ერთ გარკვეულ პასუხს ირჩევს სხვის სანაცვლოდ, ანდა დიდი ინტენსიობითა ან სიხშირით ერთვება საქმიანობაში (Bargh, Gollwitzer, & Oettingen, 2010). ასე რომ, მოტივაცია მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. როგორც ამაზე de Tocqueville-მა (1848)

მიუთითა მოტივები ხშირად საკუთარ თავზეა ფოკუსირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავალ ორგანიზაციაში ადამიანი საკუთარი ინტერესების გამო წევრიანდება. გადაწყვეტილება გაწევრიანების თაობაზე მოტივაციით არის სტიმულირებული და შედეგების სასურველობასთან არის დაკავშირებული. ამდენად მოტივები საჭიროებებთან და სტიმულებთან არის დაკავშირებული და განისაზღვრება, როგორც „სტიმულთა კლასი, რომელიც ინდივიდს მომხიბლავად მიაჩნია“ (Bargh, Gollwitzer., & Oettingen, 2010. p.269).

კონტროლის და მიკუთვნების მოტივები სწორედ ის მოტივებია, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ სამოქალაქო ჩართულობას.

კონტროლის მოტივაცია დაკავშირებულია მოთხოვნილებასთან, იყო დარწმუნებული მომავალზე. პიროვნული კონტროლი წარმოადგენს კოგნიციას – განსჯას იმის თაობაზე, რომ ადამიანს აქვს უნარი, რესურსები ან მოქმედებების შესაძლებლობები იმისათვის, რომ გაზარდოს დადებითი შედეგების ალბათობა ან შეძლოს უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება (Thompson & Schlehofer, 2008). ამგვარად პიროვნული კონტროლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ პიროვნება უფრო მეტად დარწმუნებული გახადოს მომავალი შედეგების თაობაზე. ამ გზით კონტროლის გრძნობა ამცირებს შფოთვასა და სტრესს. ზოგიერთი ავტორი (მაგ. White, 1959; Geary, 1998) მიუთითებს კონტროლის მოტივაციის თანდაყოლილ ბუნებაზე.

კონტროლის შეგრძნება ასევე უქმნის პიროვნებას შთაბეჭდილებას, რომ მას შეუძლია გარემოს შეცვლა და ამდენად აძლევს მას შესაძლებლობას საკუთარი თავი აღიქვას, როგორც ეფექტურად მოქმედი. ექსპერიმენტულად დადასტურ-

და, რომ რწმენაც კი იმის თაობაზე, რომ პიროვნებას შეუძლია კონტროლირება, ამცირებს გარემოს სტიმულების უარყოფით შედეგებს (Glass & Singer, 1972). კონტროლის შეუძლებლობის აღქმა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და შეუძლია უსუსურობის განცდის გამოწვევა, რის შედეგადაც შესაძლებელია დეპრესიის განვითარება (Seligman, 1975). სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის განცდა იწვევს მისი აღდგენის მცდელობას (Brehm, 1966).

აღსანიშნავია, რომ კონტროლის შედეგები შეიძლება ყოველთვის არ იყოს დადებითი; იმ შემთხვევაში, როდესაც დიდია წარუმეტებლობის ალბათობა ან როდესაც კონტროლის განხორციელება დიდ პიროვნულ რესურსებს – დროს, ფულს ან ყურადღებას მოითხოვს.

ადამიანები განსხვავდებიან კონტროლის სურვილის ოდენობის მიხედვით (Burger, 1991). ინდივიდუალური განსხვავებების გარდა, კონტექსტს ასევე შეუძლია განაპირობოს კონტროლის მოთხოვნილების მასშტაბი. კვლევები მიუთითებენ, რომ კონტროლის შესაძლებლობის არსებობის აღქმა უკვე ზრდის მოტივაციას. პიროვნული ჩართვა ასევე აძლიერებს კონტროლის შეგრძნებას (Thompson & Schlehofer, 2008) რასაც მონაწილეობის კიდევ უფრო მეტად გაზრდა შეუძლია.

მიკუთვნების მოთხოვნილება წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მონაწილეობას. ის უნივერსალური და თანდაყოლილი მოტივაციაა, რომელიც სახეზეა ყველა ნორმალურ ადამიანში და ყველა კულტურაში (Leary & Cox, 2008). მიკუთვნებას განიხილავენ, როგორც ფუნდამენტალურ მოთხოვნილებას, რომელიც ახდენს მიზანზე მიმართული აქტივობების სტიმულირებას მათი დაკმაყოფილების

მიზნით. Kohut-ი (1984) მიკუთვნებას საკუთარ თავთან დაკავშირებულ სამიდან ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებად მიიჩნევს. იგი მიუთითებს, რომ ადამიანები ამჟღავნებენ მოთხოვნილებას „იყვნენ ნაწილი“; თავი დააღწიონ მარტოობას და გაუცხოებას.

Baumeister და Leary-ის (1995) მიხედვით მიკუთვნების მოთხოვნილებას ორი ძირითადი მახასიათებელი გააჩნია: 1. ხშირი პიროვნული კონტაქტი და ურთიერთობა, 2. სტაბილობა, ყურადღება და კავშირის მომავალში გავრძელება.

მათი ჰიპოთეზის თანახმად ადამიანებს სჭირდებათ ურთიერთობათა გარკვეული რაოდენობა და რომ მოქმედებს გაჯერების და ჩანაცვლების პრინციპები. ინდივიდები, რომლებიც გრძნობენ, რომ საკმარისი რაოდენობის სოციალური ურთიერთობები აქვთ, ე.ი. ვისი მოთხოვნილებაც გაჯერებულია, ნაკლებად არიან დაინტერესებული ახალი ურთიერთობების დამყარებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული ურთიერთობები მთავრდება ისინი ცდილობენ მათ ჩანაცვლებას. Leary და Cox-ი (2008) მიიჩნევენ, რომ ჩანაცვლება მიკუთვნების მოთხოვნილების ზოგად ხასიათზე მიუთითებს. სოციალური მედიის ფართო და სწრაფი გავრცელება მთელ მსოფლიოში მიკუთვნების მოთხოვნილების უნივერსალურ ხასიათზე მეტყველებს.

ჯგუფთან მიკუთვნებას გადარჩენითი ღირებულება გააჩნია, რადგან „ევოლუციის პერიოდში მცირე ჯგუფები იქცნენ ადამიანის სახეობის მიერ ჩამოყალიბებულ გადარჩენის ძირითად სტრატეგიად“ (Barchas, 1986.p.212). ჯგუფებს მრავალი ფუნქცია გააჩნიათ, მათში ხდება ინფორმაციის და რესურსების გაზიარება, ასევე შრომის განაწილება, დახმარების გაწევა სტრესისგან თავის დაღწევაში, რისკების შემცირებაში და სხვა ჯგუფებისაგან დაცვა (Hogan, et al., 1985).

გარე საფრთხეები ზრდიან ჯგუფის შეჭიდულობას. ემპირიული მონაცემები ასევე მიუთითებენ ჯგუფის შეჭიდულობის გაზრდაზე მაშინ, როდესაც წარმოიშვება რესურსების მოპოვების შესაძლებლობა (Rabbie & Horwitz, 1969).

მიკუთვნება დადებით ემოციებთან, ხოლო მისი ნაკლებობა კი უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული. ადამიანები მიკუთვნების ნაკლებობის შედეგების აღმოფხვრის მიზნით ხშირად მიმართვენ პროფესიონალებს. Baumaister და Leary (1995) მიუთითებენ, რომ კულტურები თავის წევრების სოციალურ ჩართვას, როგორც ჯილდოს, ხოლო გარიყვას, როგორც მკაცრ დასჯად იყენებენ. ემპირიული მონაცემები მიუთითებენ, რომ ჯგუფისადმი მიკუთვნება ამცირებს სტრესს, მაშინაც კი როდესაც სხვები არ უწევენ პიროვნებას დახმარებას (Cohen & Wills, 1985). სოციალური კავშირები ზრდის დახმარების მოტივაციას (Schoenrade, Batson, Brandt., & Loud, 1986). მიკუთვნება აადვილებს ფსიქო-თერაპიას. მონაცემები მიუთითებენ, რომ უფრო ადვილია სასურველი შედეგის მიღწევა ჯგუფური, ვიდრე ინდივიდუალური ფსიქოთერაპიის პირობებში (Lewin, 1951).

სუბიექტური კეთილდღეობა და ბედნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული მიკუთვნებასთან და ექსტრავერსიასთან. ექსტრავერსია, როგორც პიროვნული მახასიათებელი მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სოციალური ჩართულობა და სოციაბელობა (Baumaister, 1991). ემპირიული მონაცემები მიუთითებენ, რომ ის ინტროვერტები, რომლებსაც კარგი ურთიერთობები აქვთ ექსტრავერტების დონის მსგავს ბედნიერების დონეს ამჟღავნებენ (Hotard, McFatter, McWhirter., & Stegall, 1989), რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სწორედ მიკუთვნების გრძნობა ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას.

მიკუთვნების დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებას მთელი რიგი უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია, მათ შორის ჯანმრთელობის გაუარესება და ცუდი მორგება. ის ადამიანები, რომლებიც სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობას განიცდიან სხვებზე უფრო მეტი სტრესის, ფსიქიკური თუ ფიზიკური ავადმყოფობის, ან ქცევითი პრობლემების რისკის ქვეშ იმყოფებიან. ეს ქცევითი პრობლემები მოიცავს კრიმინალს, თვითმკვლელობას და საგზაო შემთხვევებს (Baumister & Leary, 1995). Lynch-ის (1979) მიხედვით ა.შ.შ.-ში სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალია განქორწინებულ, მარტოხელა ან ქვრივებთან. სოციალური იზოლაცია ბედნიერების ნაკლებობის განცდასთან არის დაკავშირებული.

Leary და Cox-ის (2008) მიხედვით კონფორმულობა, საკუთარი შეხედულებების და ქცევების სხვების შეხედულებებთან ჰარმონიზაცია – გარიყვასთან დაკავშირებულ საზრუნავებთან არის დაკავშირებული. ისინი მიუთითებენ, რომ ზოგჯერ ადამიანები უარს ამბობენ საკუთარ კეთილდღეობაზე და შეუძლიათ ტკივილიც კი მიაყენონ სხვებს იმისათვის, რომ მიღებულ იყვნენ და ეკუთვნოდნენ ჯგუფს.

ჩართულობას ასევე შეაქვს წვლილი მიკუთვნებაში. იმ სტუდენტებმა, რომლებიც უფრო მეტად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტის ყოველდღიურ აქტივობებში მიკუთვნების უფრო დიდი გრძობა გამოამჟღავნეს (Hoyle & Crawford, 1995).

ამგვარად მიკუთვნების მოთხოვნილება შეიძლება წარმოადგენდეს ასოციაციაში გაერთიანების უფრო ძლიერ სტიმულს, ვიდრე ორგანიზაციის აქტივობები და იდეოლოგია. ადამიანები ჯგუფებში (მაგ. პოლიტიკურ პარტიებში, სპორტულ ჯგუფებში) არა მხოლოდ ექსპლიციტური მიზნების მისაღწევად, არამედ ასევე ურთიერთობის შესაძლებლობის გამო

ერთიანდებიან. Stark-მა და Bainbridge -მა (1985) უჩვენეს, რომ რელიგიურ ჯგუფებში გაერთიანება უფრო მეტად იყო დამოკიდებული სოციალურ კავშირებზე, ვიდრე სოციალურ მრწამსებზე.

პიროვნული რესურსების – დროისა და ენერჯის ქონა მონაწილეობის კიდევ ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

ამგვარად ნებეყოფლობით გაერთიანებაში აქტიურობა დამოკიდებულია ინდივიდების მოტივაციასა და რესურსებზე, ასოციაციისა და მისი ლიდერის ნდობაზე და რწმენაზე, რომ მონაწილეობის მეშვეობით მიზნის მიღწევა შესაძლებელია. ამ ფაქტორების ფორმირება კი ხდება სოციო-კულტურული და პოლიტიკური კონტექსტისა და ინდივიდის კონტროლისა და მიკუთვნების მოთხოვნილების საფუძველზე.

3. ქვეყნის კონტექსტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში არსებული სიტუაციისათვის შიში, შფოთვა და მოწყვლადობა იყო დამახასიათებელი. გარემო არასტაბილური იყო, ეკონომიკურად დუხჭირი, მაღალი იყო კრიმინალი, სახელმწიფო ინსტიტუტები კი ცუდად ფუნქციონირებდნენ. დიდი იყო პიროვნული საფრთხის განცდა. ასეთ შემთხვევებში აღქმებს შეუძლიათ გამოიწვიონ პიროვნული ცვლილება, დაასუსტონ ნებისმიერი მიზნის მიღწევის მოტივაცია. მათ შეუძლიათ შეაჩერონ მიზანმიმართული აქტიობები. ამგვარ საფრთხეებზე ერთ-ერთ შესაძლო რეაქციას საკუთარი რესურსების განმტკიცება და გაზრდა წარმოადგენს (Taylor & Sherman, 2008).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობის დამოკიდებულებებზე მრავალმა მოვლენამ მოახდინა ზეგავლენა. 2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების გაყალბებით გამოწვეული ფართე საპროტესტო მოძრაობის შედეგად პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა და ძალაუფლება ახალგაზრდა რეფორმატორების ხელში გადავიდა, რომლებსაც სათავეში მიხეილ სააკაშვილი ედგა. პრეზიდენტობის ოთხი წლის თავზე სააკაშვილი პირველი სერიოზული პოლიტიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა შეჯახება პოლიციასა და მშვიდობიან მომიტინგეებს შორის. მანიფესტანტები მოითხოვდნენ სააკაშვილის გადადგომას, რასაც ხელისუფლებამ ძალის ჭარბი გამოყენებით უპასუხა. ამას მოყვა დამოუკიდებელ ტელეკომპანიაზე – „იმედი“ იერიში და მისი დახურვა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 15 დღე გაგრძელდა. სააკაშვილი გადადგა, მაგრამ 2008 წლის 5 იანვარს ხელახლა იქნა არჩეული პრეზიდენტად. 2008 წლის აგვისტოში მოხდა


ხუთდღიანი ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, რასაც მოყვა ის, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთის ჯარის მიერ არის ოკუპირებული. 2011 წლის 26 მაისს მთავრობის საწინააღმდეგო აქცია პოლიციის მიერ რეზინის ტყვიების გამოყენებით იქნა დარბეული. შეტაკების შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი და ბევრი დაშავდა. 2011 წლის ოქტომბერში მილიარდერმა, ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გააკეთა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმის შესახებ. 2012 წლის 1 ოქტომბერს კი მისმა კოალიციამ – „ქართული ოცნება“ მოიგო საპარლამენტო არჩევნები, ხოლო სააკაშვილის პარტია – „ნაციონალური მოძრაობა“, ოპოზიციაში გადავიდა. ივანიშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრად იქნა არჩეული.

კვლევის სავსე სამუშაოები 2011 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა, ამდენად გამოკითხვის შედეგებში არ აისახა არჩევნების შედეგები.

3.1. ნდობა

მკვლევართა დაკვირვების თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ტრანსფორმაციის პროცესში აღინიშნებოდა ინტერპერსონალური ნდობის გაზრდა, რომელიც ისედაც ტრადიციულად მაღალი იყო საქართველოში. ნაცნობების მიმართ სოლიდარობისა და დახმარების გაზრდის გარეშე ბევრი უბრალოდ ვერ გადარჩებოდა. 2011 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ წარმომადგენლობით გამოკითხვაში (CRRC) მოსახლეობის 44 პროცენტმა მიუთითა, რომ საკმაოდ ბევრ ადამიანთან გრძნობდა სიახლოვეს, 35 პროცენტმა მიუთითა, რომ ბევრი ადამიანის იმედი ქონდა და მხოლოდ 7 პროცენტმა აღნიშნა, რომ ხშირად გრძნობდა თავს გარიყულად.

საპირისპირო შედეგები იქნა მიღებული გენერალიზებული ნდობის შემთხვევაში. გამოკითხვის შედეგები სტაბილურად მიუთითებენ გენერალიზებული ნდობის დაბალ დონეზე და მის შემცირებაზე უკანასკნელ წლებში.




ნახ. 2

გენერალიზებული ნდობა

წყარო: სუმბაძე (2009, 2010a, 2012b)

პოლიტიკური ნდობა, რომელიც მოიცავს ნდობას პოლიტიკური ლიდერების მიმართ და რწმენას ისეთ სახელმწიფო ინსტიტუტებში, როგორცაა პარლამენტი, სასამართლო, მთავრობა, პრეზიდენტი დაბალია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გაცილებით უფრო დიდი ნდობით სარგებლობს. ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ყველაზე დაბალი, ხოლო ეკლესიისა და ომბუდსმენისადმი ყველაზე მაღალი 2007 წელს იყო, სავარაუდოდ 7 ნოემბრის მოვლენების ზეგავლენით.



ნახ. 3


ნდობა ინსტიტუტებისადმი

წყარო: სუმბაძე (2009, 2010a, 2010b)

ერთგულების ნორმის მასშტაბი ცვალებადობდა სამიზნეებთან მიმართებაში. ყველაზე დიდ ერთგულებას ამჟღავნებდნენ ოჯახის წევრების მიმართ. 2011 წელს მოსახლეობის 52.2 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ საჯაროდ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაეცვა თავისი ოჯახის ინტერესები. 39.0 პროცენტს მიაჩნდა, რომ უნდა დაეცვა მეგობრის, და 29.4 პროცენტს პარტიის ლიდერის მოსაზრებები, მაშინაც კი, როდესაც მათ არ ეთანხმებოდა.

პოლიტიკური და გენერალიზებული ნდობის ნაკლებობამ, როგორც ჩანს განაპირობა ნდობის შემცველებების გამოჩენა, ისეთის როგორცაა პროვიდენციალიზმი (Sztompka, 1999). ბედზე დამოკიდებულება აისახა სათამაშო ავტომატების, კაზინოების და სპორტულ თამაშებზე ფსონების დადე-

ბის ფართედ გავრცელებაში. ნდობის სიმცირის ჩანაცვლების მაგალითია ასევე უსაფრხოების განმტკიცება ფანჯრებსა და კარებებზე რკინის გისოსების დაყენებით. ჩანაცვლების მაგალითებს წარმოადგენს ასევე გარე ძალებზე ძლიერი დამოკიდებულება და პატერნალისტური ლიდერის მოთხოვნილება. მოსახლეობის მიერ იმის აღქმა, რომ ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, შემცირდა. მათი რიცხვი ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს მომავალი მთლიანად საქართველოს ხელთაა 2007 წლის შემდეგ ძლიერ შემცირდა. მან ოდნავ აიწია 2009 წელს, მაგრამ მაინც დაბალი დარჩა და არ აღემატება 25 პროცენტს.



ნახ.4

წყარო: სუმბაძე (2009, 2010a, 2012)


უნდობლობა გამოიხატა დატოვების და არა, ხმის სტრატეგიით. მოსახლეობის ერთი მეოთხედი ემიგრაციაში წავიდა,

ბევრი გაეცალა საზოგადოებრივ ცხოვრებას რაც აისახა 2008 და 2010 წლების არჩევნებში მოსახლეობის მცირე მონაწილეობაში.

3.2. მონაწილეობა

საქართველოში მოქალაქეთა მონაწილეობა მცირეა. ქვეყანა შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც „დემოკრატი-აში უსასრულო გადასვლის მდგომარეობაში“ მყოფი, როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ხშირად უწოდებენ. საჯარო სივრცისთვის დამახასიათებელია უძლური მოქალაქეები, სახელმწიფო, რომელიც დომინირებს და საჯარო პოლიტიკის საკითხებზე დებატების ნაკლებობა (Lutsevych, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეები მონაწილეობას დიდ ღირებულებას ანიჭებენ, იგი მაინც დაბალია. ძალზე დიდი უფსკრული არსებობს მონაწილეობის სურვილსა და მის შესაძლებლობის აღქმას შორის. მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ქვეყნისათვის მწვენილოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე. მონაწილეობის სურვილსა და შესაძლებლობას შორის უფსკრულის ზომა ბოლო წლებში ნაკლებად შეიცვალა და საშუალოდ 37.8 პროცენტს შეადგენს (38.3 პროცენტი 2001 წელს, 32.4 პროცენტი 2008 წელს, 40.7 პროცენტი 2009 წელს და 39.0 პროცენტი 2011 წელს).



ნახ.5

მონაწილეობის მნიშვნელობა და მოქალაქეების გაბავლენა
 გადაწყვეტილებების მიღებაზე


წყარო: (2009, 2010a, 2012).

კიდევ ერთი ნაპრალი არსებობს ნებაყოფლობით აქტი-
 ვობების ღირებულებასა და ასოციაციებში წევრობას შორის.
 41 პროცენტს ნებაყოფლობით აქტივობებში ჩართვა კარგი
 მოქალაქის მნიშვნელოვან მახასიათებლად მიაჩნია (CRRC,
 2011), მაგრამ იმავე წელს სხვა გამოკითხვის მიხედვით მხო-
 ლოდ 8.6 პროცენტმა (ამაში არ შედიოდა მრევლი) მიუთითა,
 რომ იყო ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წევრი. მრევლის
 წევრობაზე მიუთითა ბევრად უფრო მეტმა ადამიანმა, კერ-
 ძოდ 39.7 პროცენტმა (სუმბაძე, 2012).

ასევე მცირე იყო ჩართულობა საჯარო საქმიანობაში, გა-
 მოკითხვამდე 6 თვის პერიოდში მხოლოდ 4 პროცენტი დაეს-
 წრო შეხვედრას განსაკუთრებული ინტერესის ან სპორტულ
 კლუბში, 17.0 პროცენტი დაესწრო კრებას და 17.0 პროცენტმა

შეასრულა გარკვეული სამუშაო ნებაყოფლობით საწყისებზე (CRRC, 2011).

2009 წლის განმავლობაში 16 პროცენტმა ნებაყოფლობით გაიღო წვლილი საზოგადო საქმისათვის ფულის, სამუშაოს ან მატერიალური რესურსის სახით.




ნახ.6

ბალეზული ნებაყოფლობითი წვლილის სახე

წყარო: სუმბაძე (2010a)

სამუშაო, რომელსაც რესპონდენტები ასრულებდნენ უფრო ხშირად მეგობრების (38.5 პროცენტი), ეკლესიის (31.6 პროცენტი), ან სახელმწიფოს მიერ იყო ორგანიზებული (16.7 პროცენტი). ძალიან მცირე ოდენობამ (2.9 პროცენტმა) მიიღო მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციისა ან პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში ნებაყოფლობით.

აპათიისა და ნიჰილიზმის ზოგადი ტენდენცია კარგად ჩანს 2007-2009 წლების მონაცემებში, რომლებიც უფლებების დარღვევის შემთხვევაში სხვადასხვა მოქმედებების განხორციელების მზაობას ეხება.



ნახ. 7

უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოქმედების მზაობა

წყარო: სუმბაძე (2009, 2010a, 2012)

3.3. ასოციაციები

საქართველოში ასოციაციების მცირე სიმჭიდროვეა და მწირია მათი მრავალფეროვნება. ქვეყანაში ძალზე ადვილია ასოციაციის დაფუძნება. 1997 წლის 26 ივნისს მიღებული სამოქალაქო კოდექსი ახდენს ამ სფეროს რეგულირებას. კანონის მიხედვით არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნებული იქნეს ორიდან ერთ-ერთი სახით. ესენია: კავშირი – წევრობაზე დაფუძნებული ასოციაცია მინიმუმ ხუთი წევრით, ან ფონდი – სადაც დამფუძნებლები აყალიბებენ ფონდს რაიმე ჯგუფის ან ფართე საზოგადოების სასარგებლოდ. პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირება რეგულირდება საქართველოს კანონით პოლიტიკური პარტიების შესახებ. კანონის მიხედვით

რეგისტრაციისათვის საჭიროა 1000 ადამიანის ხელმოწერა და პარტიის წესდება. პოლიტიკური პარტიების შექმნა ოთხმოციანი წლების ბოლოს, გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პერიოდთან დაიწყო და პირველი მრავლპარტიული არჩევნები 1990 წლის ოქტომბერს გაიმართა. პარტიების ფორმირების პროცესი საკმაოდ სწრაფად განვითარდა და დღეისთვის საქართველოში 209 პარტია არის რეგისტრირებული. პარტიების ფორმირება უფრო მეტად ეფუძნებოდა ურთიერთ ნდობას, ვიდრე საერთო იდეოლოგიას. წევრობა უფრო მეტად თითქოს იმ ქაოსისა და გაურკვევლობისგან დაცვას ემსახურებოდა, რაც საბჭოთა კავშირის რღვევას მოყვა. ამგვარად ლიდერის პიროვნებისადმი ნდობა წარმოადგენდა პარტიაში გაწევრიანების ძირითად კრიტერიუმს. წევრების მიმართაც არსებობდა ლიდერისადმი ერთგულების მოთხოვნა. პოლიტიკური პარტიების განვითარებამ დროთა განმავლობაში ნაკლებ აუცილებელი გახადა ლიდერისადმი ნდობა, მაგრამ ერთგულება ისევ დარჩა ძირითად მოთხოვნად.

პოლიტიკური პარტიები ცარიელ ადგილზე არ შექმნილან. სამოქალაქო აქტიობის გენერირება მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რასაც დასავლეთის გულუხვი მხარდაჭერა ედო საფუძვლად. არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება 1985 წელს, „პერესტროიკის“ შედეგად დაიწყო. სამოქალაქო სექტორში მიღებულმა გამოცდილებამ და მენეჯმენტის ჩვევებმა მტკიცე საფუძველი შეუქმნეს პოლიტიკური პარტიების აქტივისტებს. მრავალმა მათგანმა კი შემდეგ პოლიტიკურ სფეროში გადაინაცვლა.

პროფკავშირებსა და პროფესიულ გაერთიანებებს ქვეყანაში ყველაზე ხანგრძლივი უწყვეტი ისტორია აქვთ. ეს ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ საბჭოთა პერიოდში, თუმცა

პროფკავშირები უფრო მეტად ემსახურებოდნენ ოფიციალური პოლიტიკის გამოხატვას, ვიდრე დასაქმებულთა ინტერესების დაცვას. დღესდღეობით პროფკავშირების ზეგავლენა ქვეყანაში უმნიშვნელოა და ისინი ავტორიტეტით არ სარგებლობენ. მათი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდის პროფკავშირების მემკვიდრეა. ძირითადი პროფკავშირი, საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანება, 27 სექტორული კავშირისგან შედგება. მოქმედი შრომის კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ მიჩნეულია არაადეკვატურად და დასაქმებულთა უფლებების დარღვევის დაკანონებად (ILO, 2007).

პროფესიულ გაერთიანებებს ასევე ხანგრძლივი ისტორია აქვთ საქართველოში. პროფკავშირების მსგავსად პოსტ - საბჭოთა პერიოდში ისინი დასუსტდნენ და დაკარგეს თავისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი. საბჭოთა პერიოდში შემოქმედებითი კავშირები (მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა კავშირები) ძირითადად მწირი რესურსების განაწილებით იყვნენ დაკეცებული, ისეთის როგორიც იყო საგზურები დასასვენებელ სახლებში, სამუშაო მასალები და სტუდიები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც კავშირებში იყვნენ გაერთიანებული. ისინი დახმარებას უწევდნენ თავის წევრებს, აძლევდნენ რა მათ სპეციალურ საწარმოებში მუშაობის და დასასვენებელ სახლებში დასვენების შესაძლებლობას. მრავალი პროფესიული კავშირი დღესაც ფუნქციონირებს, ასევე ბევრი კავშირი შეიქმნა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მათი ფუნქციები ზოგჯერ ემთხვევა პროფკავშირების ფუნქციებს, რადგან ისინიც ცდილობენ საკუთარი წევრების უფლებების დაცვას, მაგრამ მათ ასევე აკისრიათ პროფესიული ინფორმაციის გავრცელების და პროფესიული კავშირების დამყარების ფუნქცია.

განსაკუთრებული ინტერესის კლუბები და ფან -კლუბები ძალზე მომრავლდა ბოლო დროს. ისინი იქმნება საერთო ინტერესების გარშემო. ბევრი მათგანი სპორტის ან სხვადასხვა სპორტული კლუბების გარშემოა შექმნილი, მაგ. რეალ მადრიდის, ბარსელონას ან მანჩესტერ იუნაითიდის ფან -კლუბები. არის თავისუფალი დროის აქტივობებთან, წიგნებთან ან პიროვნებებთან დაკავშირებული კლუბები. განსაკუთრებული ინტერესის კლუბები საერთო ინტერესის გარშემო არიან გაერთიანებული და იძლევიან ინტერესის გაზიარების და კოლექტიურად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ზოგი მათგანი ახალი შექმნილია, ზოგის ისტორია კი ათეულობით წელს ითვლის (მაგ. მთამსვლელთა კლუბი).

საბჭოთა პერიოდში რელიგიური აქტივობები არ იყო წახალისებული. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში რელიგიის მნიშვნელობა ძალზე გაიზარდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მას შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზეგავლენა განუხრელად იზრდება და დღეს დამოუკიდებლობიდან ორი ათწლეულის შემდეგ, ყველა გამოკითხვა უჩვენებს, რომ მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (88 პროცენტი), სწორედ ეკლესიას ენდობა (მაგ. CRRC, 2011; სუმბაძე 2009, 2010, 2012). 2011 წლის კავკასიური ბარომეტრის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის 41 პროცენტი რელიგიას მიიჩნევს ძალზე და 50 პროცენტი საკმაოდ მნიშვნელოვნად, 40 პროცენტი წირვას თვეში ერთხელ მაინც ესწრება, 58 პროცენტს თავი ძალიან ან საკმაოდ რელიგიურად მიაჩნია (CRRC, 2011).

მრევლის წევრობა საკმაოდ ჩვეული მოვლენაა. წევრობა არაფორმალური ხასიათისაა, მოძღვარი ძირითად ავტორიტეტს წარმოადგენს და მრევლის წევრები თავს ვალდებულად

გრძნობენ მოიქცნენ მისი რჩევის მიხედვით. 73.1 პროცენტი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მრევლის წევრმა უნდა მისდიოს მოძღვარის რჩევას (სუმბაძე, 2012). ზოგიერთ ეკლესიას რამოდენიმე მრევლი ყავს.

4. საკვლევი საკითხები და კვლევის დიზაინი

ეკონომიკური სიდუხჭირისა და საფრთხის განცდის ფონზე, ნებაყოფლობითი ასოციაციების შექმნის ახლად გაჩენილმა შესაძლებლობებმა ინდივიდებს სხვადასხვა ასოციაციების წევრობისკენ უბიძგეს. მიგვაჩნია, რომ ასოციაციაში გაწევრიანების ძირითად მოტივაციას კონტროლისა და მიკუთვნების სურვილი წარმოადგენდა. ნებაყოფლობითი ასოციაციის წევრობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მორგების ეფექტური სტრატეგია, რომელიც ზრდის თვითკონტროლისა და მიკუთვნების გრძნობას.

ადამიანები, ვისაც მაღალი ქონდა კონტროლის მოტივაცია ინსტრუმენტულ, ხოლო ისინი ვისაც მაღალი ქონდა მიკუთვნების მოტივაცია უფრო მეტად ექსპრესიულ ასოციაციაში ერთიანდებოდნენ.

ჩვენ ნდობას განვიხილავთ, როგორ მონაწილეობის ძირითად პირობას. ჩვენ შევეცადეთ მოგვეჩინა იდენტიფიკაცია და შეგვეფასებინა კავშირი ნდობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის ორი გავრცელებული მიდგომის შემოწმების საფუძველზე – გაწევრიანების და სოციალიზაციის. Fukoyama-ს (1995) მიერ ნდობის, როგორც პიროვნულიდან გენერალიზებულიისკენ გარდამავალზე გაგებიდან გამომდინარე და ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც გენერალიზებული ნდობის დაბალ დონეზე მიუთითებენ, ჩვენ გავაკეთეთ დაშვება ასოციაციის წევრობის პიროვნულ ნდობაზე ზეგავლენის თაობაზე, კერძოდ ჩვენ მოველოდით, რომ წევრობის ხანგრძლიობის შედეგი იქნებოდა ორგანიზაციის წევრების ეგობადეებში ჩართვა და ამ გზით მოხდებოდა ნდობით აღჭურვილი პირების რაოდენობის და შესაბამისად სოციალური კაპიტალის გაზრდა. ჩანს არასტაბილური სიტუაცია ქმნიდა ინტერ-

პერსონალური ნდობის გაფართოების საჭიროებას და ახდენდა უცნობებთან ურთიერთობის დამყარების სტიმულირებას; ეს ზრდიდა კონტროლის შეგრძნებას კონკურენტულ და საფრთხის შემცველ გარემოში. ნებაყოფლობით ორგანიზაციებში გაწევრიანების ახალი შესაძლებლობები, მათი მზარდი სიმჭიდროვე და მრავალფეროვნება იძლეოდა ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობის საშუალებას.

ზემოთ ჩამოყალიბებული დაშვებებისა და ჰიპოთეზების შემოწმების გარდა, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ასოციაციებში გაერთიანების ძირითადი ფაქტორების – მიზნების, სარგებლის, კმაყოფილების და გაწევრინების ბარიერების აღწერა. კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა მოგვეჩინა ასოციაციებში გაწევრიანების პროცესის, იქ წარმოებული აქტიობების და გაწევრიანების ხელშემწყობი გზების იდენტიფიცირება.

კვლევა ხარისხობრივ და რაოდენობრივი ნაწილებისაგან შედგება. ხარისხობრივი ნაწილის ჩარჩოში შესწავლილ იყო საზოგადოების აქტიური და პასიური წევრების აღქმები ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით. რაოდენობრივი კვლევის ნაწილში პირისპირ ინტერვიუები იქნა აღებული ორი ტიპის – ინსტრუმენტული და ექსპრესიული ასოციაციების წევრებისგან.

პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და პროფესიული საზოგადოებები ინსტრუმენტალურ ასოციაციებს წარმოადგენენ. მათ ფუნქციას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და პროფესიულ სფეროში ცვლილებათა ადვოკატირება წარმოადგენს. განსაკუთრებული ინტერესის კლუბები და რელიგიური გაერთიანებები იძლევიან ექსპრესიული ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს გაზიარებას, თვითრეალიზაციას და თვითგანვითარებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აერეკლა ინსტრუმენტული და ექსპრესიული ასოციაციების მრავალფეროვნება. ამდენად, სხვადასხვა ტიპის პროფესიული ასოციაციები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებული ინტერესის და სპორტული კლუბები იქნა შერჩეული შესასწავლად. რელიგიური პრაქტიკიდან გამომდინარე განსხვავების თავიდან აცილების მიზნით, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი იყო შესწავლილი. სავსე სამუშაოები ჩატარდა თბილისში, რადგან სწორედ აქ არის კონცენტრირებული ნებაყოფლობითი ორგანიზაციების უმრავლესობა.

კვლევის ძირითადი მიზნები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს ფორმულირებული:

1. ჰიპოთეზის შემოწმება იმის თაობაზე, რომ კონტროლის მოტივაცია უფრო გამოკვეთილია, როგორც ინსტრუმენტულ ასოციაციაში, ხოლო მიკუთვნების მოტივაცია, როგორც ექსპრესიულ ასოციაციაში გაწევრიანების მიზეზი;
2. სამოქალაქო მონაწილეობის ზეგავლენის დადგენა ნდობაზე და შესაბამისად სოციალურ კაპიტალზე. გენერალიზებულ ნდობაზე მონაწილეობის სოციალიზაციის ეფექტის შემოწმება; დაშვების შემოწმება იმის თაობაზე, რომ სოციალური კაპიტალი იზრდება ასოციაციის წევრების ნდობის აღჭურვილ და ამის შედეგად მათი ეგო-ბადეში ჩართვით;
3. ასოციაციებში გაწევრიანების მიზეზებისა და პროცედურების, სარგებლის და წევრობით კმაყოფილების, გაწევრიანების ბარიერების და მონაწილეობის გაზრდის გზების აღწერა.

II. ძირითადი შედეგები

1. მეთოდოლოგია

საზოგადოების აქტიური და პასიური წევრების აღქმა შესწავლილ იყო ჯგუფური დისკუსიის მეშვეობით. კვლევის ხარისხობრივი ნაწილის მიზანს წარმოადგენდა ასოციაციაში გაწევრიანების მიზეზების, სარგებლის, მონაწილეობის ბარიერების და ამ ბარიერების გადალახვის საშუალებების აღწერა. აღწერილი ფუნქციის გარდა, დისკუსიის შედეგები გამოყენებულ იყო კვლევის რაოდენობრივი ნაწილის კითხვარის შესაქმნელად. დისკუსიები გაიმართა 2011 წლის 25 იანვრიდან 28 იანვრამდე.

რვა ჯგუფურ დისკუსიაში სულ სამოცდაათმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ესენი იყვნენ პოლიტიკური პარტიების, პროფესიული კავშირების და ასოციაციების, განსაკუთრებული ინტერესის კლუბების წევრები, მრეწველი, სტუდენტები და ის მოქალაქეები, რომლებიც არ იყვნენ რაიმე ასოციაციის წევრები.

ცხრილი 3

ჯგუფური დისკუსიის მონაწილეთა მახასიათებლები

No	ჯგუფი	ჯგუფების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა		
			კაცები	ქალები	სულ
1	პოლიტიკური პარტიის წევრები	2	11	6	17
2	პროფესიული კავშირების და ასოციაციის წევრები	1	3	4	7

3	განსაკუთრებული ინტერესის კლუბების წევრები	1	8	2	10
4	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი	1	6	5	11
5	სტუდენტები	1	6	2	8
6	მოქალაქეები, რომლებიც არ არიან რაიმე ასოციაციის წევრები (პირობითად პასიური მოქალაქეები)	2	10	7	17
	სულ	8	44	26	70

ქვემოთ ჯგუფური დისკუსიის შედეგები შემდეგ თემებად არის დაჯგუფებული:

- ასოციაციაში გაერთიანების მიზეზები და გზები;
- გაერთიანების აქტიობები, წევრობის სარგებელი და შედეგები;
- მონაწილეობის დაბალი დონის განმპირობებელი მიზეზები;
- მონაწილეობის გაზრდის გზები.

2. ასოციაციაში გაერთიანების მიზეზები

დისკუსიის ყველა მონაწილემ დაასახელა ასოციაციაში გაერთიანების რამოდენიმე მსგავსი მოტივი, თუმცა ორივე ტიპის ორგანიზაციის წევრთა მიერ ასევე დასახელებული იქნა მთელი რიგი სპეციფიური მიზეზები. ეს მოტივები ეხებოდა შინაგან მოთხოვნილებებს, ასოციაციის მიმზიდველობას, საერთო ინტერესებს, სხვების საჭიროებას დასახული მიზნის მისაღწევად. გაერთიანების მიზეზების გარდა მონაწილეებმა ასევე განიხილეს მონაწილეობის მიზნები. ეს იყო საკუთარ თავზე ან ქვეყანაზე მიმართული ხელშესახები თუ არა ხელშესახები მიზნები.

მოტივაცია

მე-სთან დაკავშირებული მოტივები

შინაგანი მოთხოვნილება

შინაგან მოთხოვნილებებზე ყველა საუბრობდა, თუმცა უფრო მეტად ამაზე ყურადღებას მრევლის წევრები ამახვილებდნენ. ისინი აღნიშნავდნენ სიცარიელის, უკმარისობის, უკმაყოფილების და ასევე უსუსურობის გრძნობას, ჭეშმარიტების და ღმერთის ძიების მოთხოვნილებას.

როდესაც პირველი შვილი გამიჩნდა მე თავი უსუსურად ვიგრძენი. (მრევლის წევრი ქალი)

პარტიის წევრებმა დაასახელეს საკუთარი ნების და თვითრეალიზაციის გამოხატვის სურვილი.

მე ჯარში ვმსახურობდი და არჩევნების დროს ჩვენ გვითხრეს: „ხომ იცით ვის უნდა მისცეთ ხმა“. მე დავინტერესდი, რატომ არ მაძლევდნენ უფლებას გამომეხატა საკუთარი ნება.

ჩემი მეგობრები ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში იყვნენ, ამიტომ მე წავედი მათ ოფისში და გავწევრიანდი. (პარტიის წევრი კაცი)

პარტია იძლევა თვითრეალიზაციის საშუალებას. ბევრმა ადამიანმა გამოხატა საკუთარი პოზიცია პარტიული დებატების დროს, ამით პარტიის წევრებმა ისინი უკეთ გაიცნეს, რამაც მათ პარტიულ იერარქიაში დაწინაურების საშუალება მისცა. (პარტიის წევრი ქალი)

საერთო ინტერესი

საერთო ინტერესი არის ნებისმიერ ასოციაციაში გაწევრიანების აშკარა მიზეზი, მაგრამ განსაკუთრებით გამოკვეთილი ის პროფესიულ ასოციაციების და განსაკუთრებული ინტერესების მქონე კლუბების წევრებთან არის.

უბედურება და იმედგაცრუება

ბევრმა აღნიშნა, რომ უბედურებას, საყვარელი ადამიანის სიკვდილი, ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მოვლენებს ხშირად მიყავთ ადამიანები ეკლესიაში.

ჩემი აზრით მიზეზი ხშირად უბედურებაშია და ეს უბედურება ზოგჯერ ღვთის წყალობაა. რაღაც იხსნება შენში და ხვდები, რომ ეს თავშესაფარია. (მრევლის წევრი ქალი)

ცხოვრებაში იმედგაცრუება და ხელისუფლების წევრთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება სახელდებოდა პოლიტიკური პარტიების წევრების მიერ. პარტიის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ საქართველოში ადამიანების ძირითადად რაღაცის წინააღმდეგ იბრძვიან და არა რაღაცისათვის.

გაერთიანების მოტივი სამწუხაროდ არის ის, რომ იყო ვილაციის წინააღმდეგ და არა რაიმე მიზნისთვის გაერთიანება. (პარტიის წევრი ქალი)

ცვლილების საჭიროება

ქვეყანაში ცვლილებების განხორციელება აღნიშნული იყო, როგორც წამყვანი მოტივაცია ინსტრუმენტულ ასოციაციებში გაწევრიანებისათვის.

2007 წელს როდესაც დაიწყო აქციები, მე მათში ვმონაწილეობდი და მალევე მივხვდი, რომ შეუძლებელი იყო მიზნის მიღწევა ქუჩიდან და რომ პროტესტს სხვა სახე უნდა მიეღო. ამ დროს გამოჩნდა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია და მეც გავწევრიანდი. (პარტიის წევრი ქალი)

მე არ ვფიქრობდი პოლიტიკაში ჩართვას, მაგრამ 2008 წლის შემდეგ მე გადავწყვიტე მეპოვნა პარტია, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა არსებული ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლაზე მოკლე ვადაში. ამ დროს ჩამოყალიბდა პარტია „დემოკრატიული საქართველო“ და მე მასში გავწევრიანდი. (პარტიის წევრი კაცი)

მონაწილეები ასევე საუბრობდნენ საკუთარ სურვილზე მიეღოთ მონაწილეობა ცვლილებებში.

მე პარტიაში გავერთიანდი იმისათვის, რომ წვლილი შემეტანა ცვლილებებში. მე არავითარი ამბიცია არ მაქვს გავხდე პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ მინდა სულ მცირე წვლილი მაინც შევიტანო – დავდო ერთი აგური. (პარტიის წევრი ქალი)

უფლებების დაცვის საჭიროება

უფლებების დაცვის საკითხი დასმული იყო ორივე ტიპის ასოციაციის წევრების მიერ.

მე ვიყავი დიდი ბიზნეს ორგანიზაციის დირექტორი, და როდესაც წავაწყდი იმ სირთულეებს, რასაც ბიზნესი აწყდება, მე პარტია დავაფუძნე ბიზნესის უფლებების დასაცავად (პარტიის წევრი ქალი).

ადამიანები პროფკავშირებში მოდიან იმ შემთხვევაში თუ ხედავენ, რომ პროფკავშირებს შეუძლიათ მათი უფლებების დაცვა და შეუძლიათ მათთვის საინტერესო რამის შეთავაზება. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი).

მიზნის მისაღწევად სხვების საჭიროება და საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების მოთხოვნილება

სხვები საჭირო არიან, როგორც მიზნის მისაღწევად, ასევე საკუთარი ღირებულებების გაზიარებასა და გავრცელებისათვის.

აზრი იმის შესახებ, რომ სპორტი ცივილიზებული წესით ყოფილიყო მხარდაჭერილი წამოვიდა ხალხისგან, რომელიც ესწრებოდა სტადიონებზე თამაშებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ გუნდს სიმღერით, ტაშით და ამ იდეოლოგიის სპორტის მოყვარულებში გავრცელებით. (ფან კლუბის წევრი კაცი)

სხვები საჭირონი არიან მიზნის მისაღწევად და ასევე გასაზიარებლად.

ადამიანს შეიძლება ქონდეს ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებაც მარტო შეუძლებელია. (განსაკუთრებული ინტერესის მქონე ადამიანთა კლუბის წევრი მამაკაცი)

თუ მე ისეთი რამე მომწონს, რაც ჩემს გარშემო არავის მოსწონს, მე ამით დაინტერესებულ ადამიანების ძებნას ჩემი წრის მიღმა ვიწყებ. (განსაკუთრებული ინტერესის მქონე ადამიანთა კლუბის წევრი კაცი)

მე როკ-კლუბის წევრი ვარ და ჩვენ ყველას გვსურს სხვებს გავუზიაროთ ის კონცეფცია, რაც როკს უდევს საფუძვლად, კერძოდ პროტესტი. (განსაკუთრებული ინტერესის მქონე ადამიანთა კლუბის წევრი კაცი)

ორგანიზაციასთან დააკავშირებული მოტივები

ორგანიზაციის მომხიბლველობა

ტოლერანტობა, ურთიერთგაგების ატმოსფერო, კონკრეტული, ნათელი და მიღწევადი მიზნებისა და სტარტეჯიის ქონა განხილულ იქნა, როგორც გაწევრიანების მნიშვნელოვანი ფაქტორები.

ჩემი აზრები შეიძლება არ იყოს მისაღები, მაგრამ ამისათვის არ უნდა ჩამქოლონ. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ასევე აღნიშნული იყო ორგანიზაციის ზომის მნიშვნელობა. უპირატესობა ენიჭებოდა მცირე ზომის ასოციაციებს, სავარაუდოდ პიროვნული ურთიერთობების წარმართვის მეტი სიადვილის გამო.

ორგანიზაციისა და მისი ლიდერისადმი ნდობა

ორგანიზაციის ლიდერულბეხესა და მის პატიოსნებაში რწმენა ძირეულია ასოციაციაში გაერთიანებისათვის.

ნებაყოფლობთ ორგანიზაციაში ადამიანი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მისი წვლილი სწორედ იქნება გამოყე-

ნებული, მაშინ როდესაც თუ რაიმეს ვაკეთებ ეკლესიაში, მე ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი წვლილი მიზნობრივად იქნება გამოყენებული. (მრევლის წევრი ქალი)

ლიდერის მოწონება მნიშვნელოვან ფაქტორად არის აღქმული.

მომგებიანია იდგე ცნობილი და პატივცემული ადამიანის გვერდით. (პარტიის წევრი კაცი)

სოციალური გარემო

სოციალური გარემო აღიარებული იყო, როგორც გაერთიანების მნიშვნელოვანი დეტერმინანტი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ყველაზე მეტად პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში იყო გამოკვეთილი.

საქართველოში პარტიები ჯერ-ჯერობით არ არიან საკმარისად განვითარებული. ჩვეულებრივ ადამიანი პარტიის წევრი ხდება იმიტომ, რომ იქ მისი მეგობრები არიან და ბევრს იცნობს პარტიაში. ეს ასე მუშაობს საქართველოში. ეს სამხრეთული მენტალიტეტის ტიპური მაგალითია. (პარტიის წევრი კაცი)

პარტიის წევრობა პოლიტიკური ორიენტაციით არ არის გაპირობებული; 80 პროცენტი პარტიაში ერთიანდება იმის გამო, რომ მოსწონს ლიდერი და პარტიის წევრები. (პარტიის წევრი კაცი)

მრევლის წევრებმა ასევე მიუთითეს სოციალურ გარემოს მნიშვნელობაზე. მათ აღნიშნეს, რომ მრევლში გაერთიანდნენ იმის გამო, რომ მათ გარშემო ბევრი იყო მორწმუნე ან რომ მათ გაერთიანება ოჯახის წევრებმა ან მეგობრებმა სთხოვეს.

მიზეზთა ერთობლიობა

ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არა ერთი ცალკეული ფაქტორი, არამედ მათი ერთანობა განსაზღვრავს იმას, გახდება თუ არა ადამიანი ასოციაციის წევრი.

ალბათ არსებობს არა ერთი, არამედ ერთად მოქმედი რამოდენიმე ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ პარტიაში გაწევრიანებას. ასეთია, მაგალითად მსგავსი იდეოლოგია, ცხოვრებისეული მიზნები და ურთიერთობა პარტიის წევრებთან. (პარტიის წევრი კაცი)

საერთო ინტერესები და მიზნები ცალსახად წარმოადგენენ ასოციაციაში გაერთიანების ძირითად მიზეზებს. გარდა ამისა არის მიზეზები, რომლებიც პირობითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც მე-ზე ან ორგანიზაციაზე ფოკუსირებული. მე-ზე ორიენტირებულია ცვლილების, თვით-რეალიზაცია და თვით-გამოხატვის მოთხოვნილება, უსუსურობის შეგრძნება, უბედურება და იმედგაცრუება, რაც აშკარად უკავშირდება უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მოტივთა კიდევ ერთი ჯგუფი ორგანიზაციის მომხიბლავობასთან არის დაკავშირებული, რაც განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტობაში, სამართლიანობაში, გამჭვირვალებასა და ორგანიზაციის მცირე ზომაში გამოიხატება. ასევე დიდი მნიშვნელობა ლიდერის სანდოობას ენიჭება. ლიდერის და ორგანიზაციის წევრების ნაცნობობა ხშირად გადაწყვეტია მასში გაერთიანებისათვის.

3. სარგებელი

3.1. ხელშესახები სარგებელი

ცხადია, რომ ადამიანი მაშინ ხდება ასოციაციის წევრი, როდესაც ეს მისთვის მომგებიანია. უპირატესობები, რომელსაც წევრობა იძლევა განსხვავებულია, შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ხელშესახები, საკუთარ თავზე მიმართული, სოციალურად ორიენტირებული ან ალტრუისტული.

ხელშესახებ უპირატესობებში იგულისხმება ფინანსური დაინტერესება, რაც ინსტრუმენტული ასოციაციების მთელი რიგი წევრების მიერ იყო დასახელებული; დასაქმებისა და სერვისებისადმი მეტი ხელმისაწვდომობა, სამსახურეობრივი წინსვლის ან საკუთარი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა, რაც პროფესიულ ასოციაციათა წევრების მიერ იყო აღნიშნული.

მმართველ პარტიაში ბევრი იმისთვის ერთიანდება, რომ თუნდაც უმნიშვნელო თანამდებობა მოიპოვოს და ამას სიღარიბის გამო აკეთებს. (პარტიის წევრი კაცი)

ერთ-ერთმა მონაწილემ პარტიაში იძულებით გაერთიანებაზეც კი ისაუბრა.

მმართველ პარტიაში გაერთიანება შეიძლება იძულებითიც იყოს ან კომპრომისის შედეგი იყოს. (პარტიის წევრი კაცი)

მიზნების მიღწევის შესაძლებლობა

წევრობის სარგებელი და შედეგები მჭიდროდ არის დაკავშირებული ასოციაციაში გაერთიანებასთან. ძირითად მოგებად განხილვის მონაწილეთა მიერ დანახული იყო მიზნის

მიღწევის შესაძლებლობა. ეს ეხებოდა საქართველოში მიმდინარე სოციო-პოლიტიკურ ტრანსფორმაციას და მოქალაქეთა სურვილს, ზეგავლენა მოეხდინათ გადაწყვეტილების მიღებაზე პოლიტიკური პარტიებისა, თუ პროფესიული ასოციაციების მეშვეობით.

პარტიებს და სხვა ნებაყოფლობით ასოციაციებს შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა საზოგადოებასა და ხელისუფლებაზე, მაშინ როდესაც ინდივიდუალურ დონეზე ამის გაკეთება ძალზე რთულია. (პარტიის წევრი კაცი)

პროტესტები უფრო ეფექტურია მაშინ, როდესაც ბევრი ადამიანი იღებს მასში მონაწილეობას. პროფესიული კავშირების ეფექტურობა მათ ზომავთა დამოკიდებული. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

როდესაც თქვენ გსურთ საკითზე ზეგავლენის მოხდენა, ამის გაკეთება უფრო ადვილია პროფესიული ორგანიზაციის მეშვეობით (პროფესიული ასოციაციის კაცი წევრი).

დაცვა

ვფიქრობ ადამიანი დღეს უფრო დაცულია, იმ შემთხვევაში თუ ის პოლიტიკური პარტიის წევრია. (პარტიის წევრი კაცი)

კარიერული წინსვლა და ძალაუფლების მოპოვება

პროფესიული დახმარების მიღება ან სამუშაოს შოვნა ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობასთან ერთად, წევრობასთან დაკავშირებულ უპირატესობად იქნა დასახელებული.

როდესაც გსურს ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ მარტო ხარ, ბევრად უფრო მცირე ძალაუფლება გაქვს. მოსაზრებების

გატანას უფრო მეტი ხალხი ჭირდება. (პროფესიული ასოციაციის წევრი კაცი)

3.2. ნაკლებად ხელშესახები სარგებელი

წევრები, ეს განსაკუთრებით ექსპრესიულ ასოციაციების წევრებს ეხებათ, გაწევრიანების ნაკლებად ხელშესახებ უპირატესობებს განიხილავდნენ. ისინი საუბრობდნენ მიკუთვნების გრძნობაზე, სხვებთან ერთობაზე და მიუთითებდნენ, რომ ასოციაციაში გაწევრიანების შედეგად გაიზარდა მათი თვით-შეფასება.

მიკუთვნების შეგრძნება

ემოციურად რასაკვირველია გაქვს მიკუთვნების შეგრძნება. შენ იმ ადამიანებთან ხარ, ვინც შენსავით ფიქრობს. ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა. (პროფესიული ასოციაციის წევრი კაცი)

ღმერთის გარეშე ადამიანი მარტოა, თუნდაც მთელი სამყარო მის გარშემო იყოს. ადამინი მარტოა, თუ ღმერთთან მისასვლელი გზა არ აქვს. მრევლი ერთიანი ორგანიზმია, რომელიც იზიარებს ბედნიერებასაც და უბედურებასაც და ჩვენ ნელ-ნელა ერთად ვიზრდებით. (მრევლის წევრი ქალი)

ზოგიერთთან უფრო ახლოს ვარ, მაგრამ ყველა ერთმანეთთან არის დაკავშირებული, თუ ვინმე - თუ ვინც ის ვისაც პირადად არ იცნობ არ არის, შენ იწყებ ფიქრს „ნეტავ სად არის, რატომ არ მოვიდა?“ (მრევლის წევრი ქალი)

თვით-განვითარება

გაერთიანების წევრობა იძლევა თვითრეალიზაციის შესაძლებლობას.

ემოციური თვითრეალიზაცია, რომელსაც საქრთველოს ეროვნული სპორტული გუნდების კოლექტიური და ორგანიზებული მხარდაჭერით მიიღწევა მნიშვნელოვან სარგებელს წარმოადგენს. ადამიანი ივსება ენერჯით და გარშემო სასიამოვნო ატმოსფერო იქმნება, რაც გადამდებია. (ფან კლუბის წევრი კაცი)

წევრობა ასევე ხელს უწყობს თვითგანვითარებას და საკუთარი თავის უკეთ შეცნობას.

როდესაც მთაში მიდიხარ, მაქსიმუმ სამი დღის შემდეგ შენ საკუთარი თავის წინაშე შიშვლდები, უფრო მეტს იგებ შენ შესახებ და სულიერად იზრდები. მთაში სწავლობ ტკივილს, ნებისყოფას, მეგობრის და კაცობრიობის სიყვარულს. (განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადამიანთა კლუბის წევრი)

ადამინი ცდილობს საკუთარი თავი წარმოადგინოს ახალი რაკურსით და ეს მას საკუთარი თავის პოვნაში ეხმარება. (განსაკუთრებული ინტერესის მქონე ადამიანთა კლუბის წევრი)

შინაგანი სიმშვიდე

სიმშვიდის მოპოვება, ბედნიერების შეგრძნება, სულიერი მხარდაჭერა, ისევე როგორც მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების მიღება, მნიშვნელოვან უპირატესობად მიაჩნიათ მრევლის წევრებს.

მე ეკლესიაში ვიპოვნე ყველაფერი ის, რასაც ცხოვრებაში ვეძებდი. (მრევლის წევრი ქალი)

დადებითი ცვლილება განწყობაში დანახული იყო განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადამიანთა კლუბის წევრების მიერ. წევრები საუბრობდნენ სიამოვნებაზე, კმაყოფი-

ლებაზე, აქტიურ რელაქსაციაზე, ემოციურ განტვირთვაზე, სტრესის შემცირებასა და დეპრესიასთან გამკლავებაზე.

საერთო ინტერესებზე ერთად მუშობა იძლევა კმაყოფილებას და რელაქსაციას მძიმე სამუშაო დღის შემდეგ. (განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადმიანთა კლუბის წევრი)

სხვების გაგება

მე-ზე ზეგავლენის გარდა მრევლის წევრები ასევე საუბრობდნენ იმ ზეგავლენაზე, რაც წევრობას მათ ურთიერთობებზე ქონდა, ისეთ სარგებელზე, როგორცაა სხვების პატივისცემის დასწავლა და ურთიერთგაგების მიღწევა.

ჩვენს ეკლესიაში სიმშვიდე და ურთიერთგაგება სუფევს. ჩვენ, მრევლს მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან და მე ვერ წარმომიდგენია რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი. (მრევლის წევრი ქალი)

ინფორმაციის გაზიარება

ორივე ტიპის ასოციაციის წევრებმა აღნიშნეს ინფორმაციის, ცოდნის მიღება და გაზიარება, როგორც სარგებელი, რომელსაც ასოციაციის წევრობა იძლევა.

მე და ჩემ მეგობრებს ქალაქის ისტორია გვინტერესებს, ისე რომ ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს შეხედულებებს და ცოდნას. ამგვარად ჩვენ ვუზიარებთ ჩვენს ცოდნას მათ, ვინც ჩვენსავით ფიქრობს, რაც ძალზე სასიამოვნო გამოცდილებაა. (განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადმიანთა კლუბის წევრი)

მე ეკლესიაში დიდი ხანია დავდივარ. მე ვკითხულობდი რელიგიურ ლიტერატურას, მაგრამ ეხლა მე მას განსხვავე-

ბულად ვკითხულობ. მე ზოგი ადგილები ზეპირად ვიცოდი, მაგრამ ნაკლებად მესმოდა ის რასაც ვკითხულობდი. ეხლა მე ყველაფერი მესმის და ვიცი რატომ ვკითხულობ. (მრევლის წევრი ქალი)

პრესტიჟი

ნაკლებად ხელშესახებ უპირატესობად დასახელებულ იქნა პრესტიჟი, რომელსაც პროფესიული ასოციაციების წევრობა იძლევა.

მნიშვნელოვანია იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, თუ ვსურს შენი ნამუშევრების გამოფენა. წევრობა ნიშნავს, რომ შენ გალიარებენ როგორც პროფესიონალს. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

4. ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წევრობის უარყოფითი შედეგები

სტუდენტთა ჯგუფმა დაასახელა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების წევრობის ორი უარყოფითი შედეგი – ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების დაკარგვა და საკუთარი შეხედულების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობის შეზღუდვა.

ნებაყოფლობით ასოციაციის წევრობასთან მთელი რიგი უპირატესობებია დაკავშირებული. მათი ხასიათი და მნიშვნელობა, სხვა ნაკლებ გაცნობიერებულ და ხელმოსაჭიდ უპირატესობებთან ერთად ადამიანს ასოციაციაში გაერთიანებისაკენ უბიძგებენ.

გაწევრიანების ყველაზე აშკარა მიზეზს იმ მიზნების მიღწევა წარმოადგენს, რომელთა დამოუკიდებლად მიღწევა ძნელი ან შეუძლებელია. წევრობასთან დაკავშირებული სარგებელი შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ხელშესახები. სარგებელს შორის გამოირჩევა საკუთარი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილების მიღწევა, კარიერული წინსვლა, პროფესიული წარმატება, ერთობლივი აქტიობისაგან მიღებული სიამოვნება, ინფორმაციის თუ ცოდნის მიღება, უსაფრთხოების გზრდა, წმინდა ტექსტების გაგება თუ მარტოობისაგან თავის დაღწევა. ამასთან ერთად წევრობა აკმაყოფილებს მიკუთვნების მოთხოვნილებას, ზრდის სხვებთან სიახლოვეს, ხელს უწყობს შინაგანი სიმშვიდის მიღწევას, თვითრეალიზაციას და პიროვნულ განვითარებას, საკუთარი თავისა და სხვების უკეთ გაგებას.

5. ორგანიზაციის აქტიობები

დისკუსიის მონაწილეებმა ჩამოთვალეს ის აქტიობები, რომლებსაც ისინი ორგანიზაციებში ახორციელებენ. ეს აქტიობები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ორგანიზაციების მიხედვით. პოლიტიკურ პარტიებში დიდი დრო ეთმობა სემინარებს, პარტიის პროგრამების წერას და სხვადასხვა პრობლემების ანალიზს. დიდი ძალისხმევაა მიმართული ორგანიზაციის განვითარებაზე, რეგიონებში პარტიის ოფისების გახსნაზე და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაზე. პარტიები მუშაობენ სხვადასხვა ჯგუფების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, დიდ დროს უთმობენ პოლიტიკურ დებატებს და პოლიტიკოსებთან მოლაპარაკებებს. მმართველი პარტიის წარმომადგენელმა აგრეთვე აღნიშნეს აქტიობები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.

პროფესიული ასოციაციები მხარდაჭერას უწევენ თავის წევრებს, ამარაგებენ მათ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალებით, აწყობენ სემინარებს. მრევლის წევრები კითხულობენ რელიგიურ ტექსტებს და მათ მოძღვართან ერთად განიხილავენ. მოძღვრები ასევე უთმობენ დროს მრევლის წევრების მიერ დასმული კითხვების გაცემას.

ჩვენს ეკლესიაში კიდია ყუთი, რომელშიც ჩვენ ვყრით შეკითხვებს. დრო და დრო მოძღვარი ხსნის ყუთს და პასუხობს შეკითხვებს. (მრევლის წევრი ქალი)

კლუბის წევრების აქტიობები უფრო მრავალფეროვანია და უფრო აქტიობის სფეროზეა დამოკიდებული. მათი უმრავლესობა ეხება გამოცდილების გაზიარებას და მათი ინტერესის საკითხის გარშემო საუბარს. თუმცა ისინი ასევე უფრო

კონკრეტულ ქმედებსაც ახორციელებენ. ასე მაგალითად, სპორტის მოყვარულთა კლუბი აქტიურად გულშემატკივრობს ეროვნული ნაკრებების თამაშებს.

ჩვენ ვწერთ ლექსებს და შეძახილებს და მათ თამაშის დროს წარნმოვადგენთ. ჩვენ თამაშის დროს საერთოდ არ ვჯდებით, ვდგევართ და მთელი თამაშის განმავლობაში ხმამალლა ვგულშემატკივრობთ გუნდს. (ფან კლუბის წევრი კაცი)

თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კლუბი ადგენს საპროტესტო წერილებს და ორგანიზაციას უკეთებს საპროტესტო აქციებს. იგი ასევე ავრცელებს ინფორმაციას ქალაქის ისტორიის შესახებ.

ჩვენ თბილისის კულტურული მემკვიდრეობა ბრილიანტად მიგვაჩნია, ბევრს კი, განსაკუთრებით მთავრობის წევრებს ის შუშა გონიათ. ჩვენ გვსურს ვაჩვენოთ, რომ ის ბრილიანტია და მას ისე უნდა მოექცე, როგორც ბრილიანტს. (განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადამიანთა კლუბის წევრი კაცი)

ასოციაციებში განხორციელებული აქტივობები ცხადია განსხვავდებიან ორგანიზაციის სახის მიხედვით. პოლიტიკური პარტიები ძირითადად დაკავებული არიან პარტიის გაძლიერებით – წევრთა მოზიდვით და ორგანიზაციული განვითარებით. პროფესიული ასოციაციების აქტივობები უკავშირდება წევრების განათლებას, მათ ინფორმაციულ თუ იურიდიულ მხარდაჭერას. მრევლი ძირითად დროს წმინდა ტექსტების კითხვას და მათ განმარტებას უთმობს. განსაკუთრებული ინტერესების კლუბების აქტივობები კი ამ ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობებსა და ინფორმაციის გაზიარებასთან არის დაკავშირებული.

6. მონაწილეობის დაბალი დონის მიზეზები

ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წევრებმა მონაწილეობის სიმცირის მრავალი მიზეზი დაასახელეს. მათ შორის პიროვნებასთან და ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსთან დაკავშირებული.

პიროვნებასთან დაკავშირებული მიზეზები

ნიჰილიზმი, პასიურობა და უსუსურობის განცდა

პიროვნული მახასიათებლები, ისეთი როგორცაა პასიურობა და სიზარმაცე, ხშირად იყო დასახელებული მონაწილეობის სიმცირის მიზეზად.

ტახტზე წევზარ და გგონია, რომ ყველაფერი კარგად არის და არც არაფერი გაინტერესებს. (სტუდენტი კაცი)

დისკუსიის მონაწილეები ხშირად ახსენებდნენ ნიჰილიზმს, ინტერესის არ ქონას და უსუსურობის გრძნობას.

ადამიანები ვერ იჯერებენ, რომ შეძლებენ თავის ქმედებებით რაიმეს შეცვლას. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი კაცი)

მე არ ვარ მოტივირებული გავწევრიანდე რაიმე ორგანიზაციაში. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც სპექტაკლში ვმონაწილეობ. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი კაცი)

როდესაც ჩემს გარშემო რაიმე უსამართლობას ვხედავ, ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ მე ვერაფერს გავხდები. (სტუდენტი ქალი)

ინიციატივის ნაკლებობა

დისკუსიის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა ინიციატივის ნაკლებობა და ამის სხვადასხვა მიზეზი დაასახელა – საზოგადო-

ების შეუწყნარებლობა, საბჭოური მემკვიდრეობა და მოსახლეობის ხელისუფლებაზე დიდი ზომით დამოკიდებულება.

საზოგადოებაში აღინიშნება ინიციატივის ნაკლებობა, იმიტომ რომ, ადამიანის მიერ ინიციატივის გამომჟღავნება საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს. (პროფესიული ასოციაციის წევრი მამკაცი)

ინიციატივა დასჯადია. სამი თაობისათვის აზროვნება აკრძალული იყო. საზოგადოება ტრავმირებულია და გამოჯამრთელებას საჭიროებს. (პროფესიული ასოციაციის ქალი წევრი)

მიზეზი პოსტ-საბჭოური ტრავმაა. გაერთიანება ჩემში ეჭვს იწვევს. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი მამკაცი)

ძალაუფლებაში მყოფი ადამიანები გვართმევენ ინიციატივას. ინიციატივის დაკარგვა კი თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი მამკაცი)

მონაწილეები ასევე საუბრობდნენ მოსახლეობის ხელისუფლებაზე ზედმეტად დამოკიდებულების შესახებ.

სამწუხაროა, რომ საზოგადოება ასე დამოკიდებულია ხელისუფლებაზე: ხალხი მზად არ არის, რომ გამოვიდეს, გაერთიანდეს და მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა. (პროფესიული ასოციაციის მამკაცი წევრი)

იმის მოლოდინი, რომ შენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს

პასიურობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იქნა იმის მოლოდინი, რომ შენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს.

ჩვენს საზოგადოებაში სამწუხაროდ ყველა იმას ელოდება, რომ რომელიმე პოლიტიკური ლიდერი გააკეთებს შენს გა-

საკეთებელ საქმეს. სამოქალაქო საზოგადოება ძალზე სუსტია და მე არ ვიზიარებ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკოსები არაფერს აკეთებენ. ეს რას ნიშნავს? პოლიტიკოსებიც იგივე საზოგადოებოს წევრები არიან და თუ ჩვენ არაფერს ვაკეთებთ, არავინ, არც პოლიტიკური პარტია და არც პოლიტიკოსი არ გააკეთებს ჩვენ გასაკეთებელ საქმეს. (პარტიის წევრი ქალი)

საქართველოში ხალხი ელოდება როდის გააკეთებს ვინმე იმას, რაც მან თვითონ უნდა გააკეთოს. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი კაცი)

შიში

დისკუსიების მონაწილეებმა აღნიშნეს ხელისუფლების მიერ შექმნილი შიშის ატმოსფერო და ასევე შიში, რომელსაც ორგანიზაციის წევრობა მათში წარმოშობდა.

სამარცხვინოა, როდესაც ქართველები ამბობენ, რომ რაღაცას შიშის გამო არ აკეთებენ. (პარტიის წევრი კაცი)

როდესაც ადამიანებს აკავებენ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობის გამო, ისინი იწყებენ ფიქრს, რომ თვითონვე უნდა მიხედონ საკუთარ თავს და რომ მათ არავინ დაეხმარება. ეს არის იმის მიზეზი, რომ ყველა თავს არიდებს აქტიურ მონაწილეობას. არავის უნდა ზედმეტი პრობლემები. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი კაცი)

დისკუსიის წევრებმა ასევე ისაუბრეს სხვა ხასიათის შიშზე, კერძოდ კი საკუთარ სივრცეში სხვების შეჭრის შიშზე ნებაყოფლობით ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში და ასევე ორგანიზაციის წევრების მიერ ძალაუფლების მოპოვებისა და ამ ძალაუფლებით სიამოვნებით გამოწვეულ შიშზე.

თუ შენ ერთიანდები იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ასოციაციაში, ასოციაციის წევრები დროთა განმავლობაში აუცილებლად შემოიჭრებიან შენს პიროვნულ სივრცეში. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი ქალი)

მე შემოქმედებითი ჯგუფის წევრი ვიყავი. ეს ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის ძალიან საინტერესო პერიოდი იყო. შეიქმნა მიკრო-სამყარო, რომელშიც ვარე სამყაროს, საზოგადოების, პლანეტის და კულტურის ყველა პრობლემა იყო არეკლილი. ამ გამოცდილებამ მეც და ჩემი მეგობრებიც ძალიან შეგვაშინა. ჩვენ ჩვენს თავში დავინახეთ ის, რაც არ მოგვწონდა. როდესაც ჯგუფი იკრიბება, მისი ძალაუფლების გაზრდის სურვილი ილვიძებს, რაც მე ძალზე საშიშად მიმაჩნია. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი კაცი)

რესურსების სიმცირე

მონაწილეებმა აღნიშნეს აზროვნების თავისუფლების ნაკლებობა, როგორც მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორი.

არ არის აზროვნების თავისუფლება, სწორედ ამის გამო ვერ ხედავენ პოლიტიკური პარტიების საჭიროებას. (პოლიტიკური პარტიის წევრი კაცი)

განათლების სიმცირე და იმის არ ცოდნა, თუ რა გზით შეიძლება იქნეს მიღწეული მიზანი, მონაწილეობის სიმცირის ერთ-ერთ მიზეზად იყო დასახელებული.

განათლების დეფიციტია. ამის გამო ადამიანები ვერ ახერხებენ საკუთარი მოსაზრებების ლოლიკურ არგუმენტებზე დაყრდნობას. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ეკონომიკური სიდუხჭირე

ეკონომიკური სიდუხჭირე ხშირად იყო დასახელებული მონაწილეობის სიმცირის მიზეზად. დისკუსიის წევრები მიუთითებდნენ, რომ მთელი დრო და ენერჯია ეკონომიკურ გადარჩენას ემსახურებოდა და სხვა აქტივობებისათვის დრო არ რჩებოდა.

ხალხი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრით არის დაკავებული და დრო აღარ რჩება საზოგადოებრივი აქტივობებისათვის. (მრევლის წევრი კაცი).

როდესაც ათასი რამ გაწუხებს, თუ შენი ცოლი მშვირია, არ გახვალ გარეთ ხეების დასარგავად. შენ დაკავებული იქნები ოჯახის პრობლემების გადაჭრით იმისათვის, რომ ცხოვრება გაიუმჯობესო. (მამაკაცი სტუდენტი)

ადამიანებს იმდენი რამე აწუხებთ, რომ მათ არ რჩებათ არც დრო და არც ენერჯია რაიმე სხვა გააკეთონ. (პროფკავშირების წევრი ქალი)

მიკუთვნების მოთხოვნების გააქვრება

ბევრი მონაწილე საუბრობდა იმაზე, რომ არ ქონდა მონაწილეობის სურვილი და თავს ისედაც კომფორტულად გრძნობდა. ამ მოსაზრებას გამოხატავდნენ დისკუსიის ის მონაწილეები, რომლებიც არ იყვნენ რაიმე გაერთიანების წევრები. ისინი საუბრობდნენ იმაზე, რომ საკმარისი რაოდენობის მეგობრები ყავდათ, რაც სრულად აკმაყოფილებდა მათ ურთიერთობის და გაზიარების მოთხოვნებს, ისე რომ სხვა აქტივობებისათვის მათ დრო არ რჩებოდათ. დისკუსიის მონაწილენი ხაზს უსვავდნენ იმ დადებით მხარეებს, რაც მათი აზრით ქონდა ჩაურთველობას.

ქართულ საზოგადოებაში ხალხს მრავალი ურთიერთობა აქვს, ამიტომ ასოციაციებში გაერთიანების მოთხოვნილება დიდი არ არის. აქ არაფორმალური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია. (ასოციაციის არა-წევრი მამკაცი)

მე მეგობრები მყავს, მათაც ყავთ მეგობრები, ისე რომ ჩვენ ერთი წრე გვაქვს. ეს საკმარისია. ეს უკვე ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. (ასოციაციის არა-წევრი მამკაცი)

გამოხატვის თავისუფლების შენარჩუნება

ზოგიერთმა მონაწილემ ჩართულობის სიმცირის დადებით მხარეზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის მოსაზრებების პლურალიზმსა და დამოუკიდებლობაზე.

მე საზოგადოების ფრაგმენტირება დადებით მოვლენად მიმაჩნია. საქართველოში ასეთი ტრადიცია არსებობდა – ჯერ ხდებოდა ჯგუფის ჩამოყალიბება და შემდეგ მისი საქმიანობის შინაარსის ძიება. საზოგადოება უფრო ჯანმრთელი იქნება, თუ მეტი დიფერენციაცია მოხდება და მეტი სუბ-კულტურა ჩამოყალიბდება; ადამიანები ჯერ გადაწყვეტენ იმას, თუ რა არის მათთვის ღირებული და მხოლოდ შემდეგ ჩამოაყალიბებენ ჯგუფს. (ასოციაციის არა-წევრი მამკაცი)

მირჩევნია თავისუფლად გამოვხატო ჩემი მოსაზრება, არ მქონდეს პასუხისმგებლობა ორგანიზაციის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ, რომ მათი შეხედულება გამოვხატო. (სტუდენტი ქალი)

გარემოსთან დაკავშირებული მიზეზები

სოციალური სიცარიელე

ერთობისა და სოლიდარობს სიმცირე დასახელებულ იქნა, როგორც მონაწილეობის დამაბრკოლებელი პირობა. ჯგუფის წევრებმა ამის არა ერთი მიზეზი დაასახელეს – გაერთიანების მიზნის არ არსებობა, მოქალაქეობის შეგრძნების არ ქონა, უპასუხისმგებლობა.

ჩვენ გვაკლია სოლიდარობის გრძნობა. დევნილმა ქალმა თავი მოიკლა და მხოლოდ 20 ადამიანი გამოვიდა ქუჩაში პროტესტის ნიშნად. ამ ტიპის საზოგადოება ერთობისთვის მზად არ არის. (პროფესიული ასოციაციის წევრი მამაკაცი)

ერთ-ერთმა მონაწილემ ხაზი გაერთიანების მიზნის არ არსებობას გაუსვა.

ახლა არ აქვს მნიშვნელობა კავშირის წევრობას, იმიტომ რომ პირადი კონტაქტები უფრო მნიშვნელოვანია და კავშირი აღარ არის მხატვარსა და მთავრობას შორის შუამავალი. კონტრაქტებზე ხელმოწერა და გამოფენების მოწყობა ხდება პირადი ნაცნობობის საფუძველზე, ისე რომ კავშირის წევრობა აღარ არის საჭირო პროფესიული წარმატებისათვის. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ბევრმა მონაწილემ ხაზი გაუსვა მოქალაქეობის გრძნობის მნიშვნელობას გაწევრიანებისათვის.

საბჭოთა პერიოდში ქართველებმა დაკარგეს გრძნობა, რომ ქვეყნის პატრონები არიან. ამ გრძნობის გარეშე კი მოქალაქე ვერ იქნები აქტიური. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ჩართვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თავს მესაკუთრედ გრძნობ, გაქვს შეგრძნება, რომ ეს ქვეყანა შენია. (ასოციაციის არა-წევრი ქალი)

საზოგადოება არ არის მზად იმისათვის, რომ ქვეყანა თავის საკუთრებად აღიქვას. ეს უნდა ისწავლებოდეს. (ასოციაციის არა-წევრი ქალი)

ჯგუფის ზოგიერთი წევრის შეხედულებით კუთვნილების გრძნობის არ ქონა მჭიდროდ იყო დაკავშირებული უპასუხისმგებლობის გრძნობასთან და პირადი სივრცის შეგრძნებასთან, როგორც ასოციაციის არა-წევრმა მამკაცმა აღნიშნა:

მონაწილეობის სიმცირე საზღვრების შედეგია, როდესაც ადამიანი მანქანაში ზის, მისი სამყარო მანქანით მთავრდება; გარეთ სხვა სამყაროა. ადამიანი ალებს ფანჯარას და ნავაგს აგდება სხვა სამყაროში. ეს ემყარება იდეოლოგიას, რომ „ჩემი სივრცე ღობესთან ერთად მთავრდება.“ (ასოციაციის არა-წევრი მამკაცი)

ადამიანი შეიძლება რაღაცას აკეთებდეს სახლში, მაგრამ ამ სახლებს საზღვრები აქვთ. ადამიანები გამოდიან გარეთ საჯარო სივრცეში, და თუ რაიმე ისე არ არის ამ საჯარო სივრცეში მან რაღაც უნდა გააკეთოს მდგომარეობის გამოსასწორებლად. (განსაკუთრებულ ინტერესთა კლუბის წევრი მამკაცი)

მე მხოლოდ ის უნდა დავიცვა რაც ჩემია, ჩემს საზღვრებში არსებული ქონება და ყოველმა ჩვენგანმა ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. (სტუდენტი ქალი)

სოლიდარობის სიმცირის ერთ-ერთ მიზეზად საზოგადო-

ების წევრებს შორის დიალოგის არ არსებობა იქნა დასახელებული.

ეს არის საზოგადოება დიალოგის გარეშე. ახალგაზრდა თაობას არ სურს საუბარი მამების თაობასთან; ხელისუფლება არ არის დაინტერესებული საუბრით მოქალაქეებთან. ლიბერალებს არ სურთ დიალოგი კონსერვატორებთან. ასე რომ საზოგადოება გახლეჩილი და პოლარიზებულია. (ასოციაციის არა-წევრი მამაკაცი)

არასტაბილობა ხელს უწყობს პასიურობას.

დღეს დარგავ ხეს და ხვალ ის შეიძლება მოჭრან და იქ სახლი ააშენონ. (მამაკაცი სტუდენტი)

ინფორმაციის სიმცირე

მონაწილეებმა დაასახელეს მონაწილეობის შესაძლებლობებისა და ზოგადად ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის სიმცირე.

გვიქრობ საქართველოში ხალხი ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება. ხალხმა, განსაკუთრებით რეგიონებში არ იცის სიმართლე. (პარტიის წევრი მამაკაცი)

შეთავაზებათა სიმცირე

ზოგმა აღნიშნა, რომ არ არის ასოციაციის წევრი იმიტომ, რომ მას წევრობა არავინ შესთავაზა.

უნდობლობა

ხელისუფლებისადმი უნდობლობას სხვებისადმი – პოლიტიკოსების, ლიდერების და ნებაყოფლობით ორგანიზაციებისადმი უნდობლობას იწვევს.

ორგანიზაციებს არ აქვთ ჩამოყალიბებული მიზნები. ადამიანებს არ აქვთ იმის განცდა, რომ სხვა წევრებიც იგივეს ფიქრობენ, რასაც ისინი. იმისათვის, რომ გაწევრიანდეს ადამიანი უნდა ენდობოდეს თავის თანამოქალაქეებს. (ასოციაციის არა-წევრი მამაკაცი)

ადამიანები ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ შედეგი მცირეა. (პროფკავშირების წევრი ქალი)

ორგანიზაციისადმი უნდობლობა აისახება ადამიანის ეჭვში, რომ მისი წვლილი საზოგადოების საკეთილდღეოდ არ იქნება გამოყენებული. (მამაკაცი სტუდენტი)

ადამიანი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ის რასაც ის გააკეთებს სწორი მიმართულებით იქნება გამოყენებული. (მრევლის წევრი მამაკაცი)

უნდობლობას ამყარებენ არაეფექტური ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და ცვლილების მიღწევის შესაძლებლობის სიმცირე.

ჩვენ მრავალი ორგანიზაციის გაჩენის მოწმენი გავხდით, რომლებიც ქვიშის პირამიდებივით ჩამოიშალნენ და გაქრნენ, ჩვენ კი იმედგაცრუებული დაგვტოვეს. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

იქმნება ჯგუფი, რომელსაც მიზნები აქვს, რაღაცას აკეთებს, მაგრამ დრო გადის და ის იშლება. (ასოციაციის არაწევრი ქალი)

ქვეყნის დამოუკიდებლობამდე არქიტექტორთა კავშირი ძალიან აქტიური იყო. ცხარე დისკუსიები იმართებოდა იმის თაობაზე თუ სად უნდა დადგმოლიყო ძეგლები, განხილვები ეხებოდა შენობებს და ქალაქების დაგეგმარე-

ბას. ახლა კავშირში ამ საკითხების განხილვა აღარ ხდება, რადგან კავშირი ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს რეალურ გადაწყვეტილებებზე. ასე რომ შემცირდა კავშირში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა. (პროფესიული კავშირის წევრი მამაკაცი)

შედეგების მიღების შეუძლებლობა პასიურობას ბადებს.

როდესაც რაღაცას ვაკეთებ მე შედეგის ნახვა მინდა. თუ შედეგს ვერ ვხედავ ჩემი მოტივაცია მცირდება. (პროფესიული ასოციაციის მამაკაცი წევრი)

ყოველ ნაბიჯს უნდა მოყვეს რაიმე შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი პასიური ხდება. (განსაკუთრებული ინტერესის მქონე წევრთა კლუბის ქალი წევრი)

ხელმძღვანელობის არაეფექტურობა

ბევრი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის პასიურობა ხელმძღვანელობის არაეფექტურობით და მათ მიმართ იმედგაცრუებით არის გამოწვეული.

ასოციაცია პასიურია, როდესაც ლიდერი ვერ მართავს საკუთარ წევრებს. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

უკვე 20 წელია, რაც ხალხი იმედგაცრუებულია ლიდერებში. ლიდერები მუდმივად იცვლიან თავის შეხედულებებს. (პროფესიული ასოციაციის წევრი მამაკაცი)

მე ასოციაციაში გაწევრიანება შემომთავაზეს, მაგრამ მე არ მომეწონენ ხელმძღვანელები. (ასოციაციის არა-წევრი ქალი)

ხელისუფლების დამოკიდებულება

სიტუაცია დიდწილად ხელისუფლების წევრების დამოკიდებულებითა და მოქმედებებით არის გაპირობებული.

ხელისუფლებას არ უნდა დემოკრატია. ისინი უშვებენ ცოტა თვითმმართველობას, ცოტა მედიის თავისუფლებას, ცოტა პარტიების თავისუფლებას იმისათვის, რომ მიიღონ დასავლეთის დახმარება. ჩვენ არც ვაზი გვაქვს და არც ნავთობი, ისე რომ გადარჩენისათვის და ხელფასების გადასახდელად ხელისუფლებამ უნდა დაუშვას დემოკრატია რაღაც ხარისხით, რომ მიიღოს ფული და შეინარჩუნოს ძალაუფლება. (მამაკაცი მრევლის წევრი)

უნდა მოტივირებული იყო, რაიმე გააკეთო შენი ქვეყნისათვის, მაგრამ როდესაც სახელმწიფო უგულვებელყოფს ადამიანებს და მათზე არ ზრუნავს, შენ კარგავ მოტივაციას. (პროფკავშირების წევრი ქალი)

ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში არ ყოფნა.

ჩვენ „დიალოგში არ ყოფნის“ რეჟიმში ვიმყოფებით, რადგან ხელისუფლებას არ სურს დიალოგი. (ასოციაციის არა-წევრი მამაკაცი)

სამოქალაქო ტრადიციის სიმცირე და საბჭოური მემკვიდრეობა

არ არსებობს კლუბებში გაერთიანების ტრადიცია. ჩვენი თაობა სკეპტიკურად ეკიდება ნებაყოფლობით ორგანიზაციებს. (ასოციაციის არა-წევრი მამაკაცი)

უფროსი ასაკის ფოკუს ჯგუფის წევრები ძალზე ხშირად საუბრობდნენ საბჭოურ მემკვიდრეობაზე.

ჩვენ დროს არავინ არაფერს გვეკითხებოდა. ყველაფერი ზემოდან მოდიოდა. ჩვენ ყველამ ვიცით რას წარმოადგენდა კომუნიზმი. (პროფკავშირის მამაკაცი წევრი)

საბჭოთა პერიოდში ადამიანები იძულებულნი იყვნენ გაერთიანებულიყვნენ ნებაყოფლობით ორგანიზაციებში, მაგრამ მათთვის საინტერესო საკითხებზე მხოლოდ სამზარეულოში შეეძლოთ ლაპარაკი. ისე რომ ნებაყოფლობითი გაერთიანების ან რაიმეს კეთების ტრადიცია ვერ ჩამოყალიბდა. (ასოციაციის არა-წევრი მამაკაცი)

ისინი, ვინც საბჭოთა პერიოდში გავიზარდეთ ავტორიტეტებზე ვართ დამოკიდებული. ჩვენ მორიდებით გამოვთქვავთ ჩვენს სურვილებს და გვიჭირს ჩვენი სურვილების გახმოვანება. ჩვენ ველარაფერი შეგვცვლის. (პროფესიული ასოციაციის ქალი წევრი)

დისკუსიის წევრები განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ სამოქალაქო აქტივობის დაბალი დონის მიზეზების დასახელებისას. ეს განსაკუთრებით შეეხებოდათ სტუდენტების და არა-წევრების ჯგუფებს. დასახელებული იყო მიზეზები, რომლებიც პიროვნებას შეეხებოდა და მიზეზები, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს ეხებოდა. მაგრამ, საკუთარ გრძნობებზე საუბრის დროსაც კი დისკუსიის წევრები თითქმის ყოველთვის ეხებოდნენ კონტექსტუალურ ფაქტორებს, რომლებიც ამ გრძნობების უკან მოიაზრებოდნენ. პასიურობა, უიმედობა და უსუსურობის შეგრძნება ასოციაციების არაეფექტურობის აღქმასთან და სახელმწიფო პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. მრავალმა მონაწილემ დაასახელა მოქალაქეთა აქტივობის ჩახშობის მიზნით ხელისუფლების მიერ შიშის სინდრომის შექმნის

მცდელობა. დისკუსიის წევრებმა ასევე დეტალურად განიხილეს უნდობლობა, როგორც პასიურობის ძირითადი მიზეზი. უნდობლობა ეხებოდა ლიდერებს, ორგანიზაციის მართვას და მის ეფექტურობას. სხვადასვა ტიპის – განათლების, ჯანმრთელობის, დროისა და ენერჯის ნაკლებობა ასევე დასახელებულ იქნენ, როგორც მონაწილეობის ბარიერები.

რამოდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მეგობართა ფართე წრის არსებობა ხელს უშლიდა სამოქალაქო ჩართულობას, რადგან მიკუთვნების მოთხოვნილება იყო გაჯერებული, ხოლო პიროვნული რესურსები ამოწურული. ასევე რამოდენიმემ აღნიშნა არ-მონაწილეობის დადებითი მხარე – შესაძლებლობა გამონატო საკუთარი და არა ჯგუფის აზრი.

7. მონაწილეობის გაზრდის გზები

პიროვნებასთან დაკავშირებული გზები

თვით-განვითარება

შიშისაგან და შეზღუდვებისგან განთავისუფლება, ალტერნატიული და მტკიცე ნება მონაწილეობის გაზრდის წარმატებულ სტრატეგიებად იქნენ დასახელებული.

მთავარია, გათავისუფლდე შეზღუდვებისაგან. (პროფ-კავშირების წევრი მამაკაცი)

საკუთარი თავის შეცვლით არის საჭირო დაწყება, რადგან არავინ არის იდეალური ან ასი პროცენტით ალტერნატი. (პოლიტიკური პარტიის წევრი მამაკაცი)

მტკიცე ნება

ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ცდა, მაშინაც კი როდესაც ჩვენ აქტიობას შედეგი არ მოაქვს. (მამაკაცი მრევლის წევრი)

დამოკიდებულების შეცვლა

მონაწილეობის გაზრდის საშუალებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მონაწილეობის სიმცირის აღქმულ მიზეზებთან. დისკუსიის ბევრმა წევრმა დაასახელა მონაწილეობისადმი დამოკიდებულების შეცვლა და ჩართვის მნიშვნელობისადმი ცნობიერების გაზრდა, რადგან სწორედ ტრადიციის არ ქონა იყო დასახელებული მონაწილეობის სიმცირის მიზეზად. განათლება, როგორც ზოგადი ასევე სამოქალაქო, ჩათვლილ იყო მონაწილეობის გაზრდის ეფექტურ საშუალებად და მონაწილეობის იარაღების დასასწავლად. რესპონდენტებმა ხაზი

გაუსვავს სკოლაში სამოქალაქო განათლების მიღების აუცილებლობას.

ცნობიერება უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ შეიცვალოს საზოგადოება. (მამაკაცი სტუდენტი)

არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა თემებში მუშაობდნენ და ადამიანებს უნდა ასწავლიდნენ საკუთარი უფლებების დაცვას. (პოლიტიკური პარტიის წევრი ქალი)

ლიდერებისადმი დამოკიდებულების შეცვლა

ეფექტური ლიდერობა და პოლიტიკური ლიდერებისადმი ნდობის ჩამოყალიბება დასახელებულ იქნა, როგორც ჩართულობის გაზრდის საშუალება. ამავდროულად ერთ-ერთმა მონაწილემ ლიდერებისადმი ილუზიების გაქრობა დაასახელა საზოგადოების განვითარების დადებით მომენტად.

ახლა ახალი და კარგი პროცესი მიმდინარეობს. სოციალურ ბადეებში ხდება ინტერესთა ჯგუფების ფორმირება, რომლებიც ფულით არ არიან გამავრებული. სახეზეა „ენტუზიაზმის მენეჯმენტი“. სწორედ ახლა დადგა ლიდერებისადმი ილუზიების გაქარწყლების და მოქალაქეობის ფორმირების დრო. ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები ვიწყებთ ჯგუფებით დაინტერესებას. (ჯან კლუბის მამაკაცი წევრი)

გარემოსთან დაკავშირებული გზები

მონაწილეობის რეკლამირება

სატელევიზიო გადაცემები, რომანები და მოთხრობები შეიძლება რეკლამირებისა და მოქალაქეთა მობილიზების ეფექტურ საშუალებად იქნეს გამოყენებული.

მედია უნდა წარმოადგინოს ჩართულობის წარმატებული მაგალითები. (სტუდენტი ქალი)

მან ასევე უნდა გაავრცელოს ინფორმაცია.

ხალხს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია. მედია ამას არ აკეთებს. (მრევლის მამაკაცი წევრი)

მიზნების მიღწევა და დემონსტრირება

ორგანიზაციების მიერ წარმატებების მიღწევა და მათი ჩვენება ადამიანების გააქტიურებისა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მიმართ ნდობის შექმნის მნიშვნელოვან პირობად იყო მიჩნეული.

ჩვენ უნდა ნელა დავიწყოთ, მცირე, კონკრეტული საქმეების კეთებით და უნდა ვაჩვენოთ ხალხს მიღებული შედეგები. (პროფესიული ასოციაციის წევრი მამაკაცი)

ცვლილებები ყოველთვის ხდება და ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ მათში. ჩვენ ყველას შეგვიძლია გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც დადებით მაგალითად გამოდგება სხვებისათვის. (ნებაყოფლობითი ასოციაციის არა-წევრი მამაკაცი)

ხალხის მობილიზება

თემის მობილიზება დასახლებულ იყო მონაწილეობის გაზრდის მნიშვნელოვან საშუალებად. დისკუსიის მონაწილეებმა ამის მიღწევის რამოდენიმე გზა ჩამოთვალეს, თუმცა აღნიშნეს, რომ ეს საკმაოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. უპირველეს მიზნად კი ხალხში მონაწილეობისადმი ინტერესის გაღვიძება დასახელდა.

მე არ ვიცი ეს როგორ უნდა მოხდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ინტერესის გაღვიძება. (პოლიტიკური პარტიის წევრი მამაკაცი)

ადამიანი უნდა დაინტერესდეს მონაწილეობით – თუ არ ვიქნები დაინტერესებული, რატომ გავაკეთებ რამეს? (პოლიტიკური პარტიის წევრი ქალი)

მთავარია ადამიანს მონადომო რამის გაკეთება. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ახალგაზრდების ჩართვა

საბჭოური მემკვიდრეობა ხშირად, განსაკუთრებით უფროსი თაობის მიერ იყო მოხსენიებული მონაწილეობის ბარიერად. რესპონდენტები საუბრობდნენ საჭოთა პერიოდში აღზრდილ ადამიანებსა და მის შემდგომ თაობას შორის არსებულ უფსკრულზე.

ჩვენი საზოგადოება ორად არის გაყოფილი – ისინი ვინც საბჭოთა პერიოდში აღიზარდნენ და ახალი თაობა. ძველი თაობის შეცვლა შეუძლებელია. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ზემოთქმულიდან გამომდინარე ბევრმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ახალგაზრდებზე კონცენტრირება და მათი ჩართულობის გაზრდის ცდა.

სტუდენტებმა იციან, როგორ უნდა იმოქმედონ: მათ იციან როგორ დაამყარონ კონტაქტები. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

განსხვავებული აზრის პატივისცემა და ატანა

სხვისი შეხედულების პატივისცემის ჩვენება და განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტობა ბევრის მიერ იქნა დასახელებული, როგორც გაერთიანების ხელშემწყობი პირობა. რამოდენიმე მონაწილემ მიუთითა, რომ ამ მიმართულებით

არსებობდა დადებითი ტენდენციები, თუმცა ისინი ჯერ ბოლომდე გამონატული არ არის.

როდესაც ადამიანი დაინახავს, რომ მის მოსაზრებას ანგარიშს უწევენ, ის გააქტიურდება. (პოლიტიკური პარტიის წევრი მამაკაცი)

როდესაც საზოგადოება რაღაც საკითხის გარშემო ერთიანდება, როდესაც ჩემი მოსაზრება შეიძლება მიუღებელი იყოს, მაგრამ მე ამისთვის არავინ ჩამქოლავს, მაშინ დაიწყებენ კავშირები ფუნქციონირებას. (პროფესიული ასოციაციის წევრი ქალი)

ცხადია, რომ მონაწილეობის გაზრდის გზები სარკისებურად არეკლავდნენ მონაწილეობის ბარიერების ჩამონათვალს. ამდენად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეცვლა – ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა და არსებული სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა პოლიტიკით, რომელიც მხარს ჩართულობას დაუჭერდა, იქნა ჩართულობის გაზრდის ეფექტურ საშუალებებად დასახელებული. ჯგუფის წევრებმა ასევე აღნიშნეს ორგანიზაციების ეფექტურობის გაზრდის, კონკრეტული, მიღწევადი მიზნების დასახვის და მიღწევების ხალხისათვის გაცნობის აუცილებლობა. მონაწილეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ზომები გაზრდიდნენ ნდობას ორგანიზაციების მიმართ და ამის შედეგად მონაწილეობას.

რაოდენობრივი კვლევის დროს ჩატარებულმა დისკუსიებმა ცხადყვეს მონაწილეთა ინტერესი სამოქალაქო ჩართულობის მიმართ. მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიებში, ძირითადად ამჟღავნებდნენ ტოლერანტობას განსხვავებული აზრის მიმართ, გამონატავდნენ სურვილს გაეგრძელებინათ ურთიერთობა დისკუსიის ჯგუფის წევრებთან და მიეღოთ ინფორმაცია კვლევის საბოლოო შედეგებზე.

დიკუსიის მონაწილენი იზიარებდნენ აზრს სამოქალაქო აქტიობის მნიშვნელობაზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. ჯგუფებში ძალზე ხშირად დგებოდა საკითხი ლიდერებისა და ასოციაციებისადმი ძირითადად პოლიტიკურ ჭრილში ნდობის თაობაზე, როგორც მონაწილეობის წინა პირობაზე. რწმენა, რომ საკუთარი რესურსები და ძალისხმევა არ იქნება არასწორად გამოყენებული, მრევლის წევრობის ყველაზე მომხიბლველ მახასიათებლად იქნა დასახელებული.

გარემო, რომელიც ხასიათდება სოციო-ეკონომიკური პირობებით გამოწვეული პიროვნული რესურსების სიმცირით, სახელმწიფო პოლიტიკა და ხელისუფლების დამოკიდებულება მოქალაქეთა ჩართულობის მიმართ, მონაწილეობის დაბალი დონის ძირითად მიზეზებად იქნა დასახელებული. შესაბამისად, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, პოლიტიკური ნდობის, ინდივიდუალური და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაზრდა, კონკრეტული ორგანიზაციების მიერ შედეგზე ორიენტირებული მიზნების დასახვა, მათი მიღწევა და მოსახლეობისათვის გაცნობა და ხალხის მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო მობილიზება განხილულ იქნა, როგორ სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის ეფექტური საშუალებები.

ცხრილი 4

კვლევის ხარისხობრივი ნაწილის შეჯამება

ინსტრუმენტული ასოციაციების წევრები	ექსპრესიული ასოციაციების წევრები
ასოციაციაში გაწევრიანების მიზეზები	
შინაგანი მოთხოვნილება	
საერთო ინტერესი	
სხვების საჭიროება დასახული მიზნის მისაღწევად	
ლიდერისადმი ნდობა	
სოციალური გარემო	
ორგანიზაციის ეფექტურობა	
ქვეყანაში ცვლილებების აუცილებლობა	პირადი ხასიათის უარყოფითი მოვლენები: ახლობლის გარდაცვალება, უბედურება, ავადმყოფობა და სხვა
საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების სურვილი	
წევრობის სარგებელი	
მიზნების მიღწევის შესაძლებლობა	
უსაფრთხოება	
მიკუთვნების გრძნობა	
გრძნობების, ინფორმაციის და ცოდნის გაზიარება	
კარიერა და პრესტიჟი	პიროვნული ზრდა
ძალაუფლება	სხვების გაგება
	შინაგანი სიმშვიდის მოპოვება
მონაწილეობის დაბალი დონის მიზეზები	
ნიჰილიზმი, პასიურობა და უსუსურობა	
ინიციატივის სიმცირე	
იმის მოლოდინი, რომ სხვა გააკეთებენ შენს საქმეს	
გაჯერება; ურთიერთობების საკმარისი რაოდენობის ქონა	
პიროვნული რესურსების სიმცირე: ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული დროისა და ენერჯის სიმცირე	

ნებაყოფლობით ორგანიზაციებზე და აქტივობებზე ინფორმაციის სიმცირე	
სოლიდარობის სიმცირე	
მონაწილეობის ტრადიციის სიმცირე და საბჭოური მემკვიდრეობა	
მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოების აქტიური წევრების მიმართ	
ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დიალოგის სიმცირე	
მონაწილეობის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა; შიშის დამკვიდრება მონაწილეობასთან დაკავშირებით;	
ცვლილების მიღწევის შეუძლებლობის განცდა	
ორგანიზაციისადმი უნდობლობა	
ლიდერებისადმი უნდობლობა	
იმის შეგრძნების არ ქონა, რომ ქვეყანა შენ გეკუთვნის და სამოქალაქო ცნობიერების ნაკლებობა	
მონაწილეობის გაზრდის საშუალებები	
მონაწილეობის მოთხოვნილების შექმნა	
თვით-განვითარება	
განსხვავებული აზრის მოთმენის მხარდაჭერა	
დაბეჯითებით სვლა მიზნის მისაღწევად	
მონაწილეობისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მონაწილეობის პროპაგანდირება	
მობილიზაცია და მოსახლეობის ნებაყოფლობით აქტივობებში ჩართვა	
რეალისტური მიზნების დასახვა და შედეგების ჩვენება	
სახელმწიფოს მიერ მონაწილეობის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება	
ახალგაზრდობის ჩართვა	
შიშისგან გათავისუფლება	

III. ძირითადი შედეგები: რაოდენობრივი მონაცემები

1. გამოკითხვის მიზნები და მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- მონაწილეობის დეტერმინანტების შეფასება;
- ჰიპოთეზის შემოწმება იმის თაობაზე, რომ კონტროლის მოთხოვნილება უფრო მეტად არის გამოკვეთილი ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებთან, ხოლო მიკუთვნების მოთხოვნილება ექსპრესიული ასოციაციის წევრებთან;
- ეგო-ბადეების აღწერა და სამოქალაქო ჩართულობის ზეგავლენის დადგენა ნდობაზე და შესაბამისად სოციალურ კაპიტალზე, ანუ დაშვების შემოწმება იმის თაობაზე, რომ სოციალური კაპიტალის გაზრდა ხდება ნებაყოფლობითი ასოციაციის წევრების ეგო-ბადეებში განთავსების მეშვეობით.

პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა სპეციალურად კვლევისთვის შექმნილი კითხვარის მეშვეობით, რომელიც 44 კითხვისაგან შედგებოდა. კითხვების დიდი ნაწილი ფორმულირებული იყო ფოკუს ჯგუფებში დისკუსიების შედეგების მიხედვით. კითხვარი ასევე შეიცავდა მთელ რიგ სტანდარტულ საზომებს, გამოყენებულს ღირებულებათა მსოფლიო გამოკითხვასა და ფსიქოლოგიურ კვლევებში.

კონტროლის მოთხოვნილება გაზომილი იყო Burger და Cooper-ის (1979) კონტროლის სურვილის შკალის მეშვეობით. შკალა ზომავს ინდივიდუალურ განსხვავებებს სასიცოცხ-

ლო მოვლენების კონტროლის ზოგად სურვილში. მიკუთვნების მოთხოვნილება გაზომილი იყო სოციალური კავშირისა და სოციალური დარწმუნების შკალების შემოკლებული ვერსიის მეშვეობით (Lee & Robbins, 1995). გენერალიზებული ნდობა და ოპტიმიზმი გაზომილი იყო სტანდარტული, ერთ-პუნქტიანი საზომების მეშვეობით. მატერიალისტური/პოსტ-მატერიალისტური ღირებულებითი ორიენტაციის გასაზომად გამოყენებული იყო მსოფლიო ღირებულებათა გამოკითხვის სტანდარტული ინსტრუმენტი (Wenzel & Inglehart, 2008). ეგობადეების აღწერა მოხდა სახელების გენერირების მეთოდით. იდენტიფიცირებული იყო ბადეებში დასახელებულ პირებთან არსებული ურთიერთობის ტიპი და ხანგრძლიობა, მათი ასოციაციაში წევრობა და ბადის წევრებს შორის კომუნიკაცია.

საველე სამუშაოები განახორციელეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო კურსის სტუდენტებმა 2011 წლის 21 ივლისიდან 2012 წლის 24 იანვრამდე.

გამოკითხული იყო ოთხი სახის ასოციაციის 150-150 წევრი, სულ 600 პიროვნება. ეს იყო 1.ორი ინსტრუმენტული ასოციაცია: პოლიტიკური პარტიები და პროფესიული ასოციაციები, 2.ორი ექსპრესიული ასოციაცია: განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადამიანთა კლუბები და მრევლი. პირისპირ ინტერვიუები აღებული იყო რესპონდენტთა სამსახურებში ან სახლებში. სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა ორგანიზაციულ დონეზე, ტესტში შედარებულია ინსტრუმენტული და ექსპრესიული ასოციაციების წევრთა მონაცემები, თუმცა დანართ 1-ში ასევე წარმოდგენილია მონაცემები ოთხივე სახის ორგანიზაციისათვის ცალ-ცალკე.

2. დემოგრაფიული მონაცემები

600 რესპონდენტიდან 44.3. პროცენტს კაცები და 55.7 პეროცენტს ქალები შეადგენდნენ. რესპონდენტთა საშუალო ასაკი ორგანიზაციებს შორის განსხვავდებოდა. ყველაზე ახალგაზრდები განსაკუთრებული ინტერესის კლუბების წევრები იყვნენ ($M=24.8$; $SD=8.6$), შემდეგ პოლიტიკური პარტიის ($M=34.9$; $SD=14.0$) და მრევლის ($M=36.4$; $SD=4.5$) წევრები. პროფესიული ასოციაციების წევრები უფრო მეტად ($M=42.0$; $SD=16.3$) წარმოადგენდნენ უფროს თაობას.

რესპონდენტთა განათლების სტატუსი მაღალი იყო. პარტიის წევრების 98 პროცენტს, პროფესიულ ასოციაციათა წევრების 98.3 პროცენტს, კლუბების წევრთა 96.7 პროცენტს და მრევლის 94.0 პროცენტს ქონდა საშუალოზე უფრო მაღალი განათლება. თითქმის ყველა (95.3 პროცენტი) მართლმადიდებელი იყო. გამოკითხულთა უმრავლესობამ (92.2 პროცენტი) დაადასტურა მისთვის რელიგიის დიდი მნიშვნელობა. გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები (37.9 პროცენტი) იყო დაქორწინებული.

ინსტრუმენტული ასოციაციების წევრთა უფრო დიდი ნაწილი (78.6 პროცენტი) მსახურობდა, შედარებით ექსპრესიული ასოციაციის წევრებთან (54.7 პროცენტი).

3. რესპონდენტთა პიროვნული მახასიათებლები და დამოკიდებულებები

რესპონდენტთა უმრავლესობამ გამოხატა ცხოვრებით კმაყოფილება. 58.4 პროცენტმა აღნიშნა, რომ ძირითადად და 32.3 პროცენტმა რომ გარკვეულ წილად კმაყოფილი იყო ცხოვრებით. უმრავლესობა ასევე ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

ყობილი. 79.7 პროცენტი მოელოდა, რომ საქმეები ისე წაუვიდოდ, როგორც ეს მას თვითონ სურდა. ამ მიმართებით ჯგუფები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ. თუმცა ისინი განსხვავდებოდნენ საკუთარ თავში რწმენასთან მიმართებაში (*Chi-Square* 25.55; *df* 2; $p < .001$). ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები უფრო მეტად იყვნენ თვითდაჯერებული (68.6 პროცენტი), შედარებით ექსპრესიული ასოციაციების წევრებთან (50.7 პროცენტი).

ორივე ტიპის ასოციაციის წევრები ფიქრობენ, რომ ბევრით შრომას საბოლოოდ წარმატება მოაქვს ($M=91.2$; $SD=8.8$) და ის თუ რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში უფრო მასზეა დამოკიდებული, ვიდრე სხვებზე ან სიტუაციაზე ($M=85.3$; $SD=14.7$).

4. სამოქალაქო ჩართულობის დეტერმინანტები

სამოქალაქო ჩართულობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის: ჩართულობის მნიშვნელობის აღქმა, კონტროლისა და მიკუთვნების მოტივაცია, ისეთი მიზნების ქონა, რომელთა მიღწევაც კოლექტიურ ქმედებას მოითხოვს, მონაწილეობის სარგებელის აღქმა, მონაწილეობის ხელისშემწყობი გარემო, (მაგ. ლიდერისადმი ნდობა და რწმენა ორგანიზაციის ეფექტურობაში), რწმენა ცვლილების მიღწევის შესაძლებლობაშია, რწმენა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, ჩართვის შესაძლებლობების არსებობა (მაგ. პიროვნული რესურსების – დროისა და ენერჯის ქონა), ქვეყანაში არსებული ორგანიზაციების სიმჭიდროვე და მრავალფეროვნება, ინფორმაცია ასოციაციების შესახებ და /ან მოწვევა მონაწილეობაზე.

მონაწილეობის მნიშვნელობის აღქმა


უმრავლესობამ მიუთითა მონაწილეობის მნიშვნელობაზე. მონაწილეობა დანახული იყო, როგორც საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებელი პირობა. ასე ფიქრობდა ინსტრუმენტული ასოციაციების წევრთა ბევრად უფრო დიდი ნაწილი (86.0 პროცენტი) ექსპრესიული ასოციაციების წევრებთან (63.0 პროცენტი) შედარებით (*Chi-Square* 45.36; *df* 2; $p < .001$). შესაბამისად, ექსპრესიული ასოციაციის წევრები (38.0 პროცენტი) ინსტრუმენტული ასოციაციების წევრებთან შედარებით (26.1 პროცენტი) თავს უფრო უსუსურად გრძნობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე (*Chi-Square* 18.10; *df* 2; $p < .001$).

ორივე ტიპის ასოციაციის წევრები (66.0 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა მოქმედებებს ხალხის სურვილების მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ რა მიაჩნია მას მართებულად. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილი ხელისუფლების მიმართ და მეტად უჭერდნენ მხარს ხალხის მონაწილეობას საჯარო ცხოვრებაში. ინსტრუმენტული ასოციაციების უფრო დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ საქართველო არ იყო განვითარების სწორ გზაზე (46.7 პროცენტი 25.2 პროცენტის წინააღმდეგ; *Chi-Square* 43.04; *df* 2; $p < .001$). ინსტრუმენტული ასოციაციების წევრთა 59.3 პროცენტს და ექსპრესიულ ასოციაციათა 46.9 პროცენტს მიაჩნდა, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებდა მოქალაქეთა შეხედულებებს (*Chi-Square* 27.28; *df* 2; $p < .001$).

ასოციაციებში გაერთიანების მიზეზები

გადაწყვეტილება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გაცნობიერებულ მოქმედებას წარმოადგენს. რესპონდენტებს

მოეთხოვებოდათ მიეთითებინათ იმ მიზეზებზე, რომლებმაც განაპირობეს მათი გაწევრიანება. ყველაზე ხშირად შერჩეულ იქნა ორგანიზაციის მიზნების გაზიარება, საერთო ინტერესი და ახალი ინფორმაციის მიღება.




ნახ.8

ინსტრუმენტულ ასოციაციებში გაერთიანების გავრცელებული მიზეზები

23 მიზეზზე პასუხების ანალიზმა ცხადყო განსხვავება ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ ასოციაციებს წევრებს შორის. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები გაწევრიანების უფრო მეტ მიზეზზე მიუთითებდნენ. მხოლოდ ექვსი მიზეზი – თვითრეალიზაცია, სიამოვნების მიღება, რელაქსაცია, ჯანსაღი ცხოვრების სტილი, ის რომ, გახდეს ცნობილი და მარტოობისგან თავის დაღწევა იქნა შერჩეული ექსპრესიული ასოციაციების წევრთა უფრო დიდი ოდენობის მიერ.

იმ სამ მიზეზს შორის, რომელიც ყველაზე ხშირად იყო შერჩეული, ორს ექსპრესიული და ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები ერთნაირი სიხშირით ირჩევდნენ, ესენი იყო საერთო მიზნები და ინტერესები. მესამე ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი განსხვავდებოდა ასოციაციის ტიპის მიხედვით. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები არჩევანს აკეთებდნენ ცვლილების აუცილებლობაზე და მისი მიღწევის შესაძლებლობაზე, ხოლო ექსპრესიული ასოციაციების წევრები რელაქსაციასა და შინაგან სიმშვიდეზე.



ნახ.9

ემსპრეიულ ასოციაციებში გაერთიანების
გაპრცელეებული მიზეზები

ცხრილი 5


	გაწევრიანების მიზეზები	ინსტრუმენტული ასოციაციები %	ექსპრესიული ასოციაციები %	სულ %	ჯგუფებს შორის განსხვავება <i>Chi-Square, df, p</i>
1	საერთო მიზნები	94.0	73.6	83.8	64.44, 4, <.001
2	საერთო ინტერესები	91.3	60.1	75.7	85.02, 4, <.001
3	სურვილი მქონოდა მეტი ინფორმაცია	72.0	50.3	61.2	50.71, 4, <.001
4	მიმელო გამოცდილება	77.6	42.7	60.1	97.02, 4, <.05
5	ჩავრთულიყავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში	80.3	36.7	58.5	150.21, 4, <.001
6	გაზიარების სურვილის გამო	71.7	43.7	57.7	59.73, 4, <.001
7	მწამდა, რომ აუცილებელი იყო ცვლილება და რომ მისი მიღწევა შესაძლებელი იყო	80.7	33.1	56.9	64.03, 4, <.001
8	საკუთარი და სხვების ინტერესების დასაცავად	84.7	27.4	56.1	219.58, 4, <.001
9	თვითრეალიზაციისათვის	66.3	35.9	51.2	83.55, 4, <.001
10	იმისათვის, რომ გამეცნო საჭირო ხალხი	64.5	37.3	50.9	65.18, 4, <.001

11	მწამლა რა, რომ ორგანიზაციის ლიდერი მნიშვნელოვანი მიზნებისათვის იბრძოლებდა	70.5	20.0	45.2	169.43,4 ,<.001
12	სიამოვნების მისაღებად	31.0	54.7	42.9	38.2,,4,<.001
13	რელაქსაციისა და შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად	15.8	67.0	41.5	175.81,4,<.001
14	ქვეყანაში არსებული ვითარების შესაცვლელად	64.7	14.0	39.3	204.01, 4,<.001
15	ცხოვრების ჯანსაღი სტილის განხორციელების შესაძლებლობის გამო	33.1	40.8	37.0	n.s.
16	მხარდაჭერის მისაღებად	51.5	22.3	36.9	64.49,4,<.001
17	კარიერაში წარმატების მიღწევისთვის	47.2	17.4	32.3	116.61,4,<.001
18	პრესტიჟის გამო	49.5	15.1	32.3	135.08, 4,<.001
19	ჯგუფისადმი მიკუთვნების გამო	29.1	27.3	28.2	20.61,4,<.001
20	იმისათვის, რომ თავი უსაფრთხოდ მეგრძნო	26.4	25.1	25.8	13.22, 4, <.05
21	იმისათვის, რომ გავმხდარიყავი ცნობილი	17.8	22.0	19.9	46.15, 4,<.001


22	მატერიალური სარგებელის მიღებისათვის	22.7	2.7	12.7	90.70, 4,<.001
23	მარტოობისგან თავის დასაღწე- ვად	5.7	16.4	11.0	26.49,4,<.001
24	დროის გატარე- ბის მიზნით	11.7	9.7	10.7	n.s.
25	ძალაუფლების მოსაპოვებლად	13.0	3.0	8.0	52.30,4,<.001

წევრობის მომხიბლაობა

გადაწყვეტილება გაწევრიანების შესახებ, ასევე არის დამოკიდებული ორგანიზაციის მიმზიდველობაზე. მსგავსად მიზეზებისა, ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების უფრო დიდმა ნაწილმა მიუთითა სარგებელზე, რომელიც მათ გაწევრიანებამ მოუტანა. შეგრძნება, რომ ხარ ჯგუფის წევრი, გაზიარების და ახალი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა იყო ორივე ჯგუფის მიერ ხუთ ყველაზე ხშირად დასახელებულ სარგებელს შორის. განსხვავება ორგანიზაციის ტიპებს შორის კი აღმოჩნდა ერთის გარდა – უსაფრთხოების განცდა ყველა დანარჩენ, შესაფასებლად ჩამოთვლილ სარგებელში. ინსტრუმენტული ასოციაციების წევრებისათვის ყველაზე მეტად მომხიბლავი სასარგებლო საქმის კეთებისგან მიღებული კმაყოფილება, ახალი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და ჯგუფის წევრობა იყო. ექსპრესიული ასოციაციის წევრებისათვის კი, ჯგუფის წევრობა და გაზიარება, რელაქსაცია და შინაგანი სიმშვიდის მოპოვება.



ნახ. 10
ინსტრუმენტული ასოციაციის ყველაზე მიზიდველი თვისებები



ნახ. 11
ექსპრესიული ასოციაციის ყველაზე მიზიდველი თვისებები

ცხრილი 6

წევრობის სარგებლის რანჰირება.
 პასუხები ვეთანხმები და მთლიანად ვეთანხმები

რანჰი		ინსტრუმენ- ტული ასოციაციები %	ექსპრესი- ული ასოციაციები %	სულ %	განსხვავება <i>Chi-Square,</i> <i>df, p</i>
1	შეგრძნება, რომ ჯგუფის წევრი ხარ	88.7	82.3	85.5	36.7,4,<.001
2	გაზიარების შესაძლებლობა	86.9	68.6	77.7	35.8,4, <.001
3	ახალი გამოცდი- ლების მიღების შესაძლებლობა	89.3	57.0	73.2	84.5,4,<.001
4	შეგრძნება, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებ	91.7	52.0	71.8	128.5,4,<.001
5	საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა	83.3	59.3	71.3	531.1,4,<.001
6	აზრის გამოხატ- ვის შესაძლებ- ლობა	86.0	54.7	70.3	83.2,4,<.001
7	თვითრეალიზა- ციის შესაძლებ- ლობა	77.7	49.5	63.6	69.5,4,<.001
8	მრწამსი იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციას შეუძლია ზეგავ- ლენა მოახლი- ნოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე	79.3	38.0	58.7	136.2,4,<.001

9	მიზნების მიღწევის შესაძლებლობა	69.0	44.8	56.9	54.8,4,<.001
10	რელაქსაციის და შინაგანი სიმშვიდის მიღწევის შესაძლებლობა	27.2	71.0	49.2	118.3,4,<.001
11	შეგრძნება, რომ მნიშვნელოვანი პიროვნება ხარ	52.0	40.5	46.2	32.3,4,<.001
12	შეგრძნება, რომ შეგიძლია ზეგავლენა მოახდინო ორგანიზაციაზე	63.9	21.0	42.4	164.2,4,<.001
13	უსაფრთხოების განცდა	41.3	42.0	41.6	n.s.
14	კარიერული წინსვლა	58.1	17.0	37.5	158.9,4,<.001
15	შესაძლებლობა გახდეს ცნობილი	37.3	10.3	23.8	99.2,4,<.001
16	მარტოობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა	15.5	25.1	20.3	19.9,4,<.05
17	შეგრძნება, რომ ფლობ ძალაუფლებას	20.2	8.7	14.4	73.9,4,<.001

„კონტროლისა“ და „მიკუთვნების“ მოტივაცია

მოთხოვნილება ან მოტივაცია, ნებისმიერი მოქმედების საფუძველს წარმოადგენს. მოტივაცია განსაზღვრავს იმას „თუ მოცემულ სიტუაციაში ადამიანი რატომ ირჩევს გარკვეულ ქცევას ან რატომ პასუხობს ის უფრო ენერგიულად, ანდა რატომ იძლევა უფრო ხშირად ამდაგვარ პასუხს“ (Barg.,

Collwitzer., & Oettingen, 2010. p.268). მოტივებს განსაზღვრავენ, „როგორც სტიმულთა იმ კლასს, რომელსაც ინდივიდი მომხიბლავად მიიჩნევს.“

მოტივაცია შინაგან მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც ოპერირებს, როგორც ცნობიერ ასევე არაცნობიერ დონეზე. იგი მიმართავს ადამიანის მოქმედებებს იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სასურველი მიზანი ან თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი შედეგი. ასე რომ ერთი და იგივე მიზნები შეიძლება მიახლოების ან თავიდან აცილების ტერმინებით იქნენ ფორმულირებული (Elliot., & Fryer, 2008). ასე მაგალითად, პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანიამ შეიძლება ფოკუსირება მოახდინოს გარკვეული ჯგუფების კეთილდღეობის გაზრდაზე ან არსებული ხელისუფლების მოშორებაზე.

სამოქალაქო ჩართვის აქტივაცია ხდება ორი ძირითადი მოტივის მეშვეობით, ესენია „კონტროლის“ და „მიკუთვნების“ მოტივები. კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ჰიპოთეზის შემოწმება იმის თაობაზე, რომ კონტროლის მოტივაციის მაღალი დონის მქონე პირები ინსტრუმენტულ, ხოლო მიკუთვნების მოტივაციის მაღალი დონის მქონე პირები ექსპრესიულ ასოციაციებში ერთიანდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპის ასოციაციაში გაწევრიანების გადაწყვეტილებაში ორივე მოტივაცია მონაწილეობდა.

კონტროლის მოტივაცია

კონტროლის მოტივაცია ასახულია ისეთ კონსტრუქტებში, როგორცაა თვითეფექტურობა (Bandura, 1977), კონტროლი (Heider, 1958), ქმედითუნარიანობა (Deci & Ryan, 1987), თვითკონტროლი (Baumeister & Heatherton, 1996) უსუსურობა (Seligman, 1975).

პიროვნული კონტროლი განისაზღვრება, როგორც „კოგნიცია – განსჯა, რომ ადამიანს აქვს უნარი, რესურსები ან შესაძლებლობები განახორციელოს მოქმედება, რომელიც გაზრდის სასურველი შედეგების მიღწევის ან უარყოფითი შედეგებისგან თავის აცილების ალბათობას“ (Thompson & Schlehofer, 2008, გვ.42). კონტროლი ადაპტაციას უწყობს ხელს და ისეთ დადებით შედეგებთან არის დაკავშირებული, როგორცაა კეთილდღეობა, სტრესთან მორგების უნარი, ქცევის გაუმჯობესება (Thompson & Schlehofer, 2008). ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონტროლის სურვილის ოდენობის მიხედვით. ემპირიული მონაცემები მიუთითებენ, რომ ისინი ვისაც მაღალი მაჩვენებელი აქვს კონტროლის სასურველობის შკალაზე (Burger & Cooper, 1979) უფრო აქტიურები არიან, უფრო დაბეჯითებით იღწვიან მიზნის მისაღწევად, უფრო ადვილად იღებენ გადაწყვეტილებებს, უკეთ ასრულებენ რთულ დავალებებს და მეტად იღწვიან ლიდერობისთვის. მაგრამ ზოგჯერ კონტროლის არ ქონა შეიძლება ასევე მომგებიანი იყოს. ეს შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც სიტუაცია სინანულის და დადანაშაულების მომცველია, ან როდესაც კონტროლის მცდელობა წარუმეტებლობით სრულდება. კონტროლი შეიძლება არ იყოს სასურველი მაშინ, როდესაც შედეგი მნიშვნელოვანია, ხოლო წარმატების მიღწევის შესაძლებლობა კი მცირე (Thompson & Schlehofer, 2008).

კონტროლის სურვილი თანდაყოლილია, თუმცა მასზე გამოცდილებაც ახდენს ზეგავლენას (White, 1959). ჩართვა ზრდის კონტროლის შეგრძნებას.

კონტროლის სურვილის შკალის მონაცემებზე ჩატარებულიმა დისპერსიულმა ანალიზმა მიუთითა განსხვავებაზე კონტროლის მოტივაციის მაჩვენებლებში ინსტრუმენტულ

და ექსპრესიულ ასოციაციათა წევრებს შორის ($F_{33.36}; d f_1; p < .001$). ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების მაჩვენებელი იყო უფრო მაღალი ($M=65.23; SD=8.40$), ვიდრე ექსპრესიული ასოციაციის წევრების მაჩვენებლები ($M=61.31; SD=8.22$).

მიკუთვნების მოტივაცია

ობიექტური გამორჩეულობის თეორიის მიხედვით, პიროვნების სოცალურ იდენტურობას ორი მოტივი - მიკუთვნების მოთხოვნილება და მოთხოვნილება იყოს სხვებისგან განსხვავებული, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ასიმილაციისა და დიფერენციაციის მოტივები ასაზრდოებს (Brewer, 1991).

მიკუთვნების მოთხოვნილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ უნივერსალური და თანდაყოლილია და იგი სახეზეა ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელ ყველა ინდივიდში (Leary & Cox, 2008). ურთიერთობის დამყარება და გაღრმავება დადებით ემოციებთან არის დაკავშირებული. მიკუთვნების გრძნობის ნაკლებობა კი სტრესთან, დეპრესიასა და ჯანმრთელობის პრობლემებთან არის ასოცირებული.

მკვლევართა ერთი ნაწილი (მაგ. Baumeister & Leary, 1995) მიკუთვნებას განიხილავს, როგორც ერთ, ზოგად მოტივს, რომელიც სხვადასხვა ურთიერთობას მოიცავს, სხვა ავტორები კი სხვადასხვა ტიპის, ცალკეული ურთიერთობების ქონის მოთხოვნილებაზე მიუთითებენ. Leary და Cox-ი, (2008) კომპრომისულ მოსაზრებას გამოხატავენ, მიიჩნევენ რა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მიკუთვნების ზოგადი მოთხოვნილება და ასევე მოტივაცია ქონდეთ გარკვეული ტიპის მოთხოვნილებები.

კომპიუტერული კომუნიკაციის პოპულარობაც დიდი ოდენობით მიკუთვნების მოთხოვნილებას ეყრდნობა (Van Bel., Ijsselstein., & de Kort, 2008). ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება დროსა და ენერჯიას მოითხოვს და დიდწი-

ლად ადამიანის ხელთ არსებულ რესურსებზეა დამოკიდებული. რესურსების შეზღუდული ბუნების გამო შესაძლებელია ამ მოთხოვნების გაჯერება. მიკუთვნების კომპენსატორული ხასიათის თაობაზე არსებული მონაცემები არაერთგვაროვანია, ისე რომ ცხადი არ არის, ხდება თუ არა ერთი ტიპის ურთიერთობის ნაკლებობის სხვა ტიპის ურთიერთობით კომპენსირება.

Kilpatrick-ი და Ellis-ი (2001) განიხილავენ ხუთი ტიპის ერთობას, რომელსაც შეიძლება ადამიანი მიეკუთვნებოდეს:

1. ჯგუფები მაკრო-დონეზე, როგორცაა ტომები, სოფლები, თემი, ერები. წევრებს შეიძლება არ ქონდეთ პირდაპირი კონტაქტი, მაგრამ ისინი ახდენენ საკუთარი თავის ამ ჯგუფებთან იდენტიფიცირებას. ეს ჯგუფები გარკვეულ უპირატესობებს სთავაზობენ საკუთარ წევრებს, მაგ. რესურსების ხელმისაწვდომობას ან სხვა ჯგუფებისგან დაცვას;
2. ინსტრუმენტული კოალიციები – ადამიანები ერთად მუშაობენ გარკვეული მიზნების მისაღწევად. ასეთია სამუშაო ჯგუფები, კომიტეტები, სამოქალაქო ორგანიზაციები, კავშირები და სხვა;
3. ურთიერთობები შეუღლებისათვის;
4. ნათესაური ურთიერთობები;
5. მეგობრული ურთიერთობები.

მიკუთვნების მოტივაციის გასაზომად ორი შკალის – სოციალური დარწმუნებულობის და სოციალური კავშირების, მოდიფიცირებული ვერსია იქნა გამოყენებული (Lee & Robbins, 1995). სოციალური დარწმუნებულობის შკალა ზომავს

იმას, თუ რამდენად ეყრდნობა ინდივიდი სხვებს, ხოლო სოციალური კავშირების შკალა ზომავს ემოციურ დისტანციას ანუ კავშირს ინდივიდსა და სხვებს შორის. კვლევისათვის ამ შკალებიდან შერჩეულ იქნა ექვსი დებულება, რომელთაც ქონდათ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთად ყოფნის, აფილაციისა და კავშირის ფაქტორებზე.

დისპერსიულმა ანალიზმა ცხადყო ინსტრუმენტალურ და ექსპრესიულ ასოციაციების წევრთა შორის განსხვავება მიკუთვნების მოთხოვნილების ოდენობაში ($F 26.38; df 1; p < .001$). ექსპრესიული ასოციაციის წევრთა მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ინსტრუმენტულ ასოციაციების წევრების მაჩვენებლებს ($M=14.37; SD=3.28$).

მონაცემები გვაძლევენ საშუალებას დავასკვნათ, რომ ორივე, კონტროლისა და მიკუთვნების მოთხოვნილება სახეზეა როგორც ინსტრუმენტული, ასევე ექსპრესიული ასოციაციების წევრებთან და ამასთან კონტროლის მოთხოვნილება უფრო გამოკვეთილია ინსტრუმენტულ, ხოლო მიკუთვნების მოტივაცია ექსპრესიული ასოციაციის წევრებთან. ამდენად, ჩვენი მოლოდინი გამართლა იმის თაობაზე, რომ ინსტრუმენტულ ასოციაციებში მეტი იქნებოდა იმ ადამიანთა ოდენობა, ვისაც ექნებოდა კონტროლის, ხოლო ექსპრესიულ ასოციაციებში კი მიკუთვნების მაღალი მოთხოვნილება.

გამოკითხვის ყველა მონაწილემ ხაზი გაუსვა მონაწილეობის მნიშვნელობას. მონაწილეობას უფრო დიდ მნიშვნელობას ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები ანიჭებენ. ისინი ასევე უფრო კრიტიკულად არიან განწყობილი ხელისუფლების მიმართ და არსებულ სიტუაციასაც უფრო კრიტიკულად აფასებენ, ვიდრე ამას ექსპრესიული ასოციაციის წევრები აკეთებენ.

ორივე ტიპის ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ასოციაციაში გაწევრიანებას განაპირობებს ისეთი მიზეზები, როგორცაა საერთო ინტერესი, საერთო მიზნები, ინფორმაციის, ახალი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, მიკუთვნების გრძნობა, უსაფრთხოების განცდა და დროის გატარება. ამ საერთო მიზეზების გარდა არსებობს კიდევ განსხვავებული მიზეზები.

ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები, ექსპრესიულ ასოციაციის წევრებთან შედარებით გაწევრიანების უფრო მეტ მიზეზს ასახელებენ და მეტ წევრობაში მომხიბლობას ხედავენ. ესენია:

- 1. ცვლილების საჭიროება და მათი განხორციელების შესაძლებლობა, რაც მოიცავს საკუთარი და სხვების ინტერესების დაცვას, ქვეყანაში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლას, სასარგებლო საქმის კეთებას;**
- 2. ხელშესახები პიროვნული სარგებელის მიღება, ისეთი როგორცაა თვით-რეალიზაცია, საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას, იმის განცდას, რომ მნიშვნელოვანი პიროვნება ხარ, საჭირო და საინტერესო ადამიანების გაცნობას, მხარდაჭერის მიღებას, კარიერაში წინსვლას და პრესტიჟს, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ძალაუფლების მოპოვებას;**
- 3. მონაწილეობის მოთხოვნილება;**
- 4. პოლიტიკური ლიდერის შესაძლებლობებში რწმენა.**


ექსპერსიული ასოციაციის წევრებისთვის მნიშვნელოვან მიზნებს წარმოადგენს:

1. რელაქსაციის და შინაგანი სიმშვიდის მიღწევის შესაძლებლობა;
2. სიამოვნების მიღება;
3. მარტოობისგან თავის დაღწევა;
4. ის, რომ გახდეს ცნობილი.

ასოციაციის წევრები განსხვავდებიან კონტროლისა და მიკუთვნების მოთხოვნილების ოდენობის მიხედვით. იმის გამო, რომ კონტროლისა და მიკუთვნების შკალები აქამდე საქართველოში არ ყოფილა გამოყენებული, ჩვენ არ გვაქვს შედეგების განზოგადების შესაძლებლობა და მხოლოდ ორგანიზაციათა ორი ტიპის მონაცემების შედარება შეგვიძლია. შედარებამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებს აქვთ კონტროლის, ხოლო ექსპერსიული ასოციაციის წევრებს კი მიკუთვნების უფრო დიდი მოთხოვნილება.

5. ასოციაციაში გაწევრიანების გზები

როგორც ეს Verba, Schlozman და Brady-მ (1995) აღნიშნეს, შეთავაზება მონაწილეობის მნიშვნელოვან წინა პირობას წარმოადგენს. გამოკითხვის მონაწილეებმა დაასახელეს ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ისინი ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ. ყველაზე ხშირად მიუთითებდნენ სხვა ადამიანების მნიშვნელობაზე, მაგ. მეგობრის ან ნათესავის რჩევაზე. საკუთარი ბადის წევრების რჩევის გამო გაწევრიანება უფრო ხშირად იყო დასახელებული ექსპრესიული ასოციაციების წევრების მიერ. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები უფრო ხშირად ასახელებდნენ ასოციაციის წევრისგან მიღებულ შეთავაზებას.



ნახ. 12


ასოციაციაში გაწევრიანების გზები

მოტივაციისა და რესურსების გარდა, ასოციაციის წევრობა მნიშვნელოვანწილად გაერთიანებაში გაწევრიანების

შეთავაზებით არის გაპირობებული. რესპონდენტთა უმრავლესობა ნაცნობისგან ან ახლობლისგან მიღებულ რეკომენდაციას ან შეთავაზებაზე მიუთითებდა. ამდენად გაწევრიანების სოციალური მხარე ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა ნაკლები ოდენობით, გაწევრიანებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მედია საშუალებებით მიღებული ინფორმაცია. ექსპრესიული ასოციაციის წევრები მასში უფრო ხშირად მეგობრისა ან ნათესავის რჩევით, ხოლო ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები კი ასოციაციის წევრისგან მიღებული შეთავაზებით წევრიანდებიან.

6. წევრობის ხანგრძლიობა, წევრობით კმაყოფილება და დასაქმება

რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარის (49.0 პროცენტი), როგორც ასოციაციის წევრის სტაჟი სამ წელს არ აღემატებოდა, 30.7 პროცენტის 4 – 10 წელს, ხოლო 20.3 პროცენტი კი 10 წელზე მეტი იყო ასოციაციის წევრი.




ნახ. 13

წევრობის ხანგრძლიობა

წევრობის ხანგრძლიობა დაკავშირებულია კმაყოფილებასთან, რადგან ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ისინი ვინც უკმაყოფილოა დიდხანს დარჩნენ ორგანიზაციის წევრებად. გამოკითხულთა უმღავლესობამ (89.8 პროცენტი) გამოხატა კმაყოფილება ასოციაციის წევრობით. რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ ორგანიზაციაში არსებული სოციალური კლიმატის

ხუთი მტკიცების მიხედვით შეფასება. კითხვარში წარმოდგენილი ხუთივე ასპექტის მიხედვით – აქტიობებით, ასოციაციის წევრებთან ურთიერთობით სიამოვნება, რწმენა წევრთა მხარდაჭერაში, ნდობა წევრების მიმართ და მათთვის საკუთარი პრობლემების გაზიარების შესაძლებლობა, კმაყოფილება უფრო დიდი იყო ექსპრესიული ასოციაციების წევრებთან.



ნახ. 14

ორგანიზაციის სოციალური კლიმატით კმაყოფილება

ასოციაციის ტიპებს შორის დიდი იყო განსხვავება ასოციაციაში დასაქმებულ რესპონდენტების რაოდენობაში. იმ რესპონდენტთა 60.3 პროცენტი, ვინც ინსტრუმენტული ასოციაციის წევრი იყო, იქვე მუშაობდა, მაშინ როდესაც ექსპრესიულ ასოციაციებში ასეთი სულ 12.4 პროცენტი იყო (*Chi-Square 148.8; df 1; p<.001*).

რომ შევაჯამოთ, ორივე ტიპის ასოციაციის რესპონდენტთა თითქმის ნახრვარი ასოციაციის წევრი სამი წელი ან სამ

წელზე ნაკლები იყო. უმრავლესობა კმაყოფილი იყო წევრობით, მაგრამ ექსპრესიული ასოციაციის წევრები ბევრად უფრო დადებითად აფასებდნენ ორგანიზაციის სოციალური კლიმატის ყველა ჩამოთვლილ ასპექტს. ინსტრუმენტული ასოციაციის ბევრად უფრო მეტი წევრი იყო დასაქმებული ასოციაციაში.

7. სოციალური კაპიტალი

სოციალური კაპიტალი დემოკრატიის აუცილებელ ელემენტად არის მიჩნეული და განისაზღვრება, როგორც „ინდივიდებს შორის კავშირი – სოციალური ბადეები და მასთან დაკავშირებული ორმხრიობის და ნდობის ნორმები (Putnam, 2000.გვ.19). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განიხილავენ სოციალური კაპიტალის ორ ასპექტს – სტრუქტურულს და კულტურულს. სოციალური ბადეები სტრუქტურულ, ხოლო გენერალიზებული ნდობა, საზოგადოებრივი ნორმები და ღირებულებები კულტურულ ასპექტს წარმოადგენენ.

7.1. სტრუქტურული ასპექტი: სოციალური ბადეები

ყოველი ადამიანი მრავალი ბადის – ნათესაურის, პროფესიულის, სამეზობლო თუ სხვა წევრია. ეგო-ბადე წარმოადგენს ბადეს, რომელიც ინდივიდისათვის მნიშვნელოვანი პიროვნებებისაგან შედგება, მიუხედავად იმისა თუ რა ტიპის ურთიერთობა აკავშირებს მათთან – ოჯახის წევრობა, მეგობრობა, თანამშრომლობა თუ სხვა.

რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ დაესახელებინათ თხუთმეტამდე ადამიანი, ვისაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ და შეეფასებინათ მათთან ურთიერთობა ისეთი თვისებების მიხედვით, როგორიცაა ურთიერთობის ტიპი, პირისპირ და სატელეფონო კონტაქტის სიხშირე, შეხვედრების ადგილი, დასახელებული პირის სქესი, უფრო ახლო ან ხშირი კონტაქტის სურვილი, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარების მზაობა, ურთიერთობის ხანგრძლიობა, პიროვნების იგივე ასოციაციაში წევრობა. ასოციაციის წევრის დასახელების შემთხვევაში რესპონდენტებს ასევე უნდა აღენიშნათ გახდა

თუ არა მოცემული პიროვნება მისთვის მნიშვნელოვანი ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ.

ზომა, ურთიერთობების ტიპი და სიმჭიდროვე

ჯგუფები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან ბადეში დასახელებული ინდივიდების რაოდენობის მიხედვით. რესპონდენტების მიერ საშუალოდ 9.6 პიროვნება იყო დასახელებული (SD= 4.4). ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ორივე ტიპის ასოციაციის წევრების ბადეებში ყველაზე დიდი ადგილი უკავიათ. შემდეგ ყველაზე ხშირად მეგობრები და ასოციაციის წევრები არიან დასახელებული.

ცხრილი 7

შრტიმერთობების ტიპები ეგო-ბადეებში


	ინსტრუმენტული	ექსპრესიული	სულ
ოჯახის წევრი ან ნათესავი	43.4	49.6	46.5
მეგობარი	29.6	34.5	32.1
გაერთიანების წევრი	17.1	8.5	12.8
თანამშრომელი, ბიზნეს-პარტნიორი	4.5	3.3	3.9
მეზობელი	2.8	1.8	2.3
სხვა	1.6	1.2	1.4
შეყვარებული	1.0	1.0	1.0
სულ	100	100	100

ეგო-ბადეების უფრო ცხადი სურათის მისაღებად ჩვენ რამოდენიმე კატეგორია – მეგობრები, მეზობლები, ბიზნეს პარტნიორები, სიყვარულის ობიექტები და სხვები ერთ კატეგორიაში გავაერთიანეთ და მას ვუწოდეთ სხვები. ამის შედეგად მიღებულ ურთიერთობათა სამი ჯგუფის – ოჯახის

წევრები და ნათესავები, ასოციაციის წევრები და სხვები, შედარებამ ასოციაციის ტიპებს შორის განსხვავება გვიჩვენა ორ კატეგორიაში, ოჯახის წევრები და ნათესავები ($F 9.00$; $df.1$ $p<.005$), და ასევე ასოციაციის წევრები ($F 26.59$; $df.1$ $p<.001$).


ნათესავების წილი უფრო დიდია ექსპრესიულ ასოციაციის (52.6 პროცენტი), ვიდრე ინსტრუმენტული ასოციაციის (45.9 პროცენტი) წევრების ბალებში, მაშინ როდესაც ასოციაციის წევრები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი ინსტრუმენტული ასოციაციის (15.7 პროცენტი), ვიდრე ექსპრესიული ასოციაციის (7.8 პროცენტი) წევრთა ბალებში. ჯგუფები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან კატეგორიის – სხვა მიხედვით. ურთიერობების ეს ჯგუფი 39.6 პროცენტს შეადგენს ექსპრესიული და 38.5 პროცენტს ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების ბალებში.

ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები არა თუ უფრო მეტად არიან წარმოდგენილი ეგო-ბალებში, არამედ ასევე უფრო მეტი მათგანი გახდა რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანი ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ. ამაზე მიუთითებს ინსტრუმენტული ასოციაციების წევრების 51.7 პროცენტი და ექსპრესიული ასოციაციებოს 23.2 პროცენტი ($Chi-Square 1.51$, $df1$; $p<.001$).



ნახ.15

ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების ეგო-ბადების შემადგენლობა



ნახ.16

მეშპრესიული ასოციაციის წევრების ეგო-ბადების შემადგენლობა

სიმჭიდროვე განისაზღვრება იმ ურთიერთობების რაოდენობით, რაც ბადის წევრებს ერთმანეთთან რესპონდენტისგან დამოუკიდებლად აქვთ. ამ მხრივ სხვადასხვა ტიპის ასოცი-


აციის წევრები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. ბადეში კონტაქტების საშუალო რაოდენობა შეადგენს 22.8-ს (SD25.5).

ასოციაციის წევრობის ზეგავლენა ეგო – ბადეებზე

ასოციაციის წევრობის ზეგავლენა ეგო-ბადეებზე უფრო მეტად არის გამოკვეთილი ინსტრუმენტული ორგანიზაციების შემთხვევაში. ორი ტიპის ორგანიზაციის წევრები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი კვლევაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებმა უფრო მეტი წევრი (493) დაასახელეს ეგო-ბადეში, ექსპრესიული ასოციაციის წევრებთან შედარებით, რომლებმაც მხოლოდ 247 ასოციაციის წევრი დაასახელეს. ამასთან ინსტრუმენტულ ასოციაციათა წევრების მიერ დასახელებული პირების 65.3 პროცენტი, ხოლო ექსპრესიულ ასოციაციათა წევრების მიერ დასახელებული 47.4 პროცენტი რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანი ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ გახდა.

კომუნიკაცია ბადის წევრებთან


ეგო-ბადის წევრების დაახლოებით ნახევართან პირები პირისპირ და ტელეფონით ყოველდღიურად, ხოლო კიდევ ერთ მესამედთან ყოველკვირეულად ურთიერთობდნენ.



ნახ.17


ურთიერთობის სიხშირე ეგო-ბადის წევრებთან

გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე ხშირად რესპონდენტები ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ურთიერთობენ. 61.9 პროცენტი ამას ყოველდღიურად პირისპირ, ხოლო 55.9 პროცენტი ტელეფონით ან ინტერნეტით აკეთებს. ასოციაციის წევრებთან ყველაზე მეტი რესპონდენტი ყოველდღიურად ურთიერთობს (46.7 პროცენტი პირისპირ და 41.3 პროცენტი ტელეფონით ან ინტერნეტით). ყველაზე ხშირად სხვებთან პირისპირ ყოველკვირეულად ურთიერთობენ (47.3 პროცენტი), ხოლო ტელეფონით და ინტერნეტით ყოველდღიურად (48.0 პრიცენტი).



ნახ. 18

პირისპირ ურთიერთობების სიხშირე ბაღის წვრებათან



ნახ.19

სატელეფონო ურთიერთობისა და ინტერნეტით კომუნიკაციის სიხშირე ბაღის წვრებათან

ინსტრუმენტული ასოციაციების წევრებს ექსპრესიული ასოციაციის წევრებზე უფრო ხშირი ურთიერთობა აქვთ ასოციაციის წევრებთან. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრთა 59.3 პროცენტი ერთმანეთთან ყოველდღიურად ურთიერთობს, მაშინ როდესაც ექსპრესიული ასოციაციის წევრები უფრო ხშირად (70.5 პროცენტი) ასოციაციის წევრებთან კვირაში ერთხელ ურთიერთობენ. მსგავსია სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაცია. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები უფრო ხშირად ორგანიზაციის წევრებს ყოველდღიურად (53.1 პროცენტი), ხოლო ექსპრესიული ასოციაციის წევრები ყოველკვირეულად (44.9 პროცენტი) უკავშირდებიან. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრთა შეხვედრის ადგილს ყველაზე ხშირად (89.0 პროცენტი) ოფისი, ხოლო ექსპრესიული ასოციაციის წევრთა შეხვედრის ადგილს ეკლესია და კლუბი (85.4 პროცენტი) წარმოადგენს.

ცხრილი 8

ასოციაციის წევრებთან კომუნიკაციის სიხშირე

	სიხშირე	ინსტრუმენტული ასოციაციები	
		პირისპირ	ტელეფონი/ ინტერნეტი
1	ყოველდღიურად	59.3	53.1
2	კვირაში ერთხელ ან რამდენჯერმე	32.8	32.7
3	თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე	5.3	7.3
4	წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად	2.6	4.9
5	არ არის კომუნიკაცია		2.0
	სულ	100	100

რესპონდენტები ყველაზე ხშირად მეგობრებთან, მეზობლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან, შეყვარებულებთან და სხვებთან კვირაში ერთხელ ურთიერთობდნენ (ინსტრუმენტული ასოციაციების 44.1 პროცენტი და ექსპრესიული ასოციაციების 51.1 პროცენტი). უფრო ხშირად ამას ერთმანეთის სახლში ქონდა ადგილი (ინსტრუმენტული ასოციაციების 50.4 პროცენტი და ექსპრესიული ასოციაციების 50.0 პროცენტი). მათთან სატელეფონო კავშირი კი უფრო ხშირად ყოველდღე ქონდათ (ინსტრუმენტული ასოციაციების 48.9 პროცენტი და ექსპრესიული ასოციაციების 47.0 პროცენტი).

ეგო-ბადეებში ქალები უფრო ხშირად იყვნენ დასახელებული, როგორც ინსტრუმენტული (53.3 პროცენტი), ასევე ექსპრესიული ასოციაციების (52.8 პროცენტი) წევრების მიერ.

ამგვარად ზომისა და სიმჭიდროვის მიხედვით ინსტრუმენტული და ექსპრესიული ასოციაციის წევრების ეგო-ბადეები ერთმანეთისგან არ განსვავდება. განსხვავებულია ბადეების შემადგენლობა და ურთიერთობის პეტერნი. ნებაყოფლობითი ორგანიზაციების უფრო მეტი წევრები არიან წარმოდგენილი ინსტრუმენტული ასოციაციების წევრების ეგო-ბადეებში, მათი ურთიერთობაც უფრო მეტი ინტენსივობით ხასიათდება ექსპრესიული ასოციაციების წევრების ურთიერთობასთან შედარებით. ასოციაციის წევრობის ხანგრძლიობის ეფექტიც უფრო მეტად ინსტრუმენტული ასოციაციების წევრებთან არის გამოხატული, რადგან გაწევრიანების შემდეგ მათი უფრო დიდი ნაწილისთვის გახდნენ ასოციაციის წევრები უფრო მნიშვნელოვანი.

7.2. კულტურული ასპექტები

გენერალიზებული ნდობა, ორმხრიობის ნორმები და ღირებულებები სოციალური კაპიტალის კულტურულ კომპონენტებს წარმოადგენენ.

გენერალიზებული ნდობა

ნდობა ზოგადად ეხება პიროვნების მოლოდინებს სხვისი ქცევის თაობაზე. ის სამყაროს არაპროგნოზირებადობის შემცირების საშუალებად არის მიჩნეული (Sztompka, 1999). გენერალიზებულ ნდობას ანსხვავებენ ურთიერთობების ნდობისაგან, რადგან იგი ეხება ნდობას არა გარკვეული პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის, არამედ ზოგადად ადამიანების მიმართ (Jones, Couch, & Scott, 1987). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Fukuyama-ს (1995) მიხედვით განსხვავება ურთიერთობების ანუ პიროვნულ ნდობასა და გენერალიზებულ, ანუ სოციალურ ნდობას შორის არ არის ძირეული, არამედ თანდათანობით ცვალებადობს და ნდობის ეს ორი ტიპი, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კონცენტრირებული წრეები, ცენტრში განლაგებული წრით, სადაც კონკრეტული ინტერპერსონალური ურთიერთობებია განლაგებული, ხოლო პერიფერიისკენ კი განლაგებულია ნდობა სოციალური ობიექტების მიმართ.

მრავალ გამოკვლევაში (მაგ. ღირებულებათა მსოფლიო გამოკითხვები) დადგინდა იქნა კავშირი გენერალიზებულ ნდობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის. ამ კავშირის ახსნა ხდებოდა გაწევრიანების ან სოციალიზაციის ეფექტის მეშვეობით. გაწევრიანების შეხედულების მიხედვით, ნდობა სამოქალაქო ჩართულობის წინა პირობას და საფუძველს წარმოადგენს (Almond & Verba, 1963; Newton, 1999) და ნება-

ყოფლობით ორგანიზაციაში მხოლოდ მაღალი ნდობის მქონე ადამიანები წევრიანდებიან. მეორე შეხედულება ეყრდნობა სოციალიზაციას და მიუთითებს, რომ ნდობა სწორედ ასოციაციაში აქტიობის შედეგს წარმოადგენს (Putnam,2000).

კვლევამ გვიჩვენა, რომ გენერალიზებული ანუ სოციალური ნდობა არ განსხვავდება ასოციაციის ტიპებს შორის, ნდობა ორივე ჯგუფში დაბალია და მხოლოდ 27.8 პროცენტს შეადგენს. ამგვარად ორივე ჯგუფის წევრთა ერთ მესამედზე ნაკლებს მიაჩნია, რომ „ადამიანთა უმრავლესობა ნდობას იმსახურებს“. აღსანიშნავია, რომ მიღებული შედეგი აღემატება ქვეყნის რეპრეზენტატიულ გამოკითხვაში მიღებულ პასუხებს იგივე კითხვაზე (სუმბაძე, 2012), რაც 20.6 პროცენტს შეადგენდა. გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ მაინც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ასოციაციაში წევრიანდებიან ადამიანები, რომლებიც ზოგადად უცნობი ადამიანების მიმართ ნდობას გამოხატავენ. ნდობაზე სოციალიზაციის ეფექტის შესამოწმებლად, ჩვენ გამოვთვალეთ ასოციაციის წევრობის ხანგრძლიობის ზეგავლენა ნდობაზე. წევრობის ხანგრძლიობა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, ამდენად სოციალიზაციის ეფექტი გენერალიზებულ ნდობაზე არ დადასტურდა.

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება სხვა მექანიზმის არსებობაზე, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო ჩართულობა იწვევდა სოციალური კაპიტალის გაზრდას. წევრობას შეუძლია გაზარდოს ინტერპერსონალური ნდობა ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის მიმართ და თუ დავუშვებთ, რომ ეგო-ზადის არა-ნათესავი წევრები ის ადამიანები არიან, ვისაც რესპონდენტი ენდობა, ბადეში ასოციაციის წევრების გამოჩენა შეიძლება ნდობის და შესაბამისად სოციალური კაპიტალის გაზრდის ნიშნად იქნეს მიჩნეული. გამოკითხვის შედეგების ანალიზმა

ცხადყო ასოციაციის წევრობის ხანგრძლიობის ზემოქმედება ეგო-ბადის შემადგენლობაზე ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებთან – ბადეში ასოციაციის წევრების რიცხვი იზრდება 1.2-დან ($SD=2.5$) 3.7-მდე ($SD=4.1$) გაწევრიანების სტაჟის ერთიდან სამ წლამდე გაზრდის შემთხვევაში. ექსპრესიული ასოციაციების წევრების ეგო-ბადეებზე წევრობის ხანგრძლიობის ზემოქმედების ეფექტი არ აღინიშნა.

ურთიერთობებით კმაყოფილება და სოციალური მხარდაჭერა

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ჩანს კმაყოფილია ურთიერთობებით, რადგან ინსტრუმენტული ასოციაციების 51.9 პროცენტმა და ექსპრესიული ასოციაციების 52.6 პროცენტმა არ გამოხატა სურვილი ქონოდა უფრო ახლო ურთიერთობები ბადის წევრებთან, მაგრამ, ინსტრუმენტული ასოციაციების წევრებს ოდნავ უფრო მეტად (49.6 პროცენტი), ვიდრე ექსპრესიული ასოციაციის წევრებს (46.3 პროცენტი) სურდათ, რომ კონტაქტი უფრო ხშირი ყოფილიყო. რესპონდენტებმა ასევე გამოხატეს სურვილი, რომ ქონოდათ უფრო ფართე ბადეები. ეს სურვილი უფრო მეტად ქონდათ ექსპრესიული (73.4 პროცენტი), ვიდრე ინსტრუმენტული (64.2 პროცენტი) ასოციაციის წევრებს. ექსპრესიული ასოციაციის წევრებს ასევე უფრო მაღალი მაჩვენებელი ქონდათ იზოლაციის შკალაზე ($M11.3$; $SD2.5$), ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებთან შედარებით ($M10.2$; $SD2.5$) ($F 26.38$; $df1$; $p<.001$).

რესპონდენტებმა დიდი რწმენა გამოხატეს ბადის წევრების მხარდაჭერაში. უდიდესი უმრავლესობა (ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების 91.7 პროცენტი და ექსპრესიული ასოციაციის წევრების 94.5 პროცენტი) დარწმუნებულია, რომ ეგო-ბადის წევრი ყველაფერს გააკეთებს მისთვის. რესპონდენტები კიდევ უფრო მეტად არიან დარწმუნებული (რო-

გორც ინსტრუმენტული ასევე ექსპრესიული ასოციაციის წევრების 97.8 პროცენტი), საკუთარ მზაობაში დახმარება გაუწიონ ეგო-ბადის წევრს.

ასოციაციების წევრთა უმრავლესობას (ინსტრუმენტულის 76.6 პროცენტი და ექსპრესიულის 78.3 პროცენტი) აქვს გახსნილი ფეისბუქი. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებს იქ უფრო მეტი მეგობარი ყავთ – მაგ. 70.4 პროცენტმა მიუთითა, რომ 150-ზე მეტი მეგობარი ყავს, მაშინ როდესაც ექსპრესიული ასოციაციის წევრთა 59.2 პროცენტმა დაასახელა 150-ზე მეტი მეგობარი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპრესიული ასოციაციის წევრები უფრო მეტ დროს უთმობენ ფეისბუქს. მათი 23.2 პროცენტი ფეისბუქს დღეში 3 საათზე მეტს უთმობს, როდესაც ამდენ დროს ფეისბუქს უთმობს ინსტრუმენტულ ასოციაციის წევრთა მხოლოდ 19.2 პროცენტი.


ღირებულებითი ორიენტაციები

ქვეყნის მოდერნიზაციის დონის საზომად ხშირად იყენებენ მოსახლეობის პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებით ორიენტაციას.

გამოკითხვის ინსტრუმენტი შეიცავდა მატერიალისტური/პოსტ-მატერიალისტური ღირებულებითი ორიენტაციის სტანდარტულ საზომს, რომელიც გამოყენებულია ღირებულებათა მსოფლიო გამოკითხვაში (Wenzel & Inglehart, 2008). ინსტრუმენტი 4 მტკიცებისაგან შედგება. აქედან 2 მტკიცება, „ქვეყანაში წესრიგის დაცვა“ და „ფასების ზრდასთან ბრძოლა“ აღწერს მატერიალისტურ, ხოლო დანარჩენი ორი – „აღამიანებისათვის საშუალების მიცემა ზეგავლენა მოახდინონ მთავრობის“ და „სიტყვის თავისუფლების დაცვა“ პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებას აღწერს. რესპონდენტებს მოეთხოვებათ ორჯერ აირჩიონ სასურველი პასუხი. ასოციაციის

წევრები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ღირებულებით ორიენტაციაში (*Chi-Square* 33.46; *df* 2; $p < .001$). მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ (ინსტრუმენტული ასოციაციების 50.3 პროცენტი და ექსპრესიული ასოციაციების 65.7 პროცენტი) შერეული ორიენტაცია აირჩია. არჩია რა ერთი მატერიალისტური (უფრო ხშირად „ქვეყანაში წესრიგის დაცვა“) და ერთი პოსტ-მატერიალისტური (უფრო ხშირად „სიტყვის თავისუფლება“; ინსტრუმენტული ასოციაციის წევრთა უფრო დიდმა ნაწილმა (38.0 პროცენტი), ექსპრესიული ასოციაციის წევრებთან შედარებით (17.0 პროცენტი) პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები შეარჩია.

აქტიობა ნებაყოფლობით ასოციაციებში, განსაკუთრებით ინსტრუმენტულში, ხშირად ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე ცვლილებების მოხდენის სურვილით არის გაპირობებული. გამოკითხვაში გაზომილ იყო რესპონდენტთა დამოკიდებულება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების მიმართ. მეგობრები, ოჯახი და განათლება ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მხარეებად იქნა მიჩნეული. ჯგუფები არ განსხვავდებოდნენ შეფასებებში. მათი დამოკიდებულება მრავალი ასპექტის მიმართ მსგავსი იყო. განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ პოლიტიკასა და სამუშაოსთან მიმართებაში. ორივე უფრო მნიშვნელოვნად იყო შეფასებული ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების მიერ.



ნახ.20

სტრუქტურის სხვადასხვა ასპექტების მნიშვნელობა

გენერალიზებული ნდობა შედარებით დაბალია – 30 პროცენტზე ნაკლები, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიღებული მაჩვენებელი. ეს წარმოადგენს ნდობაზე გაწევრიანების ეფექტის არა-პირდაპირ მაჩვენებელს, რაც სხვა ავტორების ბოლო დროინდელ კვლევებში არის დადასტურებული. უფრო პირდაპირი გაზომვის მიხედვით, სოციალიზაციის ეფექტი ნდობაზე არ დადასტურდა. დადასტურდა ორგანიზაციაში ყოფნის ხანგრძლიობის ეფექტი სოციალურ კაპიტალზე, ინსტრუმენტული ასოციაციის წევრების ეგო-ბადეში ასოციაციის წევრების გამოჩენით.

რესპონდენტები ზოგადად კმაყოფილი იყვნენ ურთერთობების ხარისხით, რადგან არ გამოხატავდნენ ეგო-ბადეები წევრების ნახევართან უფრო მეტად დაახლოების ან კონტაქტის მეტად ქონის სურვილს. თუმცა რესპონდენტები ღია იყვნენ ახალი ურთიერთობებისათვის. ბევრ რესპონდენტს,

განსაკუთრებით ექსპრესიული ასოციაციის წევრებს სურდათ ქონოდათ უფრო ფართე ბადე. ბადის წევრებს შორის ინტერპერსონალური ნდობა საკმაოდ მაღალია. ორმხრიობა აქ ნორმას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში ატიტუდის დონეზე. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში ბადის წევრი ყველაფერს გააკეთებს მისთვის, ისევე როგორც ის გააკეთებს ყველაფერს ბადის წევრის დასახმარებლად.

ცხრილი 9

კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ძირითადი შედეგები

ინსტრუმენტული ასოციაციების წევრები	ექსპრესიული ასოციაციების წევრები
სამოქალაქო ჩართულობის დეტერმინანტები	
მონაწილეობა	
მონაწილეობისათვის მეტი მნიშვნელობის მინიჭება	უსუსურობის უფრო მეტი განცდა მონაწილეობის შესაძლებლობებთან მიმართებაში
უფრო კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ	
ასოციაციაში გაწევრიანების მიზეზები	
საერთო მიზნები და ინტერესები	
ახალი გამოცდილებისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა	
ჯგუფისადმი მიკუთვნების მოთხოვნილება	
უსაფრთხოების მოთხოვნილება	
დროის გაყვანის შესაძლებლობა	
ცვლილების აუცილებლობა და მისი განხორციელების შესაძლებლობის აღქმა, მონაწილეობის სურვილის ქონა	რელაქსაცია და შინაგანი სიმშვიდის მოპოვება

ნაკლებად ხელმოსაკიდი სარგებელი – თვითგამოხატვა, მხარდაჭერის მიღება და სხვა.	სიამოვნების მიღება
მონაწილეობის მოთხოვნილება	მარტოობისგან თავის დაღწევა
პოლიტიკური ნდობა- ლიდერისადმი და ორგანიზაციისადმი ნდობა	შესაძლებლობა გახდეს ცნობილი
მოტივაცია	
კონტროლისა და მიკუთვნების მოტივაცია	
კონტროლის მოტივაცია უფრო მაღალია	მიკუთვნების მოტივაცია უფრო მაღალია
ასოციაციაციაში გაწევრიანების გზები	
ორგანიზაციის წევრის შემოთავაზება	მეგობრის ან ნათესავის რჩევა
სოციალური კაპიტალი –სოციალური ბადეები	
ბადეების ზომა და სიმჭიდროვე მსგავსია	
უფრო მეტი ქალია დასახელებული	
ძირითადად კმაყოფილი არიან ეგო-ბადის წევრებთან ურთიერთობებით	
ასოციაციის წევრთა უფრო დიდი წილი	ოჯახისა და ნათესავების უფრო დიდი წილი
უფრო ინტენსიური კონტაქტები ასოციაციის წევრებთან	უფრო დიდი სურვილი ქონდეთ უფრო დიდი ბადე
უფრო ხშირი კონტაქტების სურვილი ბადის წევრებთან	
სოციალური კაპიტალი – კულტურული ასპექტები	
გენერალიზებული ნდობა მსგავსი და დაბალია	
წევრობის ხანგრძლიობას ზეგავლენა არ აქვს გენერალიზებულ ნდობაზე: ჰიპოთეზა სოციალიზაციის ეფექტის შესახებ არ დადასტურდა	
ინტერპერსონალური ნდობა მაღალია, ორმხრიობის ნორმა მოქმედებს	
კმაყოფილება	
მაღალი კმაყოფილება ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებით	

<p>წევრობის ხანგრძლიობის ზეგავლენა დადასტურდა ასოციაციის წევრების წილზე ბადეში</p>	<p>სოციალური კლიმატის ასპექტები უფრო დადებითად არის შეფასებული: სიამოვნება აქტიობებით, ასოციაციის წევრებთან ურთიერთობა, წევრების მხარდაჭერის რწმენა, წევრებისადმი ნდობა და პრობლემების გაზიარება</p>
<p>ღირებულებები</p>	
<p>ძირითადად შერეული ორიენტაცია მატერიალისტურ/პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებზე: ყველაზე ხშირად შერჩეულია გამომხატვის თავისუფლება და უსაფრთხოება</p>	
<p>უფრო მეტი წევრები ემხრობიან პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებს</p>	
<p>ცხოვრების ასპექტებიდან უმრავლესობა უპირატესობას მეგობრებს ანიჭებს</p>	
	<p>ოჯახი, განათლება, სამსახური, პოლიტიკა და საჯარო ცხოვრება უფრო მეტად არის აღიარებული მნიშვნელოვნად</p>

IV. დასკვნები

მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი დონე საქართველოში დემოკრატიის ერთ-ერთ სუსტ წერტილად არის აღიარებული. გამოკითხვები მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის დიდი მნიშვნელობის აღქმასა და მის განხორციელების შესაძლებლობას შორის არსებულ ნაპრალებზე მიუთითებენ. კვლევის მიზანს ამ ნაპრალის არსებობის მიზეზების ახსნა წარმოადგენდა, კონკრეტულად კი:

1. მონაწილეობის დეტერმინანტებისა და სარგებელის დადგენა;
2. ჰიპოთეზის შემოწმება ინსტრუმენტულ ასოციაციაში გაწევრიანებისათვის კონტროლის მოთხოვნილების, ხოლო ექსპრესიულ ასოციაციებში მიკუთვნების მოთხოვნილების გამოკვეთილობის შესახებ;
3. ასოციაციის წევრთა სოციალური კაპიტალის აღწერა;
4. ასოციაციის წევრობის სოციალიზაციის ეფექტის დადგენა გენერალიზებულ ნდობაზე;
5. სამოქალაქო ჩართულობას ხელისშემშლელი პირობების და მათი დაძლევის გზების იდენტიფიკაცია.

1. მონაწილეობის დეტერმინანტები

სამოქალაქო მონაწილეობა მთელი რიგი ფაქტორებით არის გაპირობებული. ეს ფაქტორები, როგორც ინდივიდთან ასევე ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან არის დაკავშირებული. მათი შემადგენელი ნაწილების გამოკვეთილობას კი პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტი განსაზღვრავს.

ცხრილი 10

მონაწილეობის დეტერმინანტები

პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტი	
ინდივიდი	ორგანიზაცია
მონაწილეობის მნიშვნელობის აღქმა	მონაწილეობის სარგებელი
კონტროლისა და მიკუთვნების მოთხოვნილება	ლიდერისადმი ნდობა
მიზანი, რომლის მიღწევა მართოდნელი ან შეუძლებელია	ორგანიზაციის ეფექტურობა
რწმენა ცვლილების და მიზნის მიღწევის შესაძლებლობაში	ასოციაციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
პიროვნული რესურსების არსებობა	სოციალური გარემო გაწევრიანების ეფექტური ხერხები

მონაწილეობის ყველა დეტერმინანტის შესწავლა სცილდება მოცემული კვლევის ფარგლებს. კვლევა კონცენტრირებული იყო ჩართულობის მნიშვნელობის, მის მიზეზების და სარგებელის, ასევე ჩართვის მოთხოვნილების შესწავლაზე.

კვლევის შედეგებმა ცხადყვეს, რომ მონაწილეობის მნიშვნელობა საყოველთაოდ არის აღიარებული. მას უფრო მეტად ინსტრუმენტული, ვიდრე ექსპრესიული ასოციაციის წევრები აფასებენ. ექსპრესიული ასოციაციის წევრები თავს უფრო მეტად უსუსურად გრძნობენ რაიმე გავლენა მოხდინონ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

შინაგანი მოთხოვნილებანი, როგორცაა კონტროლისა და მიკუთვნების მოთხოვნილება, მიზნების მისაღწევად სხვების საჭიროება, საერთო მიზმენები და ინტერესები, ახალი გამოც-

დილებისა და ცოდნის შეძენის შესაძლებლობა, სოციალური გარემო – ეს ყველაფერი ის მიზეზები და სარგებელია, რომლებზეც ორივე ტიპის გაერთიანების წევრები მიუთითებენ.

ექსპრესიული ასოციაციის წევრებთან შედარებით, ინსტრუმენტული ასოციაციის წევრები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ცვლილების აუცილებლობას და მის განხორციელების შესაძლებლობას, მხარდაჭერის მიღებას და საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების შესაძლებლობას, კარიერულ მიღწევას, ძალაუფლების მოპოვებას და პრესტიჟს, ლიდერის ნდობას და რწმენას ორგანიზაციის ეფექტურობაში, ასევე ჩართვის მოთხოვნილებას. ექსპრესიული ასოციაციის წევრები უფრო ხშირად მიუთითებენ პირად პრობლემებზე, როგორც ორგანიზაციაში გაწევრიანების მოტივზე, ხაზს უსვავენ წევრობით გაპირობებულ შესაძლებლობაზე მოდუნდნენ და მიაღწიონ შინაგან სიმშვიდეს, მიიღონ კმაყოფილება და თავი დააღწიონ მარტოობას.

კვლევაში დადასტურდა ჰიპოთეზა კონტროლის მოთხოვნილების წამყვანი როლის შესახებ ინსტრუმენტულ, ხოლო მიკუთვბნების მოთხოვნილების ექსპრესიულ ასოციაციაში გაწევრიანებისათვის.

2. სოციალური კაპიტალი

ეგო-ბადეები ანუ ინდივიდებისათვის მნიშვნელოვანი ადამიანები სახელის გენერირების ტექნიკის გამოყენებით იქნენ იდენტიფიცირებული. ასოციაციების წევრთა ეგო-ბადეები ასოციაციის ტიპის მიხედვით ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან ზომისა და სიმჭიდროვის მიხედვით. რესპონდენტებმა საშუალოდ 10 ადამიანი დაასახელეს და ბადის წევრებს შორის კონტაქტების სიხშირე რესპონდენტისგან დამოუკიდებლად საშუალოდ 23-ს შეადგენდა.

ბადეები განსხვავდებოდნენ ურთიერთობების მიხედვით. ასოციაციის წევრები უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილი და ასევე მათ შორის კონტაქტი იყო უფრო ინტენსიური ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებთან, შესაბამისად მათ ბადეებში უფრო მცირე იყო ოჯახის წევრებისა და ნათესავების წილი. ოჯახის წევრები და ნათესავები კი უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილი ექსპრესიული ასოციაციის წევრთა ბადეებში. ინსტრუმენტული ასოციაციის წევრებმა გამოხატეს ბადის წევრებთან უფრო მეტი კონტაქტის, ხოლო ექსპრესიული ასოციაციის წევრებმა კი უფრო ფართე ბადეების ქონის სურვილი.

